



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის (2017-2020)

და

საქართველოს სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის

(2017-2018)

შუალედური შეფასება

წარდგენილია დოქტორ ქრეგ ნაუმანის მიერ

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG) პროექტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA)/სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის (IACC).

2019 წლის 3 ნოემბერი

სამადლობელი სიტყვა

ავტორს სურვილი აქვს მადლობა გადაუხადოს ყველა იმ პირსა და სააგენტოს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს წინამდებარე შეფასებაში და რომელთა რჩევების, რეკომენდაციების, დახმარებისა და მიწოდებული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ანგარიშის მომზადება. პირველ რიგში, ყველაზე დიდი მადლობა ეკუთვნით ბენეფიციარებს, რომლებმაც თავიანთ სამუშაო საათებში, დატვირთული განრიგის მიუხედავად, მონაწილეობა მიიღეს ორმხრივ თუ ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუებში. გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის ასევე დიდ მადლობას ვუხდით ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომლებსაც შევხვდით როგორც მენეჯმენტის, ისე ადმინისტრაციული მართვისა და პროექტის განხორციელებისას ცენტრალურ თუ მუნიციპალურ დონეზე.

მონაცემების შეგროვების ფაზის დაგეგმარებისა და განხორციელების ეტაპზე შეფასების ჯგუფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA)/სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მხრიდან ფასდაუდებელი დახმარება და კონსულტაცია გაუწია ეკატერინე ზვიადაძემ (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA)/სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის (IACC) მდივანი, პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი) როგორც ცენტრალურ, ისე სავლე დონეზე; ლაშა ზივზივაძემ (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) პოლიტიკის კოორდინაციის განყოფილების უფროსი/პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტი) დაინტერესებულ მხარეებთან ჩანიშნა უადრესად მნიშვნელოვანი შეხვედრები თბილისში; მირანდა აფაქიძე შეუცვლელი იყო თარგმანის, დაგეგმარების, ლოგისტიკური კოორდინაციისა და მონაცემების დამუშავების საქმეში.

გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP/IRDG) პროექტის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს შეფასების მისიის „სათავო ოფისს“, ნათია ბერძენიშვილმა (UNDP/IRDG-ის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) კოორდინატორი), ნოდარ კერესელიძემ (UNDP/IRDG-ის პროექტის ეროვნული მენეჯერი), სტეფან შმიტ-დეგენჰარტმა (UNDP/IRDG-ის პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელი) და გიორგი ციმინტიამ (UNDP/IRDG-ის ეკონომიკური დივერსიფიკაციის კოორდინატორი) შეფასების მისიას სიდრმისეულად გააცნეს მათ წინაშე მდგარი გამოწვევები და დავალებები, ასევე დაეხმარნენ მისიის წარმატებით დასრულებაში. დიდ მადლობას ვუხდით ლილიანა გურეშიძეს, რომელიც წარჩინებით უძღვებოდა ადმინისტრაციულ საკითხებს და, რა თქმა უნდა, ბატონ დიმას, რომელიც მოხეტიალე ნახირით სავსე მიხვეულ-მოხვეულ გზებზე საოცარი ოსტატობით და უსაფრთხოდ მართავდა მისიის ავტომანქანას.



რუკის მოძიების წყარო: <https://www.un.org> (საქართველოს დროშა)

სარჩევი

აკრონიმებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი	6
მოკლე მიმოხილვა	7
ძირითადი დასკვნები (მათ შორის, საუკეთესო პრაქტიკა, გამოწვევები, მიღებული გამოცდილება)....	10
1. შესავალი.....	16
1.1 შუალედური შეფასების კონტექსტი	16
1.2 მიზანი და ამოცანები	18
1.3 მასშტაბი	21
1.4 შეფასების კრიტერიუმები და კითხვები	22
2. მეთოდოლოგიის აღწერა.....	24
2.1 მონაცემების შეგროვებისა და ინტერვიუების ფაზის ზოგადი მიდგომა.....	24
სამუშაო გეგმის სტრუქტურა და ზოგადი გრაფიკი	31
2.2 ვარაუდები, რისკები და შესაძლო შეზღუდვები	33
2.3 გამოყენებული კონკრეტული ინსტრუმენტები და ტექნიკები	34
3. შეფასების შედეგები.....	37
3.1 შესაბამისობა.....	37
3.2 ეფექტურობა	42
აქტივობის შედეგის დონის ანალიზი	42
ეფექტურობა/ამოცანის შედეგის დონის ანალიზი.....	48
3.3 ეფექტიანობა	52
3.4 მდგრადობა და ზემოქმედება	66
მდგრადობა:	66
ზემოქმედება.....	69
3.5 განხორციელება	73
4. რეკომენდაციები.....	79
4.1 ზოგადი კვლევის შედეგები და დასკვნები.....	79
მოკლე ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევების შესახებ.....	81
კრიტიკული შენიშვნები პრიორიტეტული სფეროების დიზაინის შესახებ.....	83
პრიორიტეტულ სფეროებთან დაკავშირებული ტექნიკური გამოწვევები.....	84

4.2 საბოლოო რეკომენდაციები	85
I. პროექტების სტრატეგიული ბრენდინგი, მათ შორის საქართველოს როგორც ტურიზმის მიმართულების გაძლიერება.....	85
II. დაზღვევა	87
III. ინფრასტრუქტურა და კრედიტის ხელმისაწვდომობა	88
IV. ხარისხის კონტროლი	88
V. ლიდერი/ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მოდელი	89
VI. კანონმდებლობა	89
VII. ინოვაცია - ჰორიზონტალური დივერსიფიკაცია და ვერტიკალური ინტეგრაცია.....	90
VIII. სხვადასხვა კონკრეტული ტექნიკური შეთავაზებები პრიორიტეტული სფეროს მიხედვით.....	90
5. დანართები	95
5.1 განრიგი/სამუშაო გეგმა	95
5.2 გამოკითხულ პირთა სია და მონახულებული ადგილები	95
5.3 გამოყენებული ლიტერატურა და დოკუმენტაცია	99
5.4 სოფლის განვითარების 2017 წლის სამოქმედო გეგმა, წლიური შესრულება.....	100
5.5 სოფლის განვითარების 2018 წლის სამოქმედო გეგმა, წლიური შესრულება.....	117
5.6 შედეგის ამოცანის ინდიკატორები, დეტალური მიმოხილვის ცხრილი.....	139
5.7 შერჩევის ლოგიკა	150
5.8 შეფასების ძირითადი კითხვების დეტალური ჩამონათვალი	153
5.9 შეფასების მატრიცა	156
5.10 შესაძლო ზეგავლენის ინდიკატორთა სია.....	176
5.11 ცვლილებების თეორიის პროექტები პრიორიტეტული სფეროებისთვის და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების ერთიანი სტრატეგიისათვის (RDSG)	177
5.12 ტექნიკური დავალება	180

აკრონიმებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი

AA	ასოცირების ხელშეკრულება
ACDA	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
ARDA	სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
ARDS	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგია
ARDSG	საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2021-2027)
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
DAC	განვითარების დახმარების კომიტეტი
DRR	კატასტროფების რისკების შემცირება
ENP	ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა
ENPARD	ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის
EU	ევროკავშირი
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FTP(s)	ფინანსური და ტექნიკური პარტნიორი(ები)
GDI	გენდერული განვითარების ინდექსი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
HDI	ადამიანის განვითარების ინდექსი
HRBA	ადამიანურ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა
IACC	უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო
IP	შემსრულებელი პარტნიორი
IPO	პირველადი საჯარო შეთავაზება
IRDG	სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში
LAG	ადგილობრივი განვითარების ჯგუფი
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MTE	შუალედური შეფასება
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PA	პრიორიტეტული სფერო
PPP	საჯარო კერძო პარტნიორობა
RBM	შედეგებზე დაფუძნებული მმართველობა
RDC	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭო
RDSG	საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020)
RoI	საინვესტიციო მოგება
SDG	მდგრადი განვითარების გეგმები
SMART	კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური, დროში გაწერილი
ToC	ცვლილების თეორია
ToR	ტექნიკური დავალება
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNEG	გაეროს შეფასების ჯგუფი

მოკლე მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია და კონტექსტი - 2006 წლის ოქტომბერში, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) 2006-2011 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველომ აამოქმედა ევროკავშირთან დაახლოების 5-წლიანი სამოქმედო გეგმა. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას (AA). ასოცირების ხელშეკრულება გულისხმობს ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ხელშეკრულების საფუძველზე, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ტექნიკური დახმარებით შეიქმნა საქართველოს სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია (საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (RDSG)). საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის დაფინანსების უზრუნველყოფა ხდება ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

2016 წლის 30 დეკემბერს დამტკიცდა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების პირველი ეროვნული სტრატეგია (RDSG) და 2017 წლის სამოქმედო გეგმა. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული სფეროებია (პრიორიტეტული სფერო): i. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა (ადგილობრივი ეკონომიკის ზრდა და დივერსიფიკაცია); ii. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე (სოციალური და საჯარო მომსახურების გაუმჯობესება) და iii. ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა (დასაქმების ზრდა და ეროვნული რესურსების მდგრადი გამოყენება).

თითოეული პრიორიტეტული სფერო მოიცავს სამ ამოცანას: პრიორიტეტული სფერო 1: 1.1. ფერმერული საქმიანობის გაუმჯობესება რესტრუქტურისებული და მოდერნიზებული დივერსიფიცირებული მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით. 1.2. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერება და მდგრად არასასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა ხელშეწყობა. 1.3 ტურიზმის განვითარება. პრიორიტეტული სფერო 2: 2.1 ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. 2.2. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა. 2.3 ადგილობრივი მოსახლეობის (მაგ., ახალგაზრდები და ქალები) ჩართულობის ზრდა. პრიორიტეტული სფერო 3: 3.1 წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება. 3.2 ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა სოფლად. 3.3 კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შემცირება.

შეფასების მიზანი და მასშტაბი - შუალედური შეფასება (MTE) მოიცავს როგორც საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიას (RDSG), ისე მის 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმებს. შუალედური შეფასების ზოგადი მიზანია ემპირიული დასკვნებისა და დაკვირვებების, ასევე მტკიცებულებებზე დამყარებული რეკომენდაციების საფუძველზე, სამომავლო დაგეგმარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობა და, შესაბამისად, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების მიღწევებისა და ხარვეზების მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი შეფასება. შუალედური შეფასების ყველა კონკრეტული ამოცანა მოიცავს: აქტივობისა და ამოცანის შედეგების ღონეზე არსებული პროგრესის შეფასებას; საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების სუსტი და ძლიერი ასპექტების გამოვლენას; რისკების

განსაზღვრას და საპასუხო ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების შეთავაზებას; მიღებული გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრას; გავლენის ინდიკატორების შემუშავებას; ტექნიკური რეკომენდაციების შეთავაზებას პროგრესის გაძლიერებისათვის და, ზოგადად, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის წარმატებისათვის. ამ პროცესში შუალედური შეფასებით უნდა განისაზღვროს, რამ იმუშავა კარგად და რამ არა, და რა იყო ამის მიზეზი.

შუალედური შეფასება შედგენილია 2016 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოთი განსაზღვრული შეფასების სტანდარტული პარამეტრების შესაბამისად. შეფასების პარამეტრებია: ეფექტურობა, ეფექტიანობა, მდგრადობა, ზემოქმედება და განხორციელება. შუალედური შეფასება მოიცავს ინფორმაციის ყველა ისეთი წყაროს ანალიზს, როგორცაა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მათთან დაკავშირებული ანგარიშები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები; შეფასება ასევე მოიცავს: შეფასების დაგეგმვას შეფასების სტანდარტული პარამეტრების გამოყენებით; მონაწილეობითი და საკონსულტაციო მიდგომის გამოყენებას, მათ შორის საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) სამთავრობო დაინტერესებული მხარეების, სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC), გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP/IRDG) პროექტის გუნდისა და ბენეფიციარების ჩართულობით; აღწერით მიმოხილვას, რომელიც მოიცავს როგორც ფაქტებს, რისკებსა და მიღებულ გამოცდილებას, ისე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებასა და მიწოდებას.

მეთოდოლოგია - შერჩევა და ანალიტიკური ინსტრუმენტები - პროექტის განხორციელების ადგილისა და იმ ბენეფიციარების შესარჩევად, რომლებთანაც შეფასებისთვის ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები (რეგიონისა და პროგრამის კატეგორიის, აქტივობის ტიპის, რესპონდენტების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, გენდერისა და ასაკის გათვალისწინებით), განისაზღვრა შერჩევის მრავალეტაპიანი, არაალბათური, მიზნობრივი მეთოდი. ქვეყნში არსებული განსხვავებული სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური კონტექსტის გათვალისწინების მიზნით, ადგილზე ვიზიტებისთვის შეირჩა ისეთი რეგიონები, რომლებიც მოიცავდა საქართველოს ტიპურ გეოკოლოგიურ ზონებს (მეღვინეობისთვის ხელსაყრელი არეალი აღმოსავლეთ საქართველოში, ჩრდილოეთის მთიანი რეგიონი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი და მივარდნილი ადგილები). დოკუმენტაციის შეფასებისას, გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდების მიდგომა ორმხრივი ინტერვიუებიდან და ფოკუს ჯგუფებიდან, ასევე საკაბინეტო კვლევიდან მიღებულ თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ტექნიკა ასევე მოიცავდა როგორც შესრულების ინდიკატორების რაოდენობრივ ანალიზს, ისე ინვესტიციიდან მოგების (ROI) ანალიზს, რომელიც ადარებს შედეგების მიღწევასა და დაფინანსების დონეებს, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების სახელმძღვანელოსა და კითხვებს და სხვ.

ყველა დაინტერესებული მხარის კატეგორიისა და პრიორიტეტული მიმართულებებიდან ინტერვიუს ფაზაში მონაწილეობდა სულ 76 რესპონდენტი, მათ შორის: ცენტრალურ და რეგიონალურ დონეზე მონაწილე სამინისტროების წარმომადგენლები, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან (ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, თელავი, ზუგდიდი, ლანჩხუთი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) სხვადასხვა პროგრამის ბენეფიციარები (მათ შორის „დანერგე მომავალი“,

„შელავათიანი აგროკრედიტი“, „ახალგაზრდა მეწარმე“), ბენეფიციარი საოჯახო სასტუმროებისა და ვაშლოვანისა და ლაგოდების დაცულ ტერიტორიებზე მდებარე სასტუმროებისა და სხვადასხვა ფერმის/ბაღის და წარმოების ცენტრების (კალმახი, ჩაი, ზეითუნის ზეთი, კაკალი, თაფლი, რძის პროდუქტები, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კივი, კენკრა, წყალი, ღვინო, კენკრა და სხვ.) წარმომადგენლები.

სხვადასხვა ჯგუფისა და კატეგორიის რესპონდენტებს ინტერვიუების მიმდინარეობისას დაესვათ განსხვავებული, კონკრეტულად მათზე მორგებული კითხვები. ოფიციალური მონიტორინგისა და შეფასების (M&E) და ანგარიშების სისტემით წარმოებული საანგარიშო მონაცემების გამოყენებით, ფინანსური მონაცემების ანალიზი მოიცავდა ხარჯებს პირველად პროგნოზებთან მიმართებით აბსოლუტური და ფარდობითი კუთხით, ძირითადი ინტერვენციების, პრიორიტეტული სფეროებისა და შესაბამისი ამოცანის, აგრეთვე წლიური სამოქმედო გეგმის ციკლის გათვალისწინებით. საბიუჯეტო ანალიზისას გამოყენებულ იქნა ერთიანი და ჩაშლილი ფინანსური მონაცემები სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ამოცანის შედეგების, მთავარი აქტივობების შედეგის ინდიკატორების და მათი შესრულების წლების მიხედვით.

დოკუმენტაციის სამაგიდო განხილვა დაიწყო 2019 წლის ივლისში, ხოლო მონაცემების შეგროვების ეტაპი - აგვისტოში. ამავე წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო მონაცემების ანალიზი, რომელიც დასრულდა სექტემბერში. შეფასების ანგარიშის პროექტი და საბოლოო ვერსია შემუშავდა და გადაიხედა სექტემბერსა და ოქტომბერში.

ძირითადი დასკვნები (მათ შორის, საუკეთესო პრაქტიკა, გამოწვევები, მიღებული გამოცდილება)

შეფასების კრიტერიუმი 1: შესაბამისობა - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG)/სამოქმედო გეგმის შესაბამისობა, რომელიც ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების ხარისხის უზრუნველყოფისა და ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვისას ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე, ინვესტიციებზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ახალ ტექნოლოგიებზე, ინოვაციებისა და ზოგადი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, შესაძლებელია შეფასდეს მათალ დონეზე. ზოგადად, ხალხის მხრიდან დაფინანსებისა და ტრენინგების მიმართ დაინტერესება ძირითადად ხდება პირველი და მე-2 პრიორიტეტული სფეროთი გათვალისწინებული ინტერვენციებისას. სასოფლო და არასასოფლო ღირებულებათა ჯაჭვი ჩართულმა მეწარმეებმა დადებითად შეაფასეს ფინანსური დახმარების მიღების სხვადასხვა შესაძლებლობა ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორცაა, „აწარმოე საქართველოში“ ან „დანერგე მომავალი“, დადებითად შეფასდა აგრეთვე სადაზღვევო სქემები, კოოპერატივების მხარდაჭერა და ბენეფიციართა საჭიროებებს/მოთხოვნებსა და სამთავრობო პრიორიტეტებს მორგებული სხვა შესაძლებლობები.

მიუხედავად ამისა, კვლავაც არსებობს ინვესტირების საჭიროება სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მოდერნიზებისთვის, განსაკუთრებით, რთულად მისაღწეად ადგილებში, რათა განვითარდეს მიწოდების ეფექტიანი ჯაჭვი და მოხდეს დივერსიფიცირება. ეს, თავის მხრივ, მოიცავს წვდომას უცხოეთის ბაზრებზე, რისთვისაც აუცილებელია მოსავლის მოყვანის, შენახვის, დამუშავებისა და დისტრიბუციის წარმოებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკის ფლობა. ასევე, ინვესტირებას მოითხოვს არაერთი არასასოფლო აქტივობის ხელშეწყობა როგორც ზოგად ინფრასტრუქტურაში, ისე საჯარო მომსახურებაში. მაგალითად, ეკოტურიზმი მჭიდრო კავშირშია როგორც სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციასთან, ისე ზოგადი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესებასთან (გადაუღებელ შემთხვევებში ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის ჩათვლით).

შეფასების კრიტერიუმი 2: ეფექტურობა - სამივე პრიორიტეტულ სფეროში 2017 წლის სამოქმედო გეგმის მიღწევები შეფასებულია როგორც მაღალი ან უმაღლესი, ხოლო შედეგების დონეზე შეფასებული ინდიკატორების 85%+ ან თითქმის შესრულებული, ან შესრულებული, ანდა გადაჭარბებით შესრულებულია სამიზნე ინდიკატორებთან მიმართებით. 2018 წელს შესრულების დონემ ცოტა იკლო, მიღწევების მაღალმა დონემ დაიწია (73.5% 2017 წელს - 51.5% 2018 წელს პრიორიტეტული სფერო 1-ში; 68% - 33% პრიორიტეტული სფერო 2-ში; 0% - 16% პრიორიტეტული სფერო 3-ში), ხოლო მაღალი საშუალო მიღწევების დონე მერყეობს 40-75%-ს შორის. ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ აქტივობების ზრდა წარმატებით განხორციელდა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პირველ წელიწადს, ხოლო 2018 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებისას თავი იჩინა უფრო მეტმა პრობლემამ და შეფერხებებმა. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პირველი ორი პრიორიტეტული მიმართულების ყველა ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნეები მიღწეული იყო ან სრულად, ანდა გადაჭარბებით (პრიორიტეტული სფერო

1-ის ყველა ინდიკატორი), თუმცა პრიორიტეტული სფერო 3 ოდნავ ჩამორჩება და შეფასების შერეული ქულების ფურცელზე ნაჩვენებია შედეგების მიღწევის ინდიკატორების შეფასების საშუალო დონე.

შეფასების კრიტერიუმი 3: ეფექტიანობა - ეფექტიანობის დონის ანალიზმა აჩვენა, რომ ფაქტობრივი ხარჯვა, რომელიც მოიცავს 2017 და 2018 წლების ხარჯებს (საერთო ჯამში, 1,23 მილიონი ლარზე მეტი), 32% -ით აჭარბებს საპროგნოზო, დაგეგმილი ბიუჯეტის ხარჯებს. 2017 და 2018 წლებისთვის გაანგარიშებული ფაქტობრივი და საპროგნოზო ხარჯების განაკვეთები მიუთითებს, რომ ორივე წელს ფაქტობრივი ხარჯვა მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავდაპირველ გეგმას (148%-ით 2017 წლის საწყის გეგმასთან მიმართებით და 132%-ით 2018 წელს). მაშინ, როდესაც 2017 წელს ათვისებულ იქნა პრიორიტეტული სფერო 3-სთვის (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვა) მოზიდული გათვალისწინებულზე გაცილებით მაღალი ბიუჯეტი (338%), 2018 წელს კი, პირიქით მოხდა - რეალურად დაიხარჯა მიზნობრივი ბიუჯეტის მხოლოდ 56%.

ეფექტიანობის პერსპექტიული ანალიზისას რეალური მიღწევების კოეფიციენტი შედარდა ძირითადი აქტივობების დონის განსაზღვრულ სამიზნეებთან. ანალიზი მიუთითებს, რომ „ნორმალური“ მიღწევების დონეები შეესაბამება ფინანსურ საშუალებებს (შესრულების საუკეთესო დონის გათვალისწინებით, ხარჯები აღემატება დაგეგმილ მაჩვენებლებს; მცირე დაფინანსების მქონე შემთხვევების შედეგების დონე დაბალია), რომლებიც შესრულების ორივე წლისათვის შეადგენს ძირითადი ინტერვენციების 80%-ს (40/51 ინტერვენცია 2017 წელს; 47/68 ინტერვენცია 2018 წელს). ასევე, ეფექტიანობის პერსპექტიულმა ანალიზმა, რომელიც აერთიანებს ეფექტურობისა და ეფექტიანობის მონაცემებს, აჩვენა, რომ შესრულება 2017 წელს უფრო მაღალი იყო, ვიდრე 2018 წელს. შემთხვევების დაახლოებით 20% იყო ლურჯი/გადაჭარბებით მიღწევის ან მწვანე/მაღალი მიღწევის გრაფებში (შესაბამისად, 2017 წელს 10% თითოეული შემთხვევისა, ხოლო 2018 წელს არც ერთი ლურჯი შემთხვევა არ დაფიქსირებულა), ასევე 2017 წელს დაფიქსირდა 2/51 შემთხვევა საშუალო შეფასებით (2018 წელს 5/47), ხოლო დაბალი მიღწევის შესრულება (წითელი გრაფა) არ დაფიქსირებულა, 2018 წელს კი ადგილი ჰქონდა ორ „წითელ“ შემთხვევას.

შეფასების კრიტერიუმი 4: მდგრადობა 5: ზემოქმედება - მდგრადობისა და ადრეული ზემოქმედების კუთხით, ეკოტურიზმის სექტორი ყველაზე დიდი კატალიზატორის როლს ასრულებს. აღნიშნულ მიდგომაში ინვესტიცია განახორციელა მხოლოდ ძალიან ცოტა ოდენობის მცირე და საშუალო ინვესტორმა და ასევე მსხვილმა ოპერატორმა (შუხმანის ღვინის მარანი, უძრავი ქონების/სპა და სასტუმროს ბიზნესი). ამჟამად ისინი საკმაოდ დიდ სარგებელს იღებენ, რადგან მათ შექმნეს მდგრადი ბიზნესმოდელი სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროებზე დაყრდნობით. ღვინის გზის და ოზურგეთის ჩაის გზის შემთხვევებში ვლინდება, სულ მცირე, ადრეული ზემოქმედება, რადგან ეს არის ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილები, და როგორც პირდაპირ, ისე ირიბად ხელს უწყობენ მასობრივ დასაქმებასა და შემოსავლების შემოდინებას. ამასთან, ტურიზმის სექტორში ოჯახური ბიზნესის მოდელი წარმოადგენს მდგრად მიდგომას, მაგალითად, ოჯახების მიერ მართული საწარმოს ტიპის საოჯახო სასტუმროები, რომელთა შემთხვევაშიც გაფართოვდა და საოჯახო სასტუმროებად გარდაიქმნა ოჯახების არსებული სახლები. საოჯახო ტიპის კიდევ ერთი ბიზნესი, რომელიც გამოირჩევა მდგრადობით, არის მესაქონლეობა, რომელიც კვალიფიცირდება როგორც საუკეთესო პრაქტიკა და არის წარმატების პოტენციური მოდელი ოჯახების მიერ მართული ბიზნესებისთვის.

რისკებისა და გამოწვევების კუთხით, შემაშფოთებელია მცირე ბენეფიციარი ფერმებისა თუ საწარმოების მედეგობა, განსაკუთრებით მათი, ვინც თანამშრომლობს კოოპერატივების მეშვეობით. კონკურენტუნარიანობის მდგრადობის დონეების უზრუნველყოფის კუთხით, ის ინვესტორები თუ მეწარმეები, რომლებსაც პარალელურად არ გააჩნიათ (ფერმერული თუ არაფერმერული) სათადარიგო გეგმა/ვარიანტი და/ან დანაზოგები, მეტად არიან დაცული შოკისგან, რადგან სესხებს იხდიან ყოველგვარი საშეღავათო პერიოდის გარეშე (მაგ., ვარდების ქარხანა, კენკრის ფერმები და სხვ.). არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვთან მიმართებით, აგროინჟინერიის სექტორს აქვს ძალიან მაღალი დივერსიფიკაციისა და მდგრადი, მტკიცე ზრდის პოტენციალი განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი გამოიყენებენ განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებსა და ადგილობრივად წარმოებულ ადაპტირებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას (მაგ., ზუგდიდში არსებული „გეომარკი“ („GeoMark“), ყოფილი მინის ქარხანა, რომელიც ქმნის ხელმისაწვდომ, კონკურენტუნარიანი ფასის მქონე დანადგარებს და მექანიკური ქარხნის ისეთ მოწყობილობას, როგორცაა, მაგალითად, კონვეირული ლენტი თხილის დასახარისხებლად).

შეფასების კრიტერიუმი 6: განხორციელება - მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური სქემები განსაკუთრებულად ეფექტიანი და სასარგებლოა დამწყები ბიზნესებისთვის, ფერმერებს სჭირდებათ დაახლოებით 5 წელი, რომ დაფარონ კრედიტი და სხვა ხარჯები რისკებისა (ფაროსანა და სხვ.) და საბაზრო ფასების არამდგრადობის გამო, განსაკუთრებით, თუ ეს ბუფერული/შენახვის საშუალებები არ არსებობს. ეს გამოწვევები გულისხმობს გირაოს აქტივების ბარიერს როგორც კაპიტალზე წვდომის მოთხოვნას და სპეციალური რისკების მიმართ დაზღვევის არარსებობას, ასევე, მიუხედავად არსებული მოთხოვნისა, გულისხმობს სესხების და პროცენტების გადახდისას საშეღავათო პერიოდის არარსებობას. აქტივების ოფიციალურად დარეგისტრირებისაგან თავის შეკავება (მიწის საჭიროებების დადასტურება ან ნახირის მოცულობა) რჩება ისეთ საკითხად, რომელიც ზღუდავს კრედიტზე წვდომას. საერთო ჯამში, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, მათ შორის მედიის მეშვეობით ფართო საზოგადოებისა და კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ინფორმირება საკმაოდ კარგად ხორციელდება, ასევე, არსებობს მტკიცებულებები, რომ ფერმერები და სხვა მოთამაშეები ინფორმაციის ოფიციალურ და არაფორმალურ წყაროებს აქტიურად და სისტემატურად იძიებენ. კვლავაც დიდია მოთხოვნა ტექნიკურ მომზადებაზე, თუმცა ზოგიერთი ბენეფიციარი გამოთქვამს პრეტენზიას, რომ შეთავაზებული კურსები თანამედროვე განვითარებას ფეხს ვერ უწყობს. პროგრამის ახალ ბენეფიციართა ჯგუფებისთვის ძირითადი საორიენტაციო ტრენინგები კვლავაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ის, ვინც ბიზნესში ინვესტიცია რამდენიმე წლის წინ განახორციელა, ახლა ითხოვს უფრო სიღრმისეული ცოდნისა და უნარების შეძენას, რათა უკეთ შეძლოს საქმიანობის შემდგომი გაფართოება და განვითარება.

ყველაზე გამჭირავი და უნარიანი ინვესტორები უკვე ცდილობენ ქსელური კავშირების საშუალებით მოიპოვონ უახლესი ინფორმაცია გლობალური მასშტაბით (მაგ., კივის მწარმოებლები, რომლებსაც ჩამოჰყავთ ექსპერტები ახალი ზელანდიიდან და იაპონიიდან; კაკლის მწარმოებლები, რომლებიც ეძებენ უმაღლესი დონის ექსპერტებს ჩილეში, კალიფორნიასა და ესპანეთში; საკალმანების მქონე ფერმერები, რომლებიც მოგზაურობენ თურქეთში ტრენინგებისთვის და სხვ.). მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობა მიესალმება მთავრობის მხარდაჭერას, ზოგიერთი მათგანი სექტორის განსავითარებლად მოხალისე ტრენინგების სურვილსაც კი გამოთქვამს. საჭირო აკადემიური ცოდნის ბაზის (ფენოლოგია, ინტიოლოგია, თხილისა და კივის მოყვანის მეცნიერული საფუძვლები და სხვ.) (ხელახალი)

განვითარება არის ინტერვენციის სფერო, რომელიც შედარებით უგულვებელყოფილია და იმსახურებს უფრო მეტ ინვესტირებას, იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენა ექნება მას. განსაკუთრებით პერსპექტიულია ცოდნის გაზიარების, ინოვაციებისა და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) დაფუძნებული შესაძლებლობების გამოყენებით არსებული ტექნოლოგიების ჰაბის (TechHub) ქსელის პროგრამა.

თუმცა, როგორც ჩანს, სექტორის მოთამაშეები და დამგეგმავი პირები ბოლომდე ვერ აფასებენ და არ იყენებენ არსებულ პოტენციალს. საჭიროა არსობრივი გაანალიზება, ფარული გაერთიანებების ერთად თავმოყრა და ყველა იმ მოთამაშის უფრო სისტემური დაკავშირება, რომლებიც მუშაობენ დასაქმების, სამუშაო ადგილების შექმნის, ინოვაციებისა და სტარტაპების, პროფესიული მომზადებისა და ტექნოლოგიური კვლევების, აგრეთვე კერძო სექტორის ადგილობრივი საინჟინრო ბაზის საკითხებზე. კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურის განახლებაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგები გამოიღო. ზოგიერთმა კერძო ინვესტორმა, მაგალითად, როგორცაა, ფერმერები და საოჯახო სასტუმროების მეპატრონეები, მცირე მფლობელებისთვის წყალსა და ენერჯიაზე წვდომის გასაუმჯობესებლად დაიწყო ინვესტირება ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში. მათი მხრიდან ეს ემსახურება როგორც მცირე მფლობელთათვის სოლიდარობის გამოხატვას, ისე ბიზნესში ინვესტირებას.

კერძო ინვესტორები ახორციელებენ საცდელ ტესტირებას მზის ენერჯის ტექნოლოგიებში, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან განახლებად ენერჯიაში ინვესტირების მხარდამჭერი სქემა არ არსებობს. ანალოგიურად, მესამე პრიორიტეტული სფეროს (გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა) განხორციელების კუთხით გარკვეული ჩამორჩენაა და საჭიროებს ხელახალ გააქტიურებას. მესამე პრიორიტეტული სფეროთი გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება ინოვაციური კლასტერის ინტერვენციებთან ერთად შექმნის შესაბამისი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას (მაგ., ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის გადაწყვეტილების გამოყენება ფერმენტაციის, პიროლიზის, ჰუმუსის/ტიერა პრეტას წარმოების კომპოსტირების გზით). კონკრეტული შესაძლებლობები უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ საინჟინრო სექტორს იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ინოვაციებს, სამუშაო ადგილების შექმნას და კეთილდღეობას.

დასკვნები და რეკომენდაციები - მიუხედავად იმისა, რომ მიზნობრივი ამოცანებისა და, ზოგადად, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შესაბამისობა მაღალია, შემდეგში შესაძლებელია ეფექტიანობა და ეფექტურობა გაძლიერდეს უკეთესი კოორდინაციისა და ინტერვენციების ინტეგრირებული პაკეტების ერთობლივი დაგეგმარებისა და განხორციელების გზით, და არა მხოლოდ ერთეული სამინისტროს ცალკეული ქმედებებით. კერძოდ, შესრულების დონეების ასამაღლებლად უნდა გაძლიერდეს პრიორიტეტული სფერო 3-ის ფინანსური პოტენციალი და განხორციელების სისწრაფე. ამასთანავე, გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული პრობლემები შესაძლებელია უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული პრიორიტეტული სფერო 1-სა და 2-ში. გაუმჯობესების შესაძლებლობა არსებობს ასევე ზოგადი მდგრადობის მიმართულებითაც, განსაკუთრებით, შესაძლებლობების განვითარების ხარისხიანი ღონისძიებებითა და მათ მიერ გამოწვეული შესაბამისი გავლენით. არსებობს ადრეული გავლენის ძალიან მცირე მაგალითები. ქვემოთ მოცემულია ძირითადი პრობლემები და გამოწვევები:

- მუდმივად მზარდი კონკურენტული მოთხოვნა წყალსა და მიწაზე: სასოფლო-სამეურნეო vs. სამრეწველო/მომსახურების ინდუსტრია vs. კერძო საოჯახო;
- 49%-იანი ზედა ზღვარი უცხოელი ინვესტორებისთვის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების შემთხვევაშიც კი): შეფერხება (თავის შეკავება) ინვესტიციების განხორციელების კუთხით; მიწის იჯარის გარიგებების შესაძლებლობების შესწავლა (კომპანიაში წილების გადანაწილება და მიწის საკუთრების უფლებები);
- სესხის უზრუნველყოფის საშუალების აუცილებლობა როგორც მძიმე ტვირთი ახალგაზრდა მეწარმეებისთვის, ასევე მიწის საკუთრების უფლების ოფიციალურ მარეგისტრირებელ ორგანოში დარეგისტრირებაზე უარი დაბეგვრის შიშის გამო;
- აგროდაზღვევის სისტემის არარსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინვესტიციებისთვის, რაც ფერმერებს/ოპერატორებს/ინვესტორებს დიდი რისკის ქვეშ აყენებს ან აიძულებს უარი თქვან რესურსების გაღებაზე;
- რადგან სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC) წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, შესაძლებელია გაიზარდოს სამინისტროებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ზოგადი კოორდინაციის დონე როგორც ცენტრალურ, ისე საველე დონეზე;
- დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობებისა და უნარების მეტი განვითარების საჭიროება;
- სტრატეგიების/პოლიტიკების დანაწილება (ამჟამად მასზე რეაგირება ხდება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების ინტეგრირებული სტრატეგიის ფარგლებში);
- მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები (ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) და სხვ.): ზრდისა და განვითარების მდგრადობის უზრუნველსაყოფად სამინისტროებსა თუ კერძო მოთამაშეებს სჭირდებათ უფრო მაღალი დონის მხარდაჭერა;
- მაღალი დონის შედეგების/ზემოქმედების საშუალებების არარსებობა, ხოლო, გარკვეულ შემთხვევებში, არსებული ინდიკატორები არ არის SMART.

ემპირიული და მტკიცებულებებზე დამყარებული დასკვნების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციების ორი ნაკრები: 1. 28 - მკაცრად ტექნიკური ტიპის რეკომენდაცია (მოდული „ა“) - ანგარიშის ძირითადი ნაწილი), რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ, პროგრამულ (ქვეპროგრამულ) სფეროებთან, რადგან სტრატეგიული ბრენდირება, ტურიზმი, საკანონმდებლო საკითხები და სხვა ტექნიკური მეთოდები უკავშირდება კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებებს; და 2. 7 - ზოგადი რეკომენდაცია აყვანილი სტრატეგიული დაგეგმარების დონეზე (მოდული „ბ“), რომლის პრიორიტეტული რეკომენდაციები დაკავშირებულია სტრატეგიულ დაგეგმარებასთან, კოორდინაციასთან, შედეგებზე დაფუძნებულ მმართველობასა (RBM) და მონიტორინგსა და შეფასებასთან (M&E) შემოკლებული ფორმით;

საბჭოში შედეგებზე დაფუძნებული მმართველობის (RBM) პრინციპების აღქმისა და გამოყენების გაძლიერება, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფუნქციის (უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მდივნის) მანდატის (მისი მოქმედების არეალის გაფართოება პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ხარისხის გაძლიერების მიზნით) საოპერაციო მასშტაბის გაძლიერება ზედამხედველობისა და ხარისხის კონტროლის მიმართულებით, მათ შორის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) შესაბამისი შესაძლებლობების განვითარება როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე (რომლის შედეგადაც მიიღება ისეთი პრაქტიკული პროგრესი, როგორცაა: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის განვითარების

უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭოს ძლიერი ზედამხედველობის ქვეშ უწყებათაშორისი/დაინტერესებულ მხარეთა მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეძლებს განსაზღვროს და გააკონტროლოს მონაცემთა მეტი სტანდარტის დაცვა, რათა უზრუნველყოს მონაცემთა ხარისხი, სრულყოფილება და თავსებადობა; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტრატეგიული პარტნიორობის შედეგად მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.).

ინტეგრირებული, მონაწილეობითი, მრავალსექტორულ/დაინტერესებულ მხარეთა მუნიციპალური დაგეგმარების მეშვეობით საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმების განხორციელების დაწყება და შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნა;

სააგენტოების (კონკრეტულად: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ასევე გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) და მსოფლიო ბანკი) გაერთიანება ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების მომავალი, ინტეგრირებული სტრატეგიის განხორციელებას (2019-2020 წლებში შემუშავების/ტესტირების ფაზა);

პროგრამირების ერთობლივ პრინციპებთან შესაბამისობით, რამდენიმე დაინტერესებულ მხარესთან ერთად, სამინისტროს სააგენტოების მიერ კონკრეტული სამოქმედო სფეროს განხილვა უფრო ინტეგრირებული სახით ჩამოსაყალიბებლად;

ინტეგრირებული, მრავალსექტორული შეფასების პრაქტიკის როგორც ცოცხალი დოკუმენტის დანერგვა, რომლის განახლებაც მოხდება რეგულარულად და რომელიც დაკავშირებული იქნება ცვლილების თეორიის პროექტთან (ზოგადად და პრიორიტეტული სფეროს დონეზე).

1. შესავალი

1.1 შუალედური შეფასების კონტექსტი

2006 წლის ოქტომბერში ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) 2006-2011 სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ აამოქმედა ევროკავშირთან დაახლოების 5-წლიანი სამოქმედო გეგმა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას 2014 წელს მოჰყვა საქართველოს მთავრობის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (AA) ხელმოწერა.

2016 წელს ასოცირების ხელშეკრულების (http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-14-430_en.htm) ძალაში შესვლით საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირში გასაწევრიანებლად რამე ოფიციალური მანდატის მინიჭებას არ გულისხმობს, იგი კონკრეტულად შეიქმნა ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად, ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ინტეგრირების მიზნით.

ხელშეკრულების ერთ-ერთი ელემენტია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა. ხელშეკრულების 333-ე მუხლი (სოფლისა და სოფლის განვითარების კუთხით მხარეთა შორის თანამშრომლობა) ხელს უწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის უკეთ აღქმას. სწორედ ამ მუხლის საფუძველზე შემუშავდა საქართველოს სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (RDSG) ფინანსდება ევროკავშირის სოფლისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის შემუშავების პროცესი მხარდაჭერილია სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში. ამასთანავე, გაეროს განვითარების პროგრამა ახორციელებდა დამატებით ტექნიკურ დახმარებას სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც კონკრეტულად ორიენტირებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგიის (ARDS) ხელშეწყობაზე. 2016 წლის მარტში აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგია, რის შემდეგაც დაარსდა აჭარის სოფლის განვითარების საბჭო (შემდგომში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭო (RDC)).

2016 წლის 30 დეკემბერს საქართველოს მთავრობის N631 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების პირველი ეროვნული სტრატეგია (RDSG) და 2017 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს ქვეყნის სოფლის განვითარების ოთხწლიანი გეგმის სრულყოფილ ხედვას (2017-2020). საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში სამი პრიორიტეტული სფეროა: ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ზრდა; სოციალური და

საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; დასაქმების ზრდა და ეროვნული რესურსების მდგრადი გამოყენება.

სტრატეგიაში წარმოდგენილია საქართველოში სოფლის განვითარების ახალი მიდგომა, რომელიც დამყარებულია ამ კუთხით ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე. ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ სოფლის განვითარებისთვის შეიქმნა უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭო (შემდგომში - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC)), რომელსაც, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ტექნიკური დახმარებით, ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში - MEPA).

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მიზანია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სოფლად სოციალურ-ეკონომიკური აქტივობებისა და სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გზით. სტრატეგიაში ასახულია სახელმწიფოს ხედვა 2017-2020 წლებში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განსავითარებლად, - ადგილობრივი ეკონომიკების ზრდა და დივერსიფიკაცია, სოციალური და საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და განვითარების პროცესში ადგილობრივთა ჩართულობა.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ასპექტად განისაზღვრა სოფლის განვითარების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ფართო ჩართულობა. სოფლის განვითარების პოლიტიკის კოორდინაციას ახორციელებს უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭო, რომლის წევრებიც არიან სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის წამომადგენლები და რომლებიც ერთიანდებიან სოფლის განვითარების სტრატეგიის შემდეგი სამი ძირითადი მიმართულების მიხედვით, კერძოდ: 1. ეკონომიკური, 2. გარემოსდაცვითი და 3. სოციალური. სტრატეგიის მიზანია 3 ძირითად სფეროში შემდეგი 9 ამოცანის მიღწევა:

პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა

ამოცანა 1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურისაცია და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.

ამოცანა 2: სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და სხვადასხვა მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულების განვითარების საშუალებით.

ამოცანა 3: ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.

პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე

ამოცანა 1: ცნობიერების ამაღლება ინოვაციებისა და მეწარმეობის მიმართულებით, ასევე თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).

ამოცანა 2: ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

ამოცანა 3: ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის ზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში

პრიორიტეტული სფერო 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

ამოცანა 1: წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. სამიზნე სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება.

ამოცანა 2: ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 3: კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. რისკების შეფასება.

წინა პროექტების - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისა“ (ENPARD I, 2013-2016) და „საქართველოში სოფლის განვითარების ხელშეწყობის“ პროექტების (ENPARD II, 2016-2018), აგრეთვე სოფლის განვითარების გაუმჯობესების მიმდინარე პროექტის (ENPARD III, 2018-2022) განხორციელების შემდეგ გაეროს განვითარების პროგრამა გადავიდა ამჟამინდელ, მესამე ეტაპზე.

1.2 მიზანი და ამოცანები

საქართველოში სამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები გულისხმობს სამი სხვადასხვა ტიპის შეფასებას სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების განხორციელების ციკლების, პროგრამების/პროექტების და სხვა შემთხვევებში. კერძოდ, ესენია: შუალედური შეფასება, საბოლოო შეფასება და სწრაფი, დროული სიდრმისეული ანალიზი. ამავე მიდგომით ხელმძღვანელობს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმის ზოგადი შეფასებისა და მონიტორინგის (M&E) სისტემა, რომლის კოორდინაციასაც ახდენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) (ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MoA). შუალედური შეფასების მიზანია შეაფასოს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესი და მყისიერი შედეგები, ხოლო საბოლოო ანგარიში მოიცავს პროგრამის მთლიანი ციკლის ზოგად მიღწევებს და სამომავლო სტრატეგიულ რეკომენდაციებს. როგორც შუალედური შეფასებისას, ისე საბოლოო ანგარიშისას გაკეთებული კრიტიკული დასკვნები ეფუძნება პროგრამული ასპექტების, მათ შორის ფინანსური შესრულების, ინსტიტუციური წყობისა და პროცესების ანალიზს და ადგენს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს პროგრამა და გაუმჯობესდეს მისი შედეგები.

შუალედური და საბოლოო შეფასებების მეთოდოლოგიური მიდგომა ერთნაირია, რადგან ორივე გულისხმობს მონაცემების შემდეგ წყაროებს: ინტერვიუები, ფოკუსჯგუფები, დარგობრივი მასალები,

პირველადი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, მეორადი მონაცემების ანალიზი. ამასთანავე, ორივე შეფასებას აფინანსებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. დროული შეფასება ყოველთვის შიდა მოხმარებისაა, ხოლო შუალედური და საბოლოო შეფასება შეიძლება იყოს როგორც შიდა, ისე გარე ან შერეული მოხმარებისთვის. შიდა შეფასებაა, როცა პოლიტიკის შემუშავებასა და პროგრამის კოორდინაციაზე, მათ შორის განხორციელების მართვასა და პირდაპირ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სააგენტო(ები) თავად ახორციელებს შეფასებას, ხოლო გარე შეფასებაა, როცა რეალურ შეფასებას ახორციელებენ არა სახელმწიფო სააგენტოები, არამედ დამოუკიდებელი ექსპერტები.

ევროკავშირის ქვეყნები წინასწარ, შუალედურ და საბოლოო შეფასებას ახორციელებენ დამოუკიდებელი ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის მეშვეობით, რაც, თავის მხრივ, ზრდის შეფასების ობიექტურობის ხარისხს და იძლევა სიტუაციის სხვადასხვა თვალსაზრისით აღქმის შესაძლებლობას. რაც შეეხება საწყის მოთხოვნებს, შეფასებისას იყენებენ შესაბამისობის, ეფექტიანობის, ეფექტურობის, ზემოქმედების, მდგრადობისა და განხორციელების ანალიტიკურ კრიტერიუმებს.

შუალედური შეფასების ამოცანაა შეფასდეს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმა, და არა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტი - სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში (IRDG). რაც შეეხება საწყის მოთხოვნებს, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასების ზოგადი მიზანია სამომავლო დაგეგმარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში წვლილის შეტანა. შუალედური შეფასების შედეგად მიიღება დასკვნები და დაკვირვებები, რომლებიც საბოლოოდ ჩამოყალიბდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების სახით. შუალედური შეფასება უნდა იყოს მოქმედი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიურად გამართული, დამაჯერებელი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი შეფასება.

რაც შეეხება კონკრეტულ ამოცანებს, შუალედური შეფასებით განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- სტრატეგიის ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასება;
- შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- რისკებისა და საპასუხო ღონისძიებების განსაზღვრა;
- სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღების ალბათობის შეფასება;
- მიღებული გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის განსაზღვრა;
- სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმისათვის ზემოქმედების ინდიკატორების საპროექტო ვერსიის შემუშავება;
- საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების რეკომენდაციების წარდგენა წარმატების ალბათობის ზრდის მიზნით.

თავისთავად, შუალედური შეფასება დაიწყო იმ მიზნით, რომ განსაზღვრულიყო, რამ იმუშავა, და რამ არა, და ასეთ შემთხვევაში დადგენილიყო გამომწვევი მიზეზები. შუალედური შეფასებით, სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შედეგების ჩარჩოს ფარგლებში მიღწეული შედეგების განსაზღვრით, გაკეთდა სტრატეგიის ეფექტურობა და გამოყენებული ინტერვენციების შეფასება. ეს გახდა ერთგვარი საფუძველი მიღებული გამოცდილების

ფორმულირებისათვის, რამაც, თავის მხრივ, განსაზღვრა რეკომენდაციები პროექტირების, განხორციელების სტრატეგიისა და შესაბამისი საოპერაციო მოწყობის გაუმჯობესების კუთხით.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად, შუალედური შეფასება განხორციელდა გაეროს მდგრადი განვითარების ჯგუფისა (UNDG) და გაეროს შეფასების ჯგუფის (UNEG) მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, - დამოუკიდებლობის, სრულყოფილების, ობიექტურობისა და ინკლუზიურობის ნიშნებით. ანგარიშვალდებულების მოცულობა განხილული იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) სტრატეგიის შუალედურ ეტაპამდე შესრულების შეფასების მხრივ, რომელიც შესრულდა ეფექტური, ეფექტიანი და მდგრადი მიწოდებით.

შუალედური შეფასება ასევე უზრუნველყოფს მიღწევებისა და პროგრესის მიმოხილვას მოსალოდნელი შედეგების დაგეგმილ მიღწევებთან მიმართებით. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა (RDSG) და სამოქმედო გეგმის შედეგების ჩარჩოს ფარგლებში მიღწეული შედეგების გამოვლენისა და შეფასებისთვის შეგროვდა პროგრესის მონაცემები და ხარისხობრივი მტკიცებულებები დაგეგმილ მიღწევებთან მიმართებით.

მტკიცებულებები მოიცავდა სტრატეგიებისა და გამოყენებული ინტერვენციების ეფექტიანობის, ეფექტურობის, მდგრადობისა და ასევე, შეძლებისდაგვარად, ზემოქმედების შეფასების საფუძვლებს. სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებთან მიმართებით წარმატების შეფასება ეხებოდა შესრულების სპეციფიკურ შუალედური შეფასების კრიტერიუმს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობისას.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) არსისა და განხორციელების გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, სტრატეგიის დარჩენილ ეტაპზე (2020 წელი როგორც საბოლოო წელი) სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების და/ან გადასინჯვის, ოპერაციულ მოდალობებთან შესაბამისობის მიზნით, შეფასებით დადგინდა რეკომენდაციები ქვეყნის დონეზე დაგეგმვის პროცესის და საოპერაციო შედეგების გაძლიერების მიმართულებით.

ანალიზის უმნიშვნელოვანესი ასპექტია ფინანსების ათვისების პარამეტრები. დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზებაში მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლს შეასრულებდა ნებისმიერი ყურადსაღები შედეგი, ეფექტურობის, ადრეული ზემოქმედების ან/და ეფექტიანობის სარწმუნო მტკიცებულება იმისათვის, რომ გამოსწორდეს ყველა ხარვეზი ან შეივსოს თავდაპირველად დადგენილი ზღვრული ოდენობის მიღმა არსებული სპეციფიკური საბიუჯეტო ნაწილები.

რადგან საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) დასრულების თარიღი შედარებით ახლოსაა (შეფასების დამტკიცების თარიღიდან 2020 წლის ბოლომდე დარჩენილია, სულ რაღაც, 15 თვე), მომავალზე ორიენტირებული ანალიზისა და რეკომენდაციების მთავარი აქცენტი გადატანილი იყო სამოქმედო გეგმის დონეზე არსებულ საუკეთესო პრაქტიკასა და მიღებულ გამოცდილებებზე, ანუ, უფრო მეტად იმაზე, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული პროგრამის/პროექტის შესრულება, და არა იმაზე, რომ გადასინჯოს სტრატეგიის მთლიანი დიზაინი.

შეფასების ძირითადი აუდიტორიაა: i. სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) ხელმძღვანელობით; ii. გაეროს განვითარების პროგრამა როგორც პროექტის ხელმძღვანელი; iii. ევროკავშირი (EU); ასევე, iv. სხვა შესაბამისი სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები, მათ შორის ფინანსური/ტექნიკური

პარტნიორები, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, ბენეფიციარები/სამიზნე საზოგადოება და, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობა.

1.3 მასშტაბი

კონსულტანტმა ანგარიში ჩააბარა პროექტის - სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში (IRDG) ეროვნულ მენეჯერს, ასევე იმუშავა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან (IACC) მჭიდრო კონსულტაციით. საკონსულტაციო სამუშაო გულისხმობდა ისეთ საკითხებს, როგორცაა:

ინფორმაციის ყველა შესაბამისი წყაროს ანალიზი, კერძოდ, სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის ანგარიში, ფაილები, ეროვნული სტრატეგიული და სამართლებრივი დოკუმენტები, ნებისმიერი სხვა მასალა, რომელსაც სასარგებლოდ მიიჩნევს შემფასებელი მტკიცებულებაზე დამყარებული შეფასების საწარმოებლად, მათ შორის, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შემთხვევის კვლევა ობიექტური ინდიკატორების საბოლოო ანგარიშისთვის.

შეფასების გეგმის შემუშავება შეფასების კრიტერიუმებთან ერთად.

სოფლის განვითარების კუთხით საქართველოში ამჟამად არსებული სიტუაციის განსაზღვრა, ასევე უკანასკნელი მოვლენებისა და საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიდწევების კვლევა.

შეფასების ჩარჩოში მოქცევა შესაბამისობის, ეფექტიანობის, ეფექტურობის, ზემოქმედებისა და განხორციელების შესაძლო კრიტერიუმების საშუალებით. შუალედურ შეფასებაში მოცემულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც არის სანდო, შემოწმებული და სასარგებლო.

შუალედურ შეფასებას მოჰყვა ჩართულობითი და საკონსულტაციო მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მჭიდრო ურთიერთობას მთავრობასთან, სოფლის განვითარების უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან, სამუშაო ჯგუფთან, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)/„სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG) პროექტის გუნდსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ინიციატივებიდან იმის განსაზღვრა, თუ რამ იმუშავა, და რამ არა (და რატომ), ასევე პროგრამის მიდგომებისა და სტრატეგიების განსაზღვრა, რომლებსაც ექნებათ ყველაზე ეფექტიანი შედეგები.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, როგორც საქართველოს სოფლის განვითარების კუთხით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამაში (ENPARD) საქართველოს უფრო ფართო ჩართულობის, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ეფექტურობის, ზემოქმედების, მდგრადობისა და განხორციელების შეფასება. შუალედური შეფასების ანგარიში მოიცავს ერთ თავს, რომელშიც მოცემულია დასკვნები, რეკომენდაციები და მიღებული გამოცდილება.

შეფასების ანგარიშის პროექტში მოცემული აღწერილობითი მიმოხილვა, ასევე ფაქტების, რისკებისა და მიღებული გამოცდილების მიმოხილვა და წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები.

2017 და 2018 წლების „წლის შემაჯამებელი ანგარიშების“ დაკვირვებების, დასკვნებისა და შესაბამისი სტრატეგიული რეკომენდაციების რეაგირების კუთხით შესწავლა როგორც ტაქტიკური, ისე საოპერაციო მიმართულებით.

შეფასებისას განხორციელებული ბიუჯეტის ანალიზი, რომელიც ეყრდნობა ერთობლივ და დანაწილებულ ფინანსურ მონაცემებს და რომელიც მიღებულ იქნა სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის დეტალური ფინანსური მონაცემები შედეგებთან, ძირითად აქტივობებთან/ქმედებებთან მიმართებით, განხორციელების თითოეული წლისათვის; და ფინანსური მიმოხილვის მონაცემები, სრული რეალური ხარჯებისა და შესაბამისი თანხების ათვისებით, თითოეული სტრატეგიული შედეგის/პროგრამის მიხედვით).

შეფასება არ მოიცავს შემდეგ არეალს: აჭარას, რომელსაც თავისი ავტონომიური სტატუსიდან გამომდინარე აქვს საკუთარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგია (ARDS) (დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2016 წლის მარტში) და ასევე საქართველოს იმ ტერიტორიებს, რომლებიც უკანონოდ არის ოკუპირებული უცხოური სამხედრო ძალების მიერ და, შესაბამისად, ვერ სარგებლობენ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) სიკეთებით.

1.4 შეფასების კრიტერიუმები და კითხვები

შუალედური შეფასება ჩატარდა იმ მონაცემების გამოყენებით, რომლებიც მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის ოფიციალური ანგარიშგების და მონიტორინგისა და შეფასების (M&E) სისტემებიდან. ქვემოთ აღწერილია შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი:

შესაბამისობა: საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ამოცანების ეროვნულ და რეგიონულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებთან შესაბამისობა; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გავრცელდეს ქვეყნის საერთაშორისო და რეგიონალურ ვალდებულებებზე შესაბამისი კონვენციებისა და შეთანხმებების ფორმით. ამ კრიტერიუმით დგინდება, რამდენად შეესაბამება სახელმწიფო პროგრამების მიზნები და ამოცანები საზოგადოების საჭიროებებსა და მთავრობის პრიორიტეტებს. მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (ARDA) (2019 წლის მაისამდე), ცნობილი როგორც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA) და სოფლის კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA).

ეფექტურობა: განხორციელების პროცესისა და სტრუქტურების მეშვეობით მიღწეული შედეგები. ეს კრიტერიუმი პასუხობს, რამ იმუშავა კარგად, და რამ არა, და რატომ; ის ასევე აანალიზებს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესაბამისობას და წარმატებას პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების საჭიროებებზე რეაგირების კუთხით. ეფექტურობის კრიტერიუმი ასევე უნდა აფასებდეს იმ დონეს, რომელზეც სამიზნე ჯგუფებზე თანაბრად გადანაწილდა მიღწეული შედეგები.

ეფექტიანობა: შედეგების რესურსების შესაბამისი რაოდენობითა და ტრანზაქციის მინიმალური ხარჯებით შესრულება (თანხები, ექსპერტიზა, დრო, ადმინისტრაციული ხარჯები). საუკეთესო

შემთხვევაში, შედეგები მიღწეული იქნება თავიდან ნავარაუდებზე ნაკლები საინვესტიციო რესურსით, ხარისხის კუთხით - ყოველგვარი ხარვეზის გარეშე.

მდგრადობა: საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG)/სამოქმედო გეგმის ინტერვენციებისა და მისი დამხმარე პროექტის დასრულების შემდეგ, ნებისმიერი სისტემის, პროცესის, პროცედურისა თუ მექანიზმის და მათთან დაკავშირებული შედეგების გაგრძელების მოლოდინი. კერძოდ, ეს გულისხმობს ისეთ ანალიზს, რომლითაც დადგინდება, რამდენად მოხდა მოკლევადიანი ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებიდან ინსტიტუციურ შესაძლებლობებზე გადასვლა, რომლებმაც უნდა გაუძლონ გრძელვადიან ტესტს და უზრუნველყონ მიღწეული შედეგების გახანგრძლივება.

ზემოქმედება: გრძელვადიანი ტრანსფორმაციული ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება და, შესაბამისად, გამოწვეულია ან შექმნილია საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის პროგრამული ინტერვენციების გზით ან უდავოდ შეაქვს მასში წვლილი. ამ კრიტერიუმით ასევე დგინდება, რამდენად აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედება ნებისმიერ პოტენციურად არსებულ არაგამიზნულ შედეგებს ეროვნულ და/ან რეგიონულ განვითარებაზე; და რამდენად მოხდა ამ ზემოქმედების გათვალისწინება ან მართვა. ადრეული ზემოქმედების მკაფიო მტკიცებულების მოპოვება შუალედური შეფასებისას, შეიძება, გართულდეს, რადგან ხშირად ტრანსფორმაციული ცვლილების წარმოჩინდება პროგრამის შუალედური ციკლის დასასრულისკენ ან, სულაც, პროგრამის 3-5 წლიანი ეტაპის შემდეგ. ამ კუთხით, შუალედური შეფასებისას აქცენტი კეთდება ადრეული ზემოქმედების ნებისმიერი ნიშნის აღმოჩენაზე. ამასთან, შუალედური შეფასება იძლევა საშუალებას მოხდეს შესაძლო ზემოქმედების პროგნოზირება გამოვლენილი სიმპტომების ექსტრაპოლაციის გზით და არსებული და (უახლოეს) მომავალში სავარაუდო ყველა კონტექსტუალური ვარაუდის დასახელებით, რაც გამოიწვევს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაზე ხანგრძლივ, გრძელვადიან გავლენასა და ზემოქმედებას.

განხორციელება: ეს კრიტერიუმი ეყრდნობა დიდწილად ეფექტიანობისა და ეფექტურობის კრიტერიუმებიდან მიღებულ ინფორმაციას. განხორციელების კრიტერიუმის კითხვები გულისხმობს შემდეგს: იყო თუ არა რამე ხარვეზი გამოწვეული განხორციელებისას დაგეგმვის პრინციპების გაუთვალისწინებლობის გამო. გამოიყო თუ არა შესაბამისი რესურსები (იქნება ეს ფულადი, ადამიანური, თუ მატერიალური) საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ძირითადი ქმედებებისა და აქტივობების გამოყენებისა და განხორციელებისათვის ზოგადად და სხვადასხვა ჯგუფებსა და კატეგორიებს შორის თანასწორობის თვალსაზრისით (მათ შორის გენდერის, ახალგაზრდების/ასაკოვნების, პერი-ურბანული/შორეული-ურბანული მუნიციპალიტეტები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ეთნიკური თავისებურებები და სხვ.).

როგორც ხედავთ, წინამდებარე შეფასება ემსახურებოდა ორ მიზანს, კერძოდ, დაინტერესებული მხარეების მიმართ როგორც შიდა, ისე გარე ანგარიშვალდებულების მხარდაჭერას შეთანხმებულ შედეგებთან დაკავშირებით და ცოდნის ხელშეწყობას. ამ ეტაპზე შეფასებულია მხოლოდ არსებული შედეგები როგორც მიღებული გამოცდილების, ისე საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენით, რომელიც გამოყენებული იქნება შემდგომი გაუმჯობესებისათვის და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ დასაგეგმი აქტივობების განხორციელებისას.

რაც შეეხება ცოდნის ხელშეწყობის კომპონენტს, იგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან გულისხმობს ისეთ მრავალსექტორულ ტრანსფორმაციულ ცვლილებებს, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (RDSG). სტრატეგიის მიზანი მეტად კომპლექსურია და მოითხოვს მდგრად, გრძელვადიან მხარდაჭერას იმ მიმართულებებში, როგორცაა, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის დივერსიფიკაცია, ინოვაციების კულტურის დანერგვა და, ასევე, საქართველოს როგორც ტურისტულად პოპულარული (ევროპული) ქვეყნის (მიმართულების) განვითარება.

წინამდებარე შეფასების ორმაგი ბუნება გათვალისწინებულ იქნა შეფასების საბოლოო პროდუქტების მრავალმხრივობაში:

- მოკლე- და საშუალოვადიანი შედეგების შეფასება და მათი წვლილი ეროვნული განვითარების პრიორიტეტებში;
- იმის განსაზღვრა, თუ რამ იმუშავა, და რამ არა, და რატომ;
- შეგროვებული ინფორმაციის სტრუქტურირება და ანალიზი დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით, რომელიც სასარგებლო იქნება შედეგების განსაზღვრისათვის და სამომავლო პროგრამებისთვის; ასევე, იმ შესაბამისი მექანიზმების გასაძლიერებლად, რომლებიც საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შემდეგ განსახორციელებელი პროგრამების/პროექტებისთვის ოპერაციების განხორციელებას, ზედამხედველობასა და მმართველობით შეთანხმებებს (კოორდინაცია, თანხების შეგროვების მართვა, საპარტნიორო შეთანხმებები) ეხება.

2. მეთოდოლოგიის აღწერა

2.1 მონაცემების შეგროვებისა და ინტერვიუების ფაზის ზოგადი მიდგომა

ქვეყნის შიდა ფაზის დასაწყისში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC)/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (MEPA) და სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში (IRDG) - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ჯგუფს შორის ჩატარდა საწყისი შეხვედრა. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ აღინიშნა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანალიზისას, ეს საკითხებია:

1. კონცეპტუალური ურთიერთქმედება და კვეთა სხვა სექტორებთან: სოფლის განვითარების კონცეფციის ფართო ცნებიდან გამომდინარე, არსებობს მრავალი კვეთა და ურთიერთკავშირი ბევრ სახელმწიფო პოლიტიკასა და დარგობრივ სტრატეგიასთან. რადგან ქართული ეკონომიკური დაგეგმარებისთვის ცნება - სოფლის განვითარება - უცხო იყო ბოლო პერიოდამდე, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შედეგების განსაზღვრის პროცესი შედგებოდა „ამოჭრა-ჩასმის“ მიდგომისგან, რა დროსაც არსებული დარგობრივი სტრატეგიებიდან

კონკრეტულად განსაზღვრული ქვესტრატეგიული ინტერვენციები თუ მთლიანი ქვედარგები გადმოვიდა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში.

2. შიდა კოორდინაცია: საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიამდე (RDSG) შემუშავებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაზე (ADSG) ასევე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია შემუშავდა არა იმდენად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), რამდენადაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით.

3. შერჩევა: ლოგისტიკური შეზღუდვების (დრო, თანხები და სხვ.) გათვალისწინებით, წინასწარ შეთანხმდა რამდენიმე შერჩეულ პროექტთან დაკავშირებული ვიზიტების განხორციელება, რომელიც მიეკუთვნებოდა ძირითად გეოგრაფიულ არეალს (აღმოსავლეთის პლატო, მთიანი რეგიონები, ცენტრალური დაბლობები, შავი ზღვის სანაპირო ზოლი და მივარდნილი ტერიტორიები). შერჩევას, გეოგრაფიული შერჩევის პირველ ეტაპზე (სამი ძირითადი რეგიონი/საქართველოში სოფლის გარემოს ტიპური კონტექსტი, ანუ, აღმოსავლეთის პლატო, ჩრდილოეთის მთიანი რეგიონები, და დასავლეთში შავი ზღვის სანაპირო ზოლი; ასევე დაემატა ცენტრალური რეგიონი, რადგან გუნდს ჩრდილოეთით ან დასავლეთით გადაადგილებისას მაინც უწევდა აღნიშნული რეგიონების გავლა), ნაცვლად წმინდად მეცნიერული და აბსტრაქტული სტატისტიკური მიდგომისა (წმინდა მეცნიერული წარმომადგენლობითი შერჩევა), გამოყენებულ იქნა მრავალეტაპიანი მიზნობრივი შერჩევის მეთოდი; ამას მოჰყვა პროექტის მიზნობრივი შერჩევის ეტაპი, რომლის დროსაც განისაზღვრა რეგიონის ის კონკრეტული ადგილები, სადაც უნდა განხორციელებულიყო ვიზიტი (დეტალებისთვის გაეცანით II-ა ქვეთავს). მიღებულ იქნა სავლეთ ვიზიტების ორ ეტაპად გაყოფის გადაწყვეტილება. პირველი ეტაპი შედგებოდა სამდღიანი ინტერვიუებისა და აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთი) ვიზიტისაგან, რომელსაც მოჰყვა 1-კვირიანი ვიზიტი ჩრდილოეთსა და დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, გურია, ასევე იმერეთი). შეირჩა ასევე სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტები, რომლებშიც შედგა როგორც ორმხრივ (შეხვედრა ფერმაში/ქარხანაში/პროექტის განხორციელების ადგილზე ან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონულ ოფისში), ისე ფოკუს ჯგუფების ფორმატის შეხვედრები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/რეგიონული ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი (ICC) შესაბამის კოორდინაციის ცენტრებთან და პროექტის შერჩეული ბენეფიციარებთან.

4. მონაცემთა ხარისხი: დაინტერესებული მხარე სამინისტროები აწარმოებენ საკუთარ მონაცემებს, რომლებსაც წარუდგენენ სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) როგორც „მოცემულს“. არ არსებობს არსებულ პროცესში მონაცემთა ხარისხის შემოწმების რამე ისეთი მექანიზმი, რომლითაც დაიბლოკება დაინტერესებულ მხარე სამინისტროთა მიერ შესრულების ანგარიშგებასთან ან სხვა სტატისტიკასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ფარგლებში მომზადებულ არანაირ ინფორმაციას არ იღებს. შესაბამისად, მეტამონაცემების განსაზღვრების არქონისა და ოფიციალური მონაცემების ხარისხის კონტროლის პროცედურების

არარსებობის გამო, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა აღნიშნული ინფორმაციის სანდოობას, სიზუსტესა და სრულყოფილებას, სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამუშავებს მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკას. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ ინფორმაცია არ შეიძლება იყოს და არ უნდა იყო გამოყენებული, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს მონაცემების ანალიზისას, მაგალითად, როდესაც მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა ან არ გააჩნია რამე აზრი.

5. ცენტრალურ დონეზე კოორდინაცია: ცენტრალურ დონეზე ჩართულ სამინისტროებთან დაკავშირებისას (თანამშრომლებთან შესახვედრად, მიმდინარე საკითხების დაზუსტებისთვის უფრო დეტალური საპროექტო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე იმ ადგილების შესათანხმებლად, სადაც უნდა შედგეს ვიზიტი) შეთანხმდა, რომ სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC)/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) ხელს შეუწყობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრების კოორდინაციას.

6. ინფორმაციაზე წვდომა/ინფორმაცია სავლე ვიზიტებისას: საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გარდა, სხვა დაინტერესებული სამინისტროების მიერ განხორციელებულ ინტერვენციებზე პროექტის ბენეფიციარებისთვის თავისუფალი და მოქნილი წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყდა რეგიონულ ცენტრებში შეხვედრების კოორდინაცია. კოორდინაცია მოხდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი რეგიონული ბიუროებს მეშვეობით, რომლის თანამშრომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ შეფასების შეხვედრების კოორდინაციას.

7. აჭარის განსაკუთრებული შემთხვევა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსიდან გამომდინარე, ეს რეგიონი არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში (RDSG), შესაბამისად, ის არ შეფასებულა. ამასთან, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი დამოუკიდებელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგია 2016-2020 (ARDS).

8. უსაფრთხოების სიტუაცია: მეზობელი ქვეყნის მიერ მიმდინარე ოკუპაციის გამო საქართველოს ორ რეგიონში - აფხაზეთსა და ოსეთში ვიზიტების განხორციელება და, შესაბამისად, შეფასება შეუძლებელია. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ამ რეგიონებს სამოქმედო გეგმა საერთოდ არ ითვალისწინებს.

9. ენობრივი ხარვეზი: ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებდა, განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობის, განსაკუთრებით ბენეფიციარების ინგლისური ენის არცოდნა დიდი ალბათობით; ასევე, კონსულტანტის მხრიდან რუსულ ენაზე კომუნიკაციის წარმართვის ნაკლები შესაძლებლობა და მათი შეზღუდული უნარები ქართულ ენაში; აგრეთვე, მთარგმნელობითი მომსახურება; ეს საკითხი გადაწყდა ენების შესაბამისი უნარების მქონე სტაჟიორის მირანდა აფაქიძის შერჩევით და დაქირავებით. იგი აკმაყოფილებდა შემდეგ კრიტერიუმებს: ინგლისური ენის კარგი უნარები; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი სტაჟიორი; სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის კურსდამთავრებული; დაინტერესებული მეტყველებით; გაზრდილი სოფლად.

10. ზოგადი დახმარება ველად: სავლელ ვიზიტების ეტაპზე ზოგადი ლოგისტიკური კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველი და საჭირო იყო ისეთი თანამშრომლების ჩართვა, რომლებსაც ექნებოდათ ცოდნა ზოგადი კონტექსტის შესახებ, რაც ასევე მოიცავს ტექნიკურ და საკოორდინაციო უნარებს. ასეთ თანამშრომლებს დამატებით უნდა შესძლებოდათ ადგილზე დაინტერესებულ მხარეთა (განსაკუთრებით ადმინისტრაციული სტრუქტურების) დაკვალიანება, ორიენტირებაში დახმარება და ხელშეწყობა. შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შეფასების ჯგუფს გაჰყოლოდა სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მდივანი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ზვიადაძე. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების საერთო სისტემა (თბილისი, საქართველო, 2017, გვ. 20) მკაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფო სააგენტოს პასუხისმგებელი პირის უფლებას, სრულფასოვანი მონაწილის სტატუსით მონაწილეობა მიიღოს შეფასებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების ანალიზი და ანგარიშის შედგენა განხორციელდა დამოუკიდებლად, კონსულტანტის მიერ.

მონაცემების შეგროვების რეალურ ეტაპზე, დოკუმენტების გადახედვისა და ანალიზის პარალელურად, შეფასებაში ჩართული იყვნენ ყველაზე დიდი რაოდენობის და სხვადასხვა ძირითადი მიმართულების რესპონდენტები. რესპონდენტებთან ჩატარდა ინტერვიუები, როგორც ზოგადად, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა (RDSG) და მის სამოქმედო გეგმასთან, ისე შედეგებსა და რეზულტატებთან დაკავშირებით. მათ შორის იყვნენ მაღალი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირები, ტექნიკური საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები პირები, პროგრამის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი, პროექტის ადგილობრივი გუნდი, ბენეფიციარები და მუნიციპალიტეტის დონეზე პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები.

როგორც წესი, რესპონდენტები იყვნენ ხელმძღვანელი პირები როგორც გადაწყვეტილებებს მიღების, ისე ზედამხედველობის ეტაპზე, პროგრამის/პროექტის მენეჯერები და საოპერაციო მენეჯმენტის წარმომადგენლები. რესპონდენტებს შორის შეძლებისდაგვარად იყვნენ ასევე სავლელ დონეზე პარტნიორი პირები და ბენეფიციარები (კერძო სექტორი, ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება, ფერმერები, კოოპერატივების წევრები და მოქალაქეები).

შუალედური შეფასება მიზნად ისახავდა შეძლებისდაგვარად მეტი მნიშვნელოვანი რესპონდენტის ჩართვას შეფასების პროცესში და, სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, ინფორმაციის ობიექტურად და სარწმუნოდ შეფასებას, ასევე ხარისხიანი ინფორმაციის შეფასებას დამოკიდებულებებისა და საკითხთა ზოგადი აღქმის კუთხით. რაც შეეხება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმვას, ოპერაციულ მართვასა და ერთობლივი ზედამხედველობის სტრუქტურებს, ასევე უწყებათაშორის მართვასა და კოორდინაციას, შეფასებაში მონაწილეობდნენ რესპონდენტები მმართველობის ზედა რგოლიდან, პროგრამისა და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი თანამშრომლები. ქვემოთ მოცემულია გამოყენებული მიდგომის თანამიმდევრული ლოგიკური სქემა:

ანალიტიკური კასკადის თანამიმდევრობა

ა. დოკუმენტაციის ანალიზი (ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მოგროვება და სხვ.);

=> ბ. ძირითადი პირველადი დაგეგმარება და ჰიპოთეზის შემუშავება;

=> გ. მიზნობრივი შერჩევა;

=> დ. მონაცემების შეგროვება (ცენტრალური/რეგიონული; ხარისხობრივი/რაოდენობრივი; დაკვირვებები, ინტერვიუები, მათ შორის არააღბათური მიდგომის გამოყენება, რომელიც მიჰყვება ინტერვიუების/საველე შეხვედრების დროს მიზანმიმართულად შერჩეული რესპონდენტების მოსაზრებებს) ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების მეშვეობით, შეფასების კრიტერიუმის ძირითადი კითხვების გამოყენებით, რომლითაც ხდებოდა შესაბამისი დისკუსიების გამოწვევა;

=> ე. ანალიზი (მონაცემების ტრიანგულაცია, ექსტრაპოლაცია, ჰიპოთეტური დასკვნების დადასტურება/უარყოფა და სხვ.);

=> ვ. მტკიცებულებებზე დამყარებული დასკვნები;

=> ზ. დასკვნები;

=> თ. რეკომენდაციები.

ზოგადად, შუალედური შეფასებით განიხილება ორი მეტამონაცემი, კერძოდ: ა) (ძირითადად) ხარისხობრივი მონაცემები, რომლებიც შეგროვდა ინტერვიუების დროს და ბ) რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც გამოვლინდა დოკუმენტაციის შეფასებისას და მონაცემების საარქივო ძეგლისას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სამინისტრო და პროგრამის მართვაში ჩართული პარტნიორები. ქვეყნის შიდა ფაზის განხორციელებისას სხვადასხვა საშუალებისა და ფაზის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია ემსახურებოდა მტკიცებულებათა მოგროვებას (ძირითადად, ინტერვიუებისა და მონაცემთა ანალიზის მეშვეობით, როდესაც გამოიყენებოდა მონაცემები საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ლოგიკური ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის ინდიკატორების ინფორმირებისათვის), რომელთა მუდმივი და სისტემური გადამოწმება ხდებოდა სხვა საინფორმაციო წყაროებთან მიმართებით, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დასკვნები ყოფილიყო ღია სხვადასხვა მოსაზრებისა და გამოწვევისათვის.

ამ მიდგომით, მონაცემების პირველადი შეგროვებისას გაძლიერდა დასკვნების ვალიდურობა, სანდოობა და ყოვლისმომცველი ხასიათი, ხოლო მონაცემების შემოწმების შემდეგ ფაზაზე, ეტაპობრივად, დასკვნები ჩამოყალიბდა უფრო მკაფიოდ, რაც განაპირობა სიდრმისეული და ზოგადი მონაცემების ზედმიწევნით გამოკვლევამ და შემოწმებამ. აქედან გამომდინარე, გაიზარდა საოპერაციო და საკოორდინაციო პარამეტრების მიმართ შინაარსის, დასკვნებისა და რეკომენდაციების საბოლოო ჩამონათვალის შესაბამისობა.

მონაცემების ჯვარედინი შემოწმება შეძლებისდაგვარად ხდებოდა განმეორებითი და თანამიმდევრული ინტერვიუების მეშვეობით (მაგ., აშკარა და ფარული ჰიპოთეზები/თეორიები გამოხატული უფრო რთულ, კომპლექსურ დონეზე საკოორდინაციო/მენეჯმენტის ცენტრალური სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ შემოწმებისთვის შეგებებულ იქნა ქვედა დონის ბენეფიციარების მოსაზრებებთან, შეხედულებებსა და კონკრეტულ მტკიცებულებებთან, რომელიც მოიპოვებოდა მონაცემთა მოგროვების ფაზის განმავლობაში).

სისტემატურად ეჭვქვეშ დგებოდა დასკვნები, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გამყარებულია ისინი მტკიცებულებებითა და ემპირიული მონაცემებით. სხვადასხვა მოსაზრებების შედარება და შეპირისპირება იძლეოდა დასკვნების, მოსაზრებების, განცხადებებისა და პროგნოზების ვალიდურობის შეფასების საშუალებას. სისტემური ძალისხმევის შედეგად, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი წუხილი და კრიტიკა, მაგალითად, პროგრამის კოორდინატორების, შემსრულებლებისა და ბენეფიციარების ცალკეული შეხვედრებისას ან შემდგომ ინდივიდუალური განხილვებისას. შესაბამისად, მივიღეთ უფრო მკაფიო სურათი, რომლითაც შესაძლებელი იყო „რეალურისა“ და „ნამდვილის“ უკეთესად აღქმა (მის ემპირიულ ვარიანტში ან სხვაგვარად, ვერსია ძირითადად ფართოდ მისაღები იყო).

მასშტაბურ დონეზე წახალისებული იყო დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკუთარი მოსაზრებების (დამოკიდებულება) და შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმის ზოგად დიზაინთან, განხორციელების მიდგომასთან და ინტერვენციების ხარისხთან დაკავშირებით შესაბამისობის, ეფექტიანობის, ეფექტურობის, ზემოქმედებისა და მდგრადობის კუთხით. ამგვარად შეგროვებულმა მრავალმხრივმა, ყოვლისმომცველმა მონაცემებმა მოგვცა პოტენციურად არსებული განსხვავებების უკეთ აღქმისა და რაციონალიზაციის საშუალება და დაადგინა სხვადასხვა დოკუმენტისა თუ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამული ინტერვენციებისა და შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, მექანიზმებისა და პროცესების ეფექტიანობა, ეფექტურობა, მდგრადობა და შესაბამისობის შესახებ „სიმართლის“ სხვადასხვა ვერსიები.

მონაცემების შეგროვების ეტაპის დაგეგმარებისა და განხორციელებისას, მთელი ძალისხმევა მიიმართა შუალედურ შეფასებაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობისთვის და სოფლად განხორციელებული სავსე შეხვედრები ჩატარდა სწორედ ამ მიდგომით. კითხვარის ნიმუშის შედგენისას გამოყენებულ იქნა მრავალეტაპიანი მიზნობრივი შერჩევის მიდგომა (შერჩევის ლოგიკის დეტალური აღწერისათვის იხ. დანართი 5.7).

ბენეფიციარებისგან ყოველთვის ითხოვდნენ კომენტარებს, თუ რისი შეფასება ხორციელდებოდა და როგორ, მათ შორის შეფასებაში მათი კონკრეტული როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. ამასთანავე, შეფასებით დგინდებოდა, რამდენად ჰქონდათ დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა და საშუალება მონაწილეობა მიეღოთ შესაბამისი ინტერვენციების პირველ დაგეგმვაში, მათ შემდგომ განხორციელებაში და მონიტორინგში.

მონაცემებისა და ინფორმაციის მრავალეტაპიანი შედარებისა და ფილტრაციის, ასევე გაკეთებული განცხადებების ეჭვქვეშ დაყენებით და მონაცემების ანალიტიკურად დამუშავებით განისაზღვრა პრობლემური საკითხები, გამოწვევები, საუკეთესო პრაქტიკა, მიღებული გამოცდილება, დასკვნები და ზოგადი რეკომენდაციების დეტალური პროფილი, რომელშიც აღწერილია საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ძლიერი და სუსტი მხარეების კომპლექსურობა შედარებით მაღალ ხარისხში. საბოლოო ანალიზით განისაზღვრა დასკვნებისა და დაკვირვებების შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც გამოყენებული იქნება ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა (ქვე)უწყებისა და პერსპექტივისგან.

ცხრილში მოცემულია შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების ტიპი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	მონაცემების ტიპი	
	ხარისხობრივი	რაოდენობრივი
1. შესაბამისობა	დიახ	არა
2. ეფექტურობა	დიახ	დიახ
3. ეფექტიანობა	დიახ	დიახ
4. მდგრადობა	დიახ	არა
5. ზემოქმედება	დიახ	არა
6. განხორციელება	დიახ	(მე-2 და მე-3 მონაცემიდან აღებული ინფორმაცია)

რაც შეეხება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონიტორინგისა და შეფასების (M&E) სისტემების, პროცესებისა და მათ შესრულებასთან დაკავშირებული ხარისხის საკითხებს, შეფასებით უნდა დადგინდეს, რამდენად იქნა მიღწეული სახელმძღვანელო დოკუმენტში მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოთი (2017) განსაზღვრული ამოცანები. ეფექტიანობის ანალიზი ასევე მოიცავს განხორციელების პროგრესის შეფასებას ფინანსური ხარჯების დონეების ჭრილში. ასევე ყურადღება იქნა გამახვილებული მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ანგარიშების შესაძლებლობაზე, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული შემდეგ მეთოდებთან:

ინტერვიუების დროს, განსაკუთრებით, სამთავრობო პარტნიორებს და ასევე (სხვა) ბენეფიციარებს დაუსვეს კითხვა: რამდენად ხელმისაწვდომია შესაძლებლობების განვითარების ინტერვენციის მიღება და როგორ; და შეიძლებოდა თუ არა რამის უკეთესად გაკეთება; ასევე, ამ კონკრეტული მიმართულებით, რა მოლოდინები ჰქონდათ 2020 წელს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) სამოქმედო გეგმიდან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიღწეულ წარმატებას, პირდაპირი/სამიზნე და არაპირდაპირი (არა კონკრეტულად დაგეგმილი ან გამიზნული) შესაძლებლობების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებები, ეკოლოგიური მდგრადობა, მონიტორინგი და შეფასება (M&E), კომუნიკაციები/ოპერაციები, ასევე მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), მიდგომის ცოდნა და აღქმა და შესაბამისი ახალი ინსტრუმენტები და პროცესები, ზოგადად.

ეკოლოგიური მდგრადობის პროგრამირების პრინციპი შეფასდა შესაბამის შედეგზე/სტრატეგიულ ღერძზე განსაკუთრებული აქცენტის გადატანით, რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვას, ნარჩენების მართვასა და კლიმატის ცვლილებებს. ამასთან, ამ კონკრეტულ ჭრილში მოხდა პირველი და მეორე

პრიორიტეტული სფეროს საოპერაციო და განხორციელების საკითხების სკრინინგი, მათ შორის i. თანამშრომლების, შემსრულებელი პარტნიორების (IP), პარტნიორებისა და ბენეფიციარების ინფორმირება ფერმების მხარდამჭერი პროექტების შესახებ (პლასტმასის ნარჩენები, ნახშირორჟანგის გამოყოფა და სხვ.); ii. ტექნიკური და/ან ორგანული ნარჩენების გადამუშავება; და iii. ისეთი ხელსაწყოების, ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის დიზაინს, შერჩევასა და შესყიდვას, რომელიც საჭიროებს ელექტროენერჯიას და შესაბამის ენერგოეფიციენციას.

სამუშაო გეგმის სტრუქტურა და ზოგადი გრაფიკი

მისიის სამუშაო გეგმა შედგებოდა სამი ძირითადი ამოცანისგან: მოსამზადებელი ფაზა, მონაცემების შეგროვების ფაზა და მონაცემების ანალიზისა და შედეგის ფაზა. მოსამზადებელ ფაზას აქვს თავისი ძირითადი ამოცანები, საწყისი ანგარიში, ანუ, სავარაუდო შეფასების სამუშაო გეგმა და მეთოდოლოგია. მისიის კლიენტების მიერ ზოგადი მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და გრაფიკის შესწავლისა და დამტკიცების შემდეგ, სავლელ შეხვედრების განრიგთან ერთად, შემუშავდა დეტალური სამუშაო გეგმა.

ზოგადი გრაფიკი იყო შემდეგი სახის:

- ✓ საწყისი ანგარიშის წარდგენა - 20 ივლისამდე (სახლიდან);
- ✓ ანალიზი და კონსულტანტთან უკუკავშირი - 25 ივლისამდე; ამავდროულად, არსებული დოკუმენტების შესწავლა კონსულტანტის მიერ (სახლიდან);
- ✓ კონსულტანტის თბილისში ჩამოსვლა - 29 ივლისამდე;
- ✓ ქვეყნის შიდა კვლევისა და მონაცემების შეგროვების ფაზის დაწყება - 1 აგვისტომდე: შეხვედრა სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთან (IACC) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მათ შორის გაროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP/IRDG) პროექტის გუნდთან;
- ✓ ქვეყნის შიდა სავლელ შეხვედრები, ინტერვიუები პარტნიორებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ცენტრალურ და რეგიონულ/მუნიციპალურ დონეზე; ვიზიტი ინტერვენციის ყველა მუნიციპალიტეტში/რეგიონში (ძირითადი აქტივობების ადგილების წარმომადგენლობითი ნიმუშის განსაზღვრა თუ ყველა არა, მაშინ იმ ლოკაციისთვის, რომელიც სარგებლობს სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელებით და რომლის მონახულებაც შესაძლებელია) (2-5 აგვისტო - ცენტრალურ დონეზე; 6-20 აგვისტო - სავლელ დონეზე);
- ✓ პირველად პროექტზე და შესაბამის PowerPoint პრეზენტაციაზე მუშაობა - 21-25 აგვისტოს;
- ✓ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ევროკავშირისთვის მოხსენება პირველადი დასკვნების, ძირითადი რეკომენდაციების, გამოწვევების, შესაძლებლობების, მიღებული გამოცდილების და უკუკავშირის შესახებ საქართველოში (26 აგვისტო, 2019);
- ✓ მონაცემების ანალიზის დასრულება და ანგარიშის პროექტის შეფასებისათვის წარდგენა - სექტემბერში (სახლიდან), რასაც მოჰყვება გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP/IRDG) პროექტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან 2-კვირიანი განხილვა უკუკავშირისა და მოსაზრებებისთვის (ოქტომბრის შუა პერიოდი, 2019);

- ✓ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საბოლოო შესწორებების შეტანა კონსულტანტის მიერ (3 ნომბერი, 2019).

2.2 ვარაუდები, რისკები და შესაძლო შეზღუდვები

წინამდებარე შეფასება ღებდა საერთო შეზღუდვით, რომელიც დაკავშირებულია ამოცანებსა და შუალედური შეფასების მოცულობას, მოსალოდნელ დაგეგმილ დროის გრაფიკსა და სხვა გამოყოფილ რესურსებს შორის შესაძლო შეუსაბამობასთან. ზოგადი რისკები და მასთან ბმაში არსებული შეზღუდვები შესაძლებელია ფორმულირდეს შემდეგნაირად:

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონიტორინგის მონაცემები და/ან პარამეტრები/ინდიკატორები არის არასრული ან ნაკლოვანი, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც მონაცემების შეგროვების მთლიან მიდგომასა და ანალიზზე, ისე ეფექტურობის დონისძიებებზე (როგორც იყო საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) რეალური შესრულება დამტკიცებული გავლენის, შედეგებისა და რეზულტატების სამიზნეებთან მიმართებით; რამდენად მოხდა კონკრეტული სამიზნეების შესრულება და სხვ.). იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების სიღრმისეული ანალიზისას აღმოჩენილი მთავარი პრობლემების გამოსასწორებლად პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავდაპირველად გაუთვალისწინებელი, მეტ-ნაკლებად შრომატევადი სამუშაოების მეშვეობით, მოთხოვნილი ანალიზის წარდგენა მოხდება დაგვიანებით;

თუ მონაცემთა ხელმისაწვდომობა აღმოჩნდება მთავარი გამოწვევა და ამ გამოწვევის სამართავად საჭირო მხარდაჭერა დროულად არ განხორციელდა, შეფასების უნარი, მოიცვას დადგენილი ანალიზების მთელი წყება, შესაძლოა აღმოჩნდეს დიდი წნეხის ქვეშ.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება კრიტიკულად მნიშვნელოვან მონაცემთა წყაროებზე წვდომა, მათ შორის ძირითადი დაინტერესებული მხარეების, პროგრამის/პროექტის ტექნიკური გუნდის მიერ, შესაძლოა პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის მართვის გავრცელების არეალის, მიმართულებების შეფასებას შეეცვალოს გეზი.

თუ სავლელ და საარქივო დონეებზე მონაცემებთან წვდომა შეზღუდული იქნება გაუთვალისწინებელი ფაქტორების გამო ან მონაცემები მიჩნეული იქნება შეუსაბამოდ, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს მონაცემების მოცულობაზე, რომელიც შესაძლებელია წარმატებით იქნეს შეგროვებული და გაანალიზებული; გავლენის შეფასების კრიტერიუმის განხილვა განსაკუთრებით შეიძლება გართულდეს არაოფიციალური მონაცემებისა თუ დაკვირვებების მიღმა;

დაბოლოს, ფორსმაჟორის ნებისმიერმა შემთხვევამ, გაუთვალისწინებელი, უნებლიე ან სხვაგვარად გართულებული მოვლენების სახით, შეიძლება ხელი შეუშალოს შეფასებისთვის მონაცემების შეგროვების გაგრძელებას. ასეთებია, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფები, პოლიტიკური დაძაბულობით გამოწვეული უსაფრთხოების პრობლემები და სხვა, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან შეაყოვნოს ინტერვიუების ჩატარება ცენტრალურ დონეზე ან შეზღუდოს წვდომა სოფლად სავლელ ვიზიტებისას გათვალისწინებულ რესპოდენტებთან.

2.3 გამოყენებული კონკრეტული ინსტრუმენტები და ტექნიკები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეფასების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა ინსტრუმენტი და ტექნიკა, ასევე, შესაბამისი ლოგიკური განსაზღვრება (ფუნქცია, მიზანი ან მოცულობა) ზოგადი თვალსაზრისით.

შეფასების კრიტერიუმი	მეთოდოლოგია	მიზანი და მოცულობა	მონაცემების მებრძოვების წყარო	შეფასება
საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კონტექსტში სტანდარტული კითხვები: შესაბამისობა; მდგრადობა; ეფექტიანობა; ეფექტურობა; ზემოქმედება. სპეციფიკური ასპექტები: - კოორდინაციის გამო დამატებული ან განხარჯული ღირებულება (ან განხორციელებული მოქმედება, რომელიც მოიცავს გადარიცხვის ხარჯებს, ან ასეთის არარსებობა; მოგების რეალიზაციის შესაძლებლობების დაკარგვა); - საჭიროების შემთხვევაში, მრავალმხრივი პროგრამირების პრინციპების განხორციელება;	შეფასების მატრიცაზე დაფუძნებული მორგებული სხვადასხვა კატეგორიის რესპოდენტებისათვის (დანართი 5.9); რეტროსპექტიული მოდელირებული სცენარები („რა მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო ევროკავშირის/გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დანართი“); პროგრამასთან დაკავშირებული მეთოდები და ინსტრუმენტები: - ზემოქმედების სკრინინგი; - სკრინინგის შესაბამისობა და ქმედითობა; - პროგნოზებზე დამყარებული სცენარები; მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები:	პროგრამის შედეგებზე ორიენტირება, (შედეგის დონე); შედეგის დონის გაერთიანებული შედეგები და შუალედური განვითარება/პროგრესი შუალედური ეტაპების/სამიზნე შედეგების მიმართ; ფინანსური ტენდენციების ანალიზი და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მთლიანი პროგრამის გადანაწილება.	I - დოკუმენტების ანალიზი; II - ინტერვიუები ძირითად რესპოდენტებთან: ა) გაეროს განვითარების პროგრამა, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ცენტრალური და ადგილობრივი დონის სამთავრობო სტრუქტურები; ბ) ევროკავშირი და სხვა განვითარების პარტნიორები; გ) შემსრულებელი პარტნიორები (IP); არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO), სამოქალაქო	მიღწეული მოკლე- და საშუალოვადიანი შედეგების შეფასება და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) წვლილი ეროვნული განვითარების მიზნების მიღწევაში; იმის შეფასება, თუ რამ იმუშავა, და რამ არა, და რატომ; დასკვნები, რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) სამოქმედო გეგმის, ასევე, სამომავლო შუალედური პროგრამების, შედეგებისა და მართვის გასაუმჯობესებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020

<p>- პარტნიორობის მაქსიმალურად გამოყენება;</p> <p>- სამმხრივი (მრავალმხრივი/საერთაშორისო) თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება, რომელიც სასარგებლო იქნება საქართველოსთვის;</p> <p>- საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პროგრამის, პროექტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მმართველობის რეაგირება, მათი გარე საჭიროებებსა და მოთხოვნებთან ადაპტირებისთვის;</p> <p>-საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მართვის სტრუქტურა;</p> <p>- თანხების ათვისების შესაძლებლობა;</p> <p>- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარების სტრატეგიული დონე.</p>	<p>- შესრულების ინდიკატორების რაოდენობრივი ანალიზი (მონაცემების ტაბულაციის ცხრილი);</p> <p>- საინვესტიციო მოგების (ROI) ანალიზი (შედეგები/პროგრესის დონე დაფინანსების დონესთან მიმართებით);</p> <p>- შეფასების მატრიცა/ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების სახელმძღვანელო პრინციპები და კითხვები;</p> <p>- სტრუქტურირებული ანალიზი და მონაცემების მოგროვების აქტივობები.</p> <p>ინსტრუმენტები მრავალმხრივი პრობლემების აღრიცხვისა და შეფასების შესრულებისთვის.</p> <p>ფინანსური მონაცემების ანალიზი:</p> <p>ა) ბიუჯეტი, დაგეგმილი ციფრების შედარება გამოყოფილ თანხებთან, გეგმის შედარება ხარჯებთან; გამოყოფილი თანხების შედარება ხარჯებთან; სტრატეგიული საფუძვლის/შედეგების ანალიზი წლების, რეგიონის/მუნიციპალიტეტის მიხედვით, რაც დაკავშირებულია საქართველოს სოფლის</p>		<p>საზოგადოების ორგანიზაციები და სხვ.;</p> <p>III - პირდაპირი დაკვირვებები, სავლე ვიზიტები.</p>	<p>წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამის/პროექტის შემდგომი ციკლისთვის.</p>
---	---	--	---	---

	<p>განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პროგრამისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან;</p> <p>ბ) მთავრობის მიერ დაფარული საბიუჯეტო წილის პროპორციულობა (რეალურის შედარება დაგეგმილთან); არასამთავრობო ფინანსური მხარდაჭერის რაოდენობა/საერთო წილი, რომელიც მობილიზებულია პარტნიორობების მეშვეობით (საჭიროების შემთხვევაში თანხების წარმატებით მოგროვება).</p>			
--	--	--	--	--

3. შეფასების შედეგები

3.1 შესაბამისობა

შეფასების ძირითადი კითხვა 1 - რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ამოცანები ეროვნულ და რეგიონულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, შესაბამისი კონვენციებისა და შეთანხმებების მიმართ ქვეყნის საერთაშორისო და რეგიონული ვალდებულებებიდან გათვალისწინებით.

თავდაპირველად საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია დაკავშირებული იყო როგორც ქვეყნის გადაწყვეტილებასთან, დაეცვა ევროკავშირთან დაახლოების 5-წლიანი სამოქმედო გეგმა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის 2006-2011 წლის ფარგლებში (გახანგრძლივდა 2014 წლამდე), ისე საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (AA) ხელმოწერასთან. ასოცირების ხელშეკრულებამ, რომელიც შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად და ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ინტეგრირებისთვის, მოახდინა საქართველოსა და ევროკავშირის შორის სამომავლო ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ინიცირება. ასოცირების ხელშეკრულება იქცა როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ ვალდებულებად, რომლის შესრულებაც, კონკრეტული ქმედებების მეშვეობით, დაეკისრათ საქართველოსა და ევროკავშირს.

კერძოდ, სოფლის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, ასოცირების ხელშეკრულების 333-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ეხება მხარეთა შორის თანამშრომლობას სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების კუთხით, ხელშეკრულება ხელს შეუწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის უკეთ აღქმას. ამავე მუხლით წარმატებით განხორციელდა საქართველოს სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შექმნის სტიმულირება, რომელიც დაფინანსდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის შემუშავებითა და განხორციელებით საქართველო აკმაყოფილებს შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ყველა პრიორიტეტულ სფეროს აქვს თანაბარი სტრატეგიული ღირებულება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესრულების კუთხით, რადგან ევროკავშირი კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდას განიხილავს გარემოსა და სოციალურ დაცვასთან ბუნებრივ ურთიერთკავშირში.

უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების ხელშეკრულებისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის გარეშე, სავარაუდოდ, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია არ იარსებებდა. ცხადია, ყველა დარგობრივი სამინისტრო გააგრძელებდა ცალკეული დარგობრივი სტრატეგიებისა და პოლიტიკის განხორციელებას (სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, მთიანი მუნიციპალიტეტების განვითარება), რაც, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პარალელურად, ახლაც მიმდინარეობს. თუმცა,

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ხელდასთან შესაბამისობის გარდა, რომ ყველა წევრ და პოტენციურ სახელმწიფოს, ისევე როგორც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) მეზობელ პარტნიორ ქვეყანას, უნდა ჰქონდეს ცალკე სოფლის განვითარების სტრატეგია (RDS), არსებობს კიდევ ერთი მსგავსება, - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების მრავალპარტნიორული სტრატეგიის მოთხოვნების შესაბამისად, ამჟამად არაერთი სამინისტრო თანამშრომლობს ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

რამდენადაც ურთიერთშეხებისა და ერთიანობის ხარისხი კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია /სამოქმედო გეგმ(ები)ა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს სამინისტროთა შორის ერთობლივი დაგეგმვის მიმართულებით. დაბოლოს, წმინდა ტექნიკური მნიშვნელობით, საქმიანობის სპეციფიკური ინდიკატორებისა და მათთან დაკავშირებული შედეგების შესრულების პარალელურად, თავისი მრავალდარგობრივი არსისა და განსხვავებული პრიორიტეტული სფეროების (PA) სტრუქტურის გათვალისწინებით, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიას სულ მცირე, არაპირდაპირი წვლილი შეაქვს სხვადასხვა დარგის კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში საქართველოს ეროვნული განვითარების სტრატეგიის ფარგლებში.

შეფასების ძირითადი კითხვა 2 - რამდენად შეესაბამება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები, მათ შორის სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“, ყოფილი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA) და სოფლის კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA) (რომელებიც გაერთიანდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოში (ARDA)) საზოგადოების საჭიროებებს და სამთავრობო პრიორიტეტებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო პროგრამა მიეკუთვნება პრიორიტეტულ სფერო 1-ს, რომელიც ეხება საქართველოს ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას და კონკურენტუნარიანობას. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო დახმარებას წევდა სხვადასხვა ინტერვენციის მეშვეობით, რომელთა უმეტესობა მიეკუთვნება პრიორიტეტული მიმართულების ამოცანას 1.1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია, დივერსიფიკაციისა და ეფექტური მიწოდების ჯაჭვის განვითარება. სავლეთ ვიზიტების დროს დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებისას შეღავათიანი აგროკრედიტი შეფასდა ყველაზე დადებით და ყველაზე შესაბამის აქტივობად. დანარჩენი დახმარების სქემები, როგორცაა: ახალგაზრდა მეწარმეთა დახმარების პროგრამას, „დანერგე მომავალი“ და შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება, ასევე მიჩნეულ იქნა სასარგებლოდ.

შეფასების მისიამ კოოპერატივებისათვის გაწეული დახმარებით მოსარგებლე (მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები თავლის საწარმოებლად, რძის პროდუქტების მწარმოებელი კოოპერატივები, ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის მიწოდება, გადასამზადებელი ღონისძიებები და სხვ.) რამდენიმე გამართულად ფუნქციონირებადი ბენეფიციარი ორგანიზაცია გამოავლინა: თავლის მწარმოებელი კოოპერატივი, რომელიც ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად აწარმოებს თავლს და, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მეშვეობით, ადჭურვილია უახლესი ტექნიკით; ასევე რძის პროდუქტების

მწარმოებელი კოოპერატივი, რომელიც აწარმოებს რძის პროდუქტებს, მათ შორის ყველს რესტორნისთვის, და ისიც აღჭურვილია ახლად შექმნილი ტექნიკით, რომელიც შეისყიდა ნაწილობრივ სუბსიდირებული კრედიტის საშუალებით.

თუმცა, კოოპერატივების დახმარების მიდგომასთან დაკავშირებით აუცილებელია გარკვეული სიფრთხილის გამოჩენა, რადგან დამოუკიდებლად მოქმედ მცირე და დიდ ფერმერებთან და ინვესტორებთან კოოპერატივების ბიზნესმოდელის ხსენებამ არცთუ დიდი ენთუზიაზმი აჩვენა. ეკონომიკური აქტორების (მოქმედი პირები) უმრავლესობა მიესალმება დამოუკიდებლად საქმიანობის მოდელს, რომელიც, სავარაუდოდ, შესაძლებელია, ნაწილობრივ, იმით აიხსნას, რომ კოოპერატივები ისტორიულად ასოცირდება საბჭოთა პერიოდის მოდელთან. (ეს ასევე შეიძლება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი შესაძლებლობების განვითარებისა და გადამზადებითი ღონისძიებების ნაკლებად ათვისების მიზეზი იყოს).

დაბოლოს, საქართველოს ჩაის წარმოებისთვის გაწეული დახმარებით შესაძლებელი გახდა საწარმოს შენობების მოდერნიზება, რაც უადრესად საჭირო ინვესტიცია იყო ანასეულის ბრენდის ქარხნის შემთხვევაში, გურიაში. თუმცა კომპანია მეტად საჭიროებს დახმარებას მარკეტინგის და სტრატეგიული მიმართულებების მიცემის კუთხით, რადგან პროდუქტის შეფუთვა ნაკლებად შეესაბამება ევროპული ბაზრის პოტენციური მიმართულებებს. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისა (განსკუთრებით, ცენტრალური აზია) და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრების მრავალწლიანი ფლობისა და ბრენდის რეპუტაციის გათვალისწინებით, ექსპორტის უმეტესობა მიმართულია ყაზახეთის, პოლონეთის, უკრაინისა და მსგავსი ქვეყნებისკენ. კომპანიის საექსპორტო ბაზრის ძალიან პატარა სეგმენტია დასავლეთ ევროპის მაღალი საფასო კატეგორიის ბაზრები, რისი შეცვლაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია შეძლებს ინვესტირებას მარკეტინგში და ასევე უახლესი დონის შეფუთვებში. თავისუფალი ბაზრის პირობებში მართვის ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ექსკლუზიურად ფირმის მენეჯმენტს ეკუთვნის.

ანასეულის ჩაის კომპანიის შემთხვევაში, რომელიც ქართულ ეკონომიკაში ყველაასათვის ნაცნობი ბრენდია და, მეტიც, შესაძლებელია თანამედროვე პოპულარული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლიც ვუწოდოთ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ARDA) შეუძლია უფრო პროაქტიულად ითანამშრომლოს კომპანიის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მათი მარკეტინგის სტრატეგიაში უფრო ახალი და თანამედროვე იდეების დასანერგად. იმის გათვალისწინებით, რომ ანასეულს, ქვეყნის ყველაზე ცნობილ და, სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვან და დიდ ჩაის მწარმოებელ კომპანიასაც კი აქვს დასავლეთის ბაზარზე ფართო მასშტაბით მოხვედრის პრობლემა, შესაძლებელია სპეციალური დახმარება გაეწიოს მთლიან დარგს.

საგულისხმოა, რომ შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს უბრალო ტრენინგები და საჭირო გახდეს განმარტებითი შეხვედრების ჩატარება, რომელსაც სასურველია მოჰყვეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისა და მარკეტინგის კონსულტანტების მიერ შეფუთვის დიზაინის გადასინჯვა. აღნიშნული მომსახურების ხარჯების დასაფარად შესაძლებელია გაიზარდოს შეღავათიანი აგროკრედიტის მოცულობა. შესაბამისად, ფირმისათვის უმჯობესი იქნება, თუ ვერ შეიძენენ, თანადაფინანსებით მაინც მოახერხონ მსგავსი სპეციალური დახმარების მოპოვება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იღებენ და სათანადოდ აფასებენ პროცესსა და მის შედეგებს.

პრიორიტეტული სფერო 1-ის ამოცანა 1.2-ის (სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით) ფარგლებში, სახელმწიფო პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“ დახმარება გაუწია სამრეწველო, მსხვილ და მცირე მეწარმეებს. ბიზნესსაზოგადოების მხრიდან ინტერესი მაღალი იყო და შესაბამისობის კუთხით აღნიშნული აქტივობა შესაძლებელია განსაკუთრებით გამოვყოთ, რადგან იგი აკმაყოფილებს კერძო სექტორის მოთხოვნას: საერთო ჯამში განხორციელდა 174 პროექტი, რომელთა მთლიანი საინვესტიციო მოცულობა შეადგენდა 395 მილიონ ლარს და რომლის შედეგადაც შეიქმნა 7,639 სამუშაო ადგილი. ასევე, 5,694 პირმა გაიარა ტრენინგი და 3,498 ბენეფიციარმა შექმნა მიკრო და მცირე საწარმო თავიანთ მშობლიურ რეგიონში.

ასევე, სოფლად ტურიზმის განვითარების მიმართულებით, სოფლის სპეციფიკურობიდან და უნიკალური კულტურული იდენტობიდან გამომდინარე, სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტის მეშვეობით განხორციელდა ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული პროდუქტების განვითარების ხელშეწყობა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში. მხოლოდ 2017 წელს 34 პროექტის ფარგლებში შეიქმნა 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილი და განხორციელდა 100 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია, რის შედეგადაც შეიქმნა 1000-ზე მეტი სასტუმრო ოთახი მთელი საქართველოს მასშტაბით. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის ათვისება ადასტურებს მაღალი მოთხოვნის არსებობას.

რაც შეეხება მე-2 და მე-3 პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათი კონკრეტული შესაბამისობა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნებთან აშკარაა, რადგან განურჩევლად ყველას სურვილია ისარგებლოს ღირსეული სოციალური პირობებითა და ცხოვრების დონის მინიმალური სტანდარტით. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიითა (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმის აქტივობებით (ამოცანა 2.1-ის ფარგლებში) შეთავაზებულ შესაძლებლობებს განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა მიესალმება, რათა მეტად განივითარონ ინოვაციებთან (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT და სხვ.) და მეწარმეობასთან (სტარტაპები) დაკავშირებული უნარები. ძალისხმევა, რომელიც დაკავშირებულია ტრენინგებთან და უნარების განვითარებასთან, რათა ადამიანმა შეძლოს იყოს არა იძულებით თვითდასაქმებული, არამედ აირჩიოს თვითდასაქმება, და ასევე დასაქმება მომგებიანი ხელფასით, ძალიან აქტუალურია განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისთვის, მით უფრო ისეთ ქვეყანაში, რომელშიც უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია (13.9% 2017 წელს: ბროშურა: „ბიზნესპროცესების აუტოსორსინგის (BPO) სექტორი საქართველოში“ „აწარმოე საქართველოში“, 2019წ, გვ 8).

ამოცანა 2.2, რომელიც ორიენტირებულია სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებამდე მისასვლელი გზები და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურა) და მაღალხარისხიანი საჯარო მომსახურების, მათ შორის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფისკენ, ითვალისწინებს მომსახურების ამოქმედებას. მაგალითად, შეფასების მისია გადააწყდა შესანიშნავ მაგალითს, როდესაც ქალაქის ძირითად გზას, რომელიც რეაბილიტირებული და ასფალტირებულია, მიყვავართ კახეთის ბუნებრივი ნაკრძალისაკენ და გზის მიმდებარე განთავსებულია არაერთი საოჯახო და ზოგადი ტიპის სასტუმრო მათ ტერიტორიებზე განთავსებული მაღალხარისხით, ხოლო გზის დასასრულს კი პარკია. არსებული ვიზიტორების ზრდის ტენდენციისა და სამომავლოდ

დაგეგმილი მატების გათვალისწინებით ცხადი გახდა, რომ ამ მიმართულებით მართლაც საუკეთესო ინვესტიცია განხორციელდა. ამასთანავე, ამავე ამოცანის ფარგლებში დამონტაჟდა ჩაის გზისა და ღვინის გზის მინიშნებები, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა და მომავალშიც უნდა გაფართოვდეს, განსაკუთრებით ჩაის გზის შემთხვევაში.

ინფრასტრუქტურული კომპონენტის ნაწილია ინტერნეტვაუჩერებისა და ციფრული განათლების ტრენინგის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის. მართალია ინიციატივები ამ მიმართულებით მისასაღებელია, თუმცა უნდა ითქვას, რომ გამტარიანობის შესაძლებლობა და ლიმიტირებული ციფრული გაჯერება (უკაბელო ინტერნეტის ჰაბის სიხშირე სოფლად; სოფლად მომუშავე მოსახლეობის, ასევე სმარტფონის (ჭკვიანი ტელეფონი) და ციფრული ტექნიკის მქონე პირების რაოდენობა და პროპორცია) გვევლინება სტრუქტურულ პრობლემად, რომელიც ჯერაც საჭიროებს გადაწყვეტას.

სხვა მხრივ, შეფასების მისიას ასევე აქვს აქტიური ხანდაზმული მოსახლეობის მაგალითი (ორი ქალი, ერთი - 60 წელს გადაცილებული, მეორე - 70-ს, რომლებიც საკუთარ საოჯახო სასტუმროებს თვითონ მართავენ). ისინი სრულიად გათვითცნობიერებული არიან თავიანთი საოჯახო სასტუმროების ვებ-გვერდების მეშვეობით მართვასა და შეკვეთების მიღებაში, მათ შორის საკუთარ კლიენტებთან ონლაინკომუნიკაციის ჩათვლით. ეს არის აღნიშნული აქტივობების ღირებულებისა და საჭიროების (შესაბამისობის) საუკეთესო მაგალითი.

ინოვაციური ჰაბის მიზანია მოახდინოს ლაზერული მჭრელებისა და სამგანზომილებიანი პრინტერების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც პოტენციურად ღირსეული წამოწყებაა. თუმცა, იმისათვის, რომ ეს ნამდვილად ღირებული და შესაბამისი ინვესტიცია იყოს, უნდა მოხდეს ინოვაციების ჰაბსა და რეალური პრაქტიკული საინჟინრო მითითებების შემსრულებელ ფირმას შორის პოტენციური კავშირის გაუმჯობესება. მისიამ აღმოაჩინა სპეციფიკური მაგალითი ფირმისა, რომელიც შესაძლებელია იდეალურ კანდიდატად („ჯეომარკის“ (GeoMark) მიერ შექმნილი აღჭურვილობა) მივიჩნიოთ მსგავსი პოტენციური კავშირების/ერთობლიობების გამოსაცდელად.

სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობა (ამოცანა 2.3), ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა და საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტის განსაზღვრა ემყარება ჯანსაღ ლოგიკას. ასევე მოთხოვნისა და შეთავაზების ერთად განხილვა არის საუკეთესო რეცეპტი პროგრამის ნებისმიერი აქტივობის შესაბამისობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რომელსაც ეწოდება მოთხოვნა-შეთავაზების დაგეგმვა. ამ კუთხით ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) შექმნა არის პერსპექტიული ნაბიჯი მონაწილეობის პოპულარიზაციისა და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფისთვის.

და ბოლოს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფის შესაბამისობა უდავოა. მართალია არსებობს გარემოს დაცვის ეროვნული სტრატეგია (ცალკე), თუმცა ძალიან გონივრულია, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიას (RDSG) დაემატა წყლის, ტყისა და სხვა რესურსების გაუმჯობესების ამოცანები (3.1) და სოფლად ნარჩენების მართვისათვის მდგრადი სისტემების ხელშეწყობა (3.2), რადგან სხვაგვარად პრობლემა გადაულახავ სირთულედ და სტრატეგიულ სისუსტედ დარჩებოდა. პირველ და მე-2 პრიორიტეტულ სფეროში აქცენტირებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მოცულობის ზრდა, რაც შესაძლებელია მიღებული იქნეს სასოფლო და

არასასოფლო აქტივობების განხორციელების მეშვეობით. ეს დამოკიდებულია არადაბინძურებულ და ხელმისაწვდომ მიწაზე, წყალსა და ჰაერზე და ბიომრავალფეროვნების ეკვილიბრიუმის დაცვაზე (ფუტკრები დამტვერიანებისთვის, ჩიტები და კონკრეტული მწერები ბიოსაფრთხეების გასაკონტროლებლად).

კლიმატური ცვლილებებისა და გლობალიზაციით გამოწვეული რისკების მხრივ, ბოლო დროს გამანადგურებელი შედეგები იქონია ფაროსანის შემოსევამ, რამაც კიდევ უფრო ცხადად აჩვენა კლიმატური ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი გავლენების შემცირების საჭიროება (ამოცანა 3.3). ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია აგროდაზღვევის სისტემის არსებობა. ფაროსანის შემოსევის გარდა, რასთან მრავალწლიანი ბრძოლაც, როგორც ჩანს, წარმატებით დამთავრდა, არსებობს ისეთი მტაცებლების პრობლემა, როგორცაა, დათვები და მგლები ფუტკრის ოჯახებისთვის, თხის, ცხვრის ფარისა და საქონლის ნახირისათვის.

ორივე შემთხვევაში არ არსებობს შესაბამისი დაზღვევა. უნდა ითქვას, რომ უაღრესად მისასალმებელი და დაფასებული იქნებოდა დაზღვევის არსებობა ფერმერთან ერთად შემუშავებული შესაბამისი გათვლების შემდეგ არსებული რისკების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკები თავიდან აირიდებენ აღნიშნულ რისკს, უნდა შეიქმნას სახელმწიფო ფონდი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) ფარგლებში, რომელიც დააზღვევს ფერმერებს ამ ტიპის საფრთხეებისგან. რა თქმა უნდა, მგლებისა და დათვების არსებობა პირდაპირ კავშირში არ არის კლიმატურ ცვლილებებთან, თუმცა დგას დამატებითი, უკიდურესად საჭირო სადაზღვევო პროდუქტების შექმნის საკითხი, რომლებიც აუცილებელია ბიოსაფრთხეების შემთხვევების ანაზღაურების შესაძლებლობის არსებობისთვის როგორც მტაცებლის თავდასხმების, ისე, მაგალითად, კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული სეტყვის შემთხვევაში.

თუმცა ამავედროულად, შეუძლებელია ფუტკრების ოჯახების (სკების) დაზღვევა გამანადგურებელი სეტყვისგან, რაც სულ უფრო მზარდი პრობლემაა. ფუტკრები არა მარტო თავის აწარმოებენ, არამედ მათ ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში, მცენარეთა დამტვერიანების გზით, რაც, თავისთავად, ფლორის მრავალფეროვნებას უწყობს ხელს.

3.2 ეფექტურობა

შეფასების ძირითადი კითხვა 3: რამდენად მოხდა 2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიისა და მისი 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმების განხორციელების საფუძველზე დაგეგმილი შედეგების მიღწევა ამოცანის შედეგისა და აქტივობის შედეგის დონეებზე და რამდენად შეესაბამება დაგეგმილი მიღწეულს, გათვალისწინებული იყო თუ არა აღნიშნულ შედეგებში პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების საჭიროებები.

აქტივობის შედეგის დონის ანალიზი

წინამდებარე თავში განხილულია საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმების განხორციელებისას მიღწეული შედეგების შესაბამისობა. ანალიზი ემყარება შესრულების რაოდენობრივ ანალიზს, პრიორიტეტული მიმართულების ინტერვენციების დონეზე ლოგიკური ჩარჩოს მთავარი შესრულების ინდიკატორების მიხედვით (აქტივობის შედეგი/ძირითადი აქტივობების დონე) და

ამოცანებს (ამოცანის შედეგის დონე). რადგან განხორციელების მეორე წლის ინტერვენციების ტიპი და დიზაინი და ასევე შესაბამისი ინდიკატორები შეფასდა პირველი წლის მზარდი აქტივობების (და ინდიკატორების) მიხედვით, პროექტირების ტენდენციების კუთხით სამოქმედო გეგმის შინაარსის შედარება შეუძლებელია 2017 და 2018 წლების შესრულების მოცულობის ერთი და იმავე ინდიკატორებით.

უფრო მეტიც, შეფასება შესრულებას განიხილავს როგორც ყოვლისმომცველ (მრავალფუნქციურ) ანალიზს წლიური სამოქმედო გეგმის მიზნებთან მიმართებით. შესაბამისად, ჯერ კიდევ შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე წლიური საერთო შედეგების შედარება პრიორიტეტული მიმართულებების დონეზე. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმა განსხვავებული ბუნებისაა, პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, პირველი და მეორე წლის განხორციელების შეფასებისას შედარების დაწვა ინდივიდუალურ ინდიკატორებამდე აქტივობის შედეგების დონეზე (დაბალი და შუალედური აქტივობების/ძირითადი ინტერვენციების შედარება, რომლებიც შინაარსობრივად პირდაპირ შედარებადი არ არის, მათ შორის თანმიმდევრული ლოგიკის არარსებობის გამო) მიიჩნეოდა დროში გაჭიანურებულად პრიორიტეტული მიმართულების დონეზე აქტივობის დონის შესრულების მიმდინარე ერთიანი ანალიზის სასარგებლოდ, სხვადასხვა ამოცანების/ამოცანის შედეგის მიმართულებებთან ერთად.

შესრულების დონეების კატეგორიზაციის მიზნით ანალიზი იყენებს ფერად კოდებს, „თანაზომიერი მიღწევა დასახულ მიზნებთან მიმართებით“ შესრულების გრაფების შესაბამისად. ცხრილში წარმოდგენილი აბრევიატურების მნიშვნელობაა: ა. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა: ეკონომიკა; ბ. სოციალური პირობები და საცხოვრებელი სტანდარტები; სოციალური; და გ. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა; ეკოლოგია. 2017 წლის სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზი მიუთითებს, რომ სამივე პრიორიტეტულ სფეროში ინდიკატორების შესრულება დაფიქსირდა მაღლიდან უმაღლესამდე 85%+ - შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესრულებული, შესრულებული, გადაჭარბებით შესრულებული (იხ. ცხრილი).

სამოქმედო გეგმა 2017 - ეფექტიანობა პრიორიტეტული სფეროების მიხედვით (შედეგების/ძირითადი აქტივობების ინდიკატორების ერთიანი ანალიზი)

პრიორიტეტული სფერო 1 – ეკონომიკა			
(ძირითადი კოდი)		(შეფასების კოდი)	
მიღწეულია 80-დან 100%-მდე.	14	გადაჭარბებით შესრულებული; 100 %-ზე მეტი.	11 (73.5%)
		100 %-ზე მეტი, მაგრამ ზოგიერთი ქვეინდიკატორი არ არის შესრულებული.	2 (13.5%)
		მიღწეულია 100 %.	1 (6.5%)
ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	1	ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	1 (6.5%)

არ არის მიღწეული (0-60 %).	0	არ არის მიღწეული (60%-ზე დაბალი).	0 (0%)
პრიორიტეტული სფერო 2 – სოციალური			
(ძირითადი კოდი)		(შეფასების კოდი)	
მიღწეულია 80-დან 100%-მდე.	25	გადაჭარბებით შესრულებული; 100 %-ზე მეტი.	19 (68%)
		100 %-ზე მეტი, მაგრამ ზოგიერთი ქვეინდიკატორი არ არის შესრულებული.	0 (0%)
		მიღწეულია; 85-100 %.	6 (21.5%)
ნაწილობრივ მიღწეულია. (60-80 %)	1	ნაწილობრივ მიღწეულია; 60-85 %.	1 (3.5%)
არ არის მიღწეული 0-დან-60 %-მდე.	2	შესრულებული; (60%-ზე დაბალი).	2 (7%)

პრიორიტეტული სფერო 3 – ეკოლოგიური			
(ძირითადი კოდი)		(შეფასების კოდი)	
მიღწეულია 80-დან 100%-მდე.	6 (86%)	გადაჭარბებით შესრულებული; 100 %-ზე მეტი.	0 (0%)
		100 %-ზე მეტი, მაგრამ ზოგიერთი ქვეინდიკატორი არ არის შესრულებული.	0 (0%)
		მიღწეულია; 85-100 %.	6 (86%)
ნაწილობრივ მიღწეულია. (60-80 %)	1 (14%)	ნაწილობრივ მიღწეულია; 60-85 %.	1 (14%)
არ არის მიღწეული (0-60 %).	0 (0%)	არ არის მიღწეული (60%-ზე დაბალი).	0 (0%)

სამოქმედო გეგმა 2018 – ეფექტიანობა პრიორიტეტული სფეროების მიხედვით (აქტივობის შედეგის/ძირითადი აქტივობების ერთიანი ანალიზი)

2018 წელს შესრულების დონე მცირედით დაეცა, შედარებით დაბალ დონეზე შესრულების მაჩვენებლებით (73.5% 2017 წელს - 51.5% 2018 წელს პრიორიტეტული სფერო 1-სთვის; 68% - 33% პრიორიტეტული სფერო 2-სთვის; 0% - 16% პრიორიტეტული სფერო 3-სთვის) და შუალედური მიღწევის დონეებით ცვალებადობით 40-დან 75%-მდე. ეს მონაცემები ნათელს ხდის, რომ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) განხორციელების პირველ წელს აქტივობები ხორციელდებოდა შეუფერხებლად, 2018 წელს კი თავი იჩინა გამოწვევებმა და პრობლემებმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების მეორე წელს თავად განხორციელების მსვლელობა ძირითადი ინტერვენციების დონეზე, ხშირ შემთხვევაში, წინა წელს განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებული შესრულების მონაცემებს ემთხვეოდა, ასევე, უფრო მაღალი იყო სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი მხარეების წინაშე არსებული გამოწვევებისა და დაბრკოლებების შემთხვევები.

პრიორიტეტული სფერო 1 – ეკონომიკა			
(ძირითადი კოდი)		(შეფასების კოდი)	
მიღწეულია (100 % და ზემოთ).	26	გადაჭარბებით შესრულებული; 100 %-ზე მეტი.	17 (51.5%)
		მიღწეულია; 85-100 %.	9 (27%)
ნაწილობრივ მიღწეულია. (60-80 %)	2	ნაწილობრივ მიღწეულია; 60-85 %.	2 (7.5%)
არ არის მიღწეული (0-60 %).	5	არ არის მიღწეული (60%-ზე დაბალი).	2 (7.5%)
		არ შესრულდა/არანაირი დაფინანსება (0%).	3 (1%)
პრიორიტეტული სფერო 2 – სოციალური			
(ძირითადი კოდი)		(შეფასების კოდი)	
მიღწეულია (100 % და ზემოთ).	29	გადაჭარბებით შესრულებული; 100 %-ზე მეტი.	16 (33%)
		მიღწეულია; 85-100 %.	13 (26.5%)
ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	10	ნაწილობრივ მიღწეულია; 60-85 %.	10 (20.5%)
არ არის მიღწეული (0-60 %).	10	არ არის მიღწეული (60%-ზე დაბალი).	3 (6%)
		არ შესრულდა (0 %).	7 (14%)

სამოქმედო გეგმის ეფექტურობა 2017 და 2018 წლების მიმართებით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პრიორიტეტული სფეროს დონის შედარებითი ანალიზი და დასკვნები, რომლებიც მიუთითებს რომ 2017 წელს შესრულების დონე აღემატებოდა 2018 წელს სამიზნე ინდიკატორების შესრულების დონეს.

სამოქმედო გეგმა 2017 (ძირითადი კოდი)		სამოქმედო გეგმა 2018 (შეფასების კოდი)	
მიღწეულია 80-დან 100%-მდე.	45	მიღწეულია (100%-ზე მეტი).	30 (60%)
		100 %-ზე მეტი, მაგრამ ზოგიერთი ქვეინდიკატორი არ არის შესრულებული.	2 (4%)
		მიღწეულია (100%).	13 (26%)
ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	3	ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	3 (6%)
ნაწილობრივ მიღწეულია (0-60 %).	2	არ არის მიღწეული (60 %-ზე დაბალი).	2 (4%)
სამოქმედო გეგმა 2017 (ძირითადი კოდი)		სამოქმედო გეგმა 2018 (შეფასების კოდი)	
მიღწეულია (100%-ზე მეტი).	63	გადაჭარბებით მიღწეულია (100 % და მეტი).	37 (38%)
		მიღწეულია (100 %).	26 (26.5%)
ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	13	ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	13 (13%)
არ არის მიღწეული (0-დან 60 %-მდე).	22	არ არის მიღწეული (< 60 %).	7 (7%)
		არ შესრულდა/არანაირი დაფინანსება (0 %).	15 (15.5%)

შედეგების დონეზე ანალიზი (იხ. ქვედა ცხრილი) მიუთითებს, რომ პირველი ორი პრიორიტეტული მიმართულების ყველა ინდიკატორისთვის განსაზღვრული სამიზნეები შესრულდა გადაჭარბებით (პრიორიტეტული სფერო 1-ის ყველა ინდიკატორი) ან სრულად, თუმცა პრიორიტეტული სფერო 3 ჩამორჩება კომბინირებული ქულების ცხრილს, რომელშიც ნაჩვენებია მიღწევების საშუალო დონე ამოცანის შედეგის დონის ინდიკატორების მიმართ. საერთო ჯამში, ეს შედეგები დიდწილად გამომდინარეობს აქტივობის შედეგის დონის ანალიზიდან.

ბ) ამოცანის შედეგების დონის ანალიზი			
პრიორიტეტული სფერო 3 – ეკოლოგია			
(ძირითადი კოდები)		(შეფასების კოდები)	
მიღწეულია (100 % და მეტი).	16	გადაჭარბებით მიღწეულია (100 % და მეტი).	4 (16%)
		მიღწეულია (100 %).	12 (48%)
ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	3	ნაწილობრივ მიღწეულია (60-80 %).	3 (12%)
არ არის მიღწეული (0-დან 60 %-მდე).	6	არ არის მიღწეული (< 60 %).	1 (4%)
		არ შესრულდა/არანაირი დაფინანსება (0 %).	5 (20%)

ეფექტურობა/ამოცანის შედეგის დონის ანალიზი

პრიორიტეტი/ამოცანა	ინდიკატორები 2018-2020 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმისთვის	საბაზისო მაჩვენებელი 2016	სამიზნე მაჩვენებელი 2018 (აქტივობის შედეგის დონეზე წვლილის შემტანი სამიზნეები)	ფაქტობრივი მაჩვენებელი 2018 (შედეგის დონის შესრულების საფუძველზე)
პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა				
ამოცანა 1.1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების გააძვირების განვითარების მეშვეობით.	- სულ ცოტა 1,290 ბენეფიციარმა განახორციელა ინვესტიცია.	521 ბენეფიციარი.	186 ბენეფიციარი.	201 ბენეფიციარი.
	-მელიორირებული მიწის ფართობი გაზრდილია, სულ ცოტა 15%-ით (15 % = 21,506 ჰა).	143,375 ჰა.	37,450 ჰა.	2017+2018: 52,080 ჰა 36%-იანი ზრდა 2018 წლისთვის.
ამოცანა 1.2: სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა გააძვირებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების მეშვეობით.	ინვესტიცია განახორციელა, სულ ცოტა 24-მა არასასოფლო სამეურნეო საწარმომ.	20 არასასოფლო-სამეურნეო საწარმო.	8	15
ამოცანა 1.3: სოფლად ტურიზმის განვითარება უნიკალური კულტურული იდენტობისა და სოფლის სპეციფიკიდან გამომდინარე.	ინვესტირება განხორციელდა, სულ ცოტა 135 ტურისტულ პროდუქტსა და ინფრასტრუქტურაში.	57 ტურისტული ინფრასტრუქტურა და პროდუქტი.	88 ტურისტული ინფრასტრუქტურა და პროდუქტი.	155 ტურისტული ინფრასტრუქტურა და პროდუქტი.
პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე				

<p>ამოცანა 2.1: ცნობიერების ამაღლება ინოვაციებისა და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის ხელშეწყობა უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების საკითხებში წვლილის შეტანით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).</p>	<p>სულ ცოტა 40,000 ბენეფიციარმა შეიძინა/გაიუმჯობესა შრომითი ბაზრისთვის საჭირო უნარები.</p>	<p>15,419 ბენეფიციარი.</p>	<p>5,905 ბენეფიციარი.</p>	<p>13,972 ბენეფიციარი.</p>
<p>ამოცანა 2.2: ინფრასტრუქტურა და მომსახურებები. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობების ძეგლებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.</p>	<p>სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, სულ ცოტა 35%-ს (31,500) გაეზრდება ხელმისაწვდომობა ახალ და/ან გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურაზე.</p>	<p>900,000 ადამიანი.</p>	<p>5 ინდიკატორი= 55,100 + X ერთი ინდიკატორისთვის.</p>	<p>5 ინდოკატორი: 42,029 + 11,000 =53,029 ადამიანი.</p> <p>31-დან მხოლოდ 6 შედეგის ინდიკატორით არის შესაძლებელი ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება.</p>
<p>ამოცანა 2.3: ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.</p>	<p>სულ ცოტა 8 თემის ადგილობრივი განვითარების ინიციატივების შესრულებისას მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის წლიური შეფასებისას და სოფლის განვითარების შემდეგი სტრატეგიის ჩამოყალიბებისას.</p>	<p>0 შეხვედრა.</p>	<p>2 საზოგადოებრივი ჯგუფისგან მიღებული ინფორმაცია ადგილობრივი განვითარების შესახებ გათვალისწინებული იქნება სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის ყოველწლიური გადახედვისას.</p>	<p>4 შეხვედრა საზოგადოებრივ ჯგუფებთან (89 მონაწილე). ინფორმაცია გამოყენებულ იქნა სოფლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გადახედვისას</p>
<p>პრიორიტეტული სფერო 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა</p>				

ამოცანა 3.1: წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. სამიზნე სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება.	სულ ცოტა 20%-ით გაზრდილი ტყის ფართობი, რომელიც იმართება ტყის მართვის გეგმებით.	12.8%	(22 ინდიკატორი).	22 ინდიკატორიდან 15 შესრულებულია. ამოცანის ინდიკატორებზე ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია.
	დაცული ტერიტორიების, სულ ცოტა 2 ტერიტორიული ერთეული იმართება მმართველობის გეგმებით.	9		
ამოცანა 3.2: ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა.	მყარი ნარჩენების მართვა გაუმჯობესებულია, სულ ცოტა 2 რეგიონში.	0 ნაგავსაყრელი.	დაიწყო 1 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა.	დაიწყო 1 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა.
ამოცანა 3.3: კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შემცირების ღონისძიებების განხორციელება.	აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაზღვეულია არანაკლებ 81,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.	15,472 ჰა.	დაახლოებით 20,000 ჰა დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო მიწა.	11,557 ჰა დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო მიწა.
	მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა გაზრდილია 78%-ით (25 ახალი სადგური), ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურების რაოდენობა - 52%-ით (24 ახალი სადგური).	32 მეტეოროლოგიური და 46 ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგური.	5 მეტეოროლოგიური და 4 ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურის მუქუნა და დამონტაჟება.	დამონტაჟდა 3 მეტეოროლოგიური და 5 ჰიდროლოგიური (წყლის მონიტორინგი) სადგური.

შეფასების მთავარი კითხვა 4 - რომელმა მთავარმა ფაქტორებმა შეუწყო ან შეუშალა ხელი სამიზნე ინდიკატორების განხორციელებას.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში დაფინანსების მუდმივი შესაძლებლობის არსებობიდან (მათ შორის პირველადი დაფინანსების პირობების მიღმა არსებული დაფინანსებები) და სამინისტროს კონკრეტული დეპარტამენტების როგორც პასუხისმგებელი ერთეულების პროცესში ჩართულობიდან გამომდინარე, დაფინანსების არარსებობა, მოუმზადებლობა ან მხარეების მხრიდან განხორციელების სურვილის ნაკლებობა უნდა გამოირიცხოს. ამასთან, აღნიშნულ ორგანოებს დაევალოთ არა მარტო აქტივობების განხორციელება, არამედ პროექტირების პროცესის მახასიათებლებიდან გამომდინარე, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიასა (RDSG) და სამოქმედო გეგმაში შერჩეული აქტივობების სფეროების „გადატანა“ (ამ აქტივობების სფეროებიდან ბევრი, თუ უმრავლესობა არა, არსებობდა მანამდე ან მონაწილეობას იღებდა სამინისტროს დარგობრივი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების დაგეგმვის ფაზის მსვლელობისას მათთვის განკუთვნილი მიმართულების შესაბამისად). ამრიგად, მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

შეზღუდული ათვისების ძირითადი მიზეზები იყო დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოქმედებისგან თავის შეკავება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყო საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში არა კონკრეტული აქტივობების დანერგვით, არამედ სექტორის სპეციფიკური მექანიზმების შეტანით. ამ შემთხვევაში საქმე ეხება კოოპერატივებთან დაკავშირებულ აქტივობებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, როგორც ჩანს, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ისტორიული კონტექსტით გამოწვეული ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, ჩაერთონ „კოლექტივისტურ“ ეკონომიკურ პროცესებში, თუნდაც დაინტერესებულ პირთა შემთხვევაში. მეწარმეები, ძირითადად, ემხრობიან თავისუფალ ბაზარს რისკების ინდივიდუალური მართვით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა მოსაწონია და ბევრ შემთხვევაში კარგად მუშაობს, ზოგჯერ კოოპერატივების საშუალებით ძალების გაერთიანება სასიკეთო გავლენას ახდენს მცირე მეწარმეებზე, რომლებიც უფრო მეტად იჩენენ მედეგობას შოკების მიმართ. ნებისმიერ შემთხვევაში, თავლისა და ჩაის კოოპერატივებისა და სხვების მხრიდან სამოქმედო გეგმის ინდიკატორების არასათანადო შესრულება შეიძლება, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც ზემოხსენებული ფენომენით აიხსნას.

მსგავსი სიტუაციაა მიწის უფლებების რეგისტრაციის სფეროში, რომელიც ასევე დაკავშირებულია როგორც დამოკიდებულებით და აღქმით პრობლემებთან, ისე კრედიტების ხელმისაწვდომობასთან, დაზღვევასთან და სხვ. ამ შემთხვევაში მიწის მფლობელთა წუხილს ძირითადად იწვევს დაბეგვრის საკითხი. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების მომავალი სტრატეგიისთვის (ARDSG) აუცილებელია განმარტებითი კამპანიის ჩატარება. სტიმულირების მიზნით სასურველია გამოყენებული იქნეს ე.წ. „მოწონებისა და დასჯის“ მიდგომა და განიმარტოს ჯარიმები. მიწის საკუთრების უფლებების რეგისტრაციასთან დაკავშირებულია ასევე არალეგალური ხანძრის გაჩენის საკითხი (სასოფლო-სამეურნეო ხანძრების გაჩენის შემთხვევები).

პრიორიტეტული სფერო 3-ის (ბუნებრივ ნაკრძალებში საძოვრების მართვა, ტყეების მართვის დაგეგმვა) გარემოსდაცვითი ინდიკატორების კუთხით არსებული მცირე პროგრესი არის პატარა პრობლემა „ნეგატიური“ ინდიკატორის არარსებობასთან შედარებით, რომელიც შეაფასებდა ხანძრის მოსავლიან ველებზე გავრცელებას (შემთხვევების/ინციდენტებისა და დაზიანებული ჰექტრების რაოდენობა) გაწმენდისა და სასუქით დამუშავების მიზნით.

ასეთი ხანძრები დიდ საფრთხეს უქმნის გარემოს და აუცილებელია მათი აღმოფხვრა. საჭიროა ძლიერი რეაგირება, შესაძლოა გადაიხედოს არსებული კანონები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი უნდა იყოს კანონის სრულად აღსრულება.

დროებისა და სატელიტის გადაღებული სურათები არის ხელსაყრელი ტექნოლოგიური მეთოდი რეაგირების მექანიზმების დასაჩქარებლად და ზემოაღნიშნული ფენომენის ფართომასშტაბიანი მონიტორინგისთვის. დამნაშავეების პოვნა არ უნდა იყოს რთული, რადგან, როგორც წესი, პირველი ეჭვის მიტანა ხდება გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთის მფლობელებზე ან მოსარგებლეზე. აუცილებელია კანონის სრული სიმკაცრით გამოყენება და დაცვა. დამნაშავე პირისთვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა და მესამე მხარისთვის მისით სარგებლობის უფლების გადაცემა (ლატარიის, ტენდერის/აუქციონის ან გაყიდვის/ლიზინგის გზით საბაზრო ღირებულების შესაბამისად) იქნება შესაფერისი რეაგირება.

ძალიან ცუდი ან ნულოვანი შესრულების სხვა შემთხვევები აიხსნება შესყიდვების კუთხით არსებული საკითხებითა და ადმინისტრაციული დამუშავების შეფერხებით. სოფლად სპორტული აღჭურვილობის დაყენება, არქივების შექმნა, გეგმის შემუშავება და სხვა ღონისძიებები არის ის შეჩერებული ან შეუსრულებელი აქტივობები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროში. დაბოლოს, სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის პროფესიულ პროგრამებში მონაწილე სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასარიცხად 2%-იანი მიზნის მიუღწევლობა (0-დან 2% -მდე), რომლის საბოლოო სამიზნე იყო 6%, შეიძლება აიხსნას ლოგისტიკური საკითხებისა და აქტიურობასთან დაკავშირებული პრობლემების მოუგვარებლობით.

3.3 ეფექტიანობა

ძირითადი შეფასების კითხვა 5 - როგორია ხარჯების/თანხების ათვისების მაჩვენებელი გლობალურ დონეზე და სტრატეგიული საფუძვლების მიხედვით; რამდენად მოხდა თითოეული სტრატეგიული სფეროს განხორციელებისათვის რესურსების ინვესტირება საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

ეფექტიანობის კრიტერიუმი ასახავს, თუ რამდენად ხდება გამოყოფილი რესურსების გამოყენება შედეგების საუკეთესო დონის უზრუნველსაყოფად. რესურსები გულისხმობს როგორც ფინანსურ, ადამიანურ და საოპერაციო/ლოგისტიკურ რესურსებს, ისე დროს. ამ თვალსაზრისით, ზოგადი შენიშვნა ეხება მთლიანობაში, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) დიზაინის, ისევე, როგორც ოპერაციული კოორდინაციის მექანიზმის (კერძოდ, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC)) შესაძლებლობას, ისარგებლოს უფრო მაღალი დონის თანამიმდევრულობითა და კოორდინაციით. საბიუჯეტო სახსრების ეფექტური გამოყენების მკაცრი ფინანსური ანალიზით, ათვისების მაჩვენებელი სასარგებლო

ინდიკატორია, რადგან გვიჩვენებს ფაქტობრივი ხარჯების პროპორციას თავდაპირველად დაგეგმილ ხარჯებთან. 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმის ერთიანი ფაქტობრივი ხარჯები 32%-ით აჭარბებს საპროგნოზო, დაგეგმილ საბიუჯეტო ხარჯებს. გაანგარიშებული ფაქტობრივი და საპროგნოზო ხარჯების განაკვეთები 2017 და 2018 წლებისთვის მიუთითებს, რომ ორივე წელს ფაქტობრივი ხარჯვა მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავდაპირველ გეგმას (148% 2017 წლის საწყის გეგმასთან შედარებით და 132% - 2018 წელს). მაშინ, როდესაც პრიორიტეტული სფერო 3-სთვის (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვა) თავდაპირველად გათვალისწინებულზე გაცილებით მაღალი ბიუჯეტი გამოიყო (338%), რომელიც ასევე იქნა ათვისებული 2017 წელს, პირიქით მოხდა 2018 წელს, რაც რეალურად დახარჯული მიზნობრივი ბიუჯეტის მხოლოდ 56% - ს შეადგენს.

ბიუჯეტის ათვისება - სამოქმედო გეგმები 2017 და 2018

	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ლარი)	ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტის შედარება 2017 (%)
3.0.1	160,645,000	149,712,708	93%
3.0.2	211,638,065	398,064,235	190%
3.0.3	430,000	709,887	338%
ს.გ. 2017	372,713,065	548,486,830	148%
	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ლარი)	ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტის შედარება 2018 (%)
3.0.1	116,952,000	165,728,181	142%
3.0.2	403,027,100	495,806,011	123%
3.0.3	38,184,500	21,287,800	56%
ს.გ. 2018	558,163,600	682,821,991	122%
ს.გ. 2017 და ს.გ. 2018	930,876,665	1,231,308,821	132%

შემდეგი პერსპექტიული ეფექტიანობის ანალიზით ხდება ფაქტობრივი მიღწევების კოეფიციენტების შედარება ძირითადი აქტივობის დონის ინდიკატორებისათვის დადგენილ შესრულების მიზნებთან ყველა პრიორიტეტულ სფეროში, რეალური ხარჯვის ფაქტობრივი დონის გათვალისწინებით (ფაქტობრივი vs. წინასწარ დაგეგმილი). ანალიზი ჩატარდა როგორც 2017, ისე 2018 წელს.

ეფექტიანობის ანალიზი 2017/ცალკეული ნაწილების¹ ფერების მიხედვით კოდირება

აქტივობა	სამიზნე ინდიკატორები (2017)	ფაქტობრივი ინდიკატორები (2017)	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	ფაქტობრივი ბიუჯეტი (ლარი)	ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტების შედარება 2017 (%)
1.1.6 სოფლად სამელიორაციო სისტემის მოდერნიზაცია/გაუმჯობესება მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით	ა) სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 7 500 ჰა-ზე; ბ) ახალი მიწების ათვისება - დაახლოებით 130 ჰა; გ) რეაბილიტირებული დაშრობილი ფართობი - დაახლოებით 1 600 ჰა; დ) გაიწმინდება და მოწესრიგდება დაახლოებით 800 კმ სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი; ე) შეკეთდება და შეიცვლება 70 კმ მილსადენი.	ა) სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 17 500 ჰა-ზე; ბ) ათვისებულია 440 ჰა-მდე ახალი მიწები; გ) 2 500 ჰექტარი დაშრობილი მიწის რეაბილიტაცია; დ) გაწმენდილი და მოწესრიგებულია დაახლოებით 2 042 კმ. სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი; ე) შეკეთებული და შეცვლილია 29 კმ მილსადენი. შენიშვნა: 1.1.6 „ე“ ინდიკატორი შესრულებულია ნაწილობრივ.	48.000.000,0	41.900.000,0	87%

1 ამ ცხრილისთვის გამოყენებული კოდირების ფერებია: ლურჯი: მიზანი მიღწეულია გადაჭარბებით გათვალისწინებულზე (მეტი) ნაკლები ბიუჯეტით; მწვანე: მიზანი გადაჭარბებითაა მიღწეული გათვალისწინებულზე ნაკლები ბიუჯეტით ან მიღწეულია გათვალისწინებულზე ნაკლები ბიუჯეტით; ნარინჯისფერი: მიზანი გადაჭარბებითაა მიღწეული გათვალისწინებულზე მეტი ბიუჯეტით; წითელი: მიზანი არ იქნა მიღწეული, მიუხედავად თითქმის სრული ან სრული დაფინანსებისა; ნორმალური/დაუფერავი კოდი: მიღწევის დონე დაფინანსების დონეს შეესაბამება.

<p>1.1.8 სოფლად მეწარმეობის წახალისებისთვის კოოპერატივების დაარსების ხელშეწყობა აგროკოოპერატივების მხარდაჭერის გზით.</p>	<p>ა) დაახლოებით 10-მდე კოოპერატივის აღჭურვა ყურძნის ან/და რძის მიმღებ-გადამმუშავებელი აღჭურვილობით;</p> <p>ბ) დაახლოებით 28-მდე კოოპერატივის აღჭურვა თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინვენტარით (სკები, თაფლის საწურები, ავზები, ფიჭის ასათლელი);</p> <p>გ) დაახლოებით 7-მდე კოოპერატივში დაინერგება საერთაშორისო სტანდარტები (ISO, Global Gap, HACCP).</p>	<p>ა) 13 კოოპერატივი აღჭურვილია ყურძნის/რძის მიმღებ-გადამმუშავებელი აღჭურვილობით;</p> <p>ბ) 67 კოოპერატივი აღჭურვილია თაფლის და ფუტკრის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინვენტარით (სკები, თაფლის საწურები, ავზები, ფიჭის ასათლელი).</p> <p>გ) ინფორმაცია არ არის</p>	<p>4.870.000,0</p>	<p>2.737.331,0</p>	<p>56%</p>
<p>1.2.1. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მეშვეობით ინდუსტრიული და მიკრო-და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა.</p>	<p>ა) პროექტების რაოდენობა: 150-მდე (ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 320 მლნ ლარი);</p> <p>ბ) დასაქმებულთა რაოდენობა: 8000-მდე;</p> <p>გ) რეგიონში შექმნილი მიკრო- და მცირე მეწარმე სუბიექტების (ბენეფიციარების) რაოდენობა: 1300-მდე;</p> <p>დ) გადამზადებული ბენეფიციარების რაოდენობა: 3000-მდე.</p>	<p>ა) განხორციელებული პროექტების რაოდენობა - 174. (ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 395 მლნ ლარი);</p> <p>ბ) შექმნილი სამუშაო ადგილები: ჯამში 7639;</p> <p>გ) რეგიონში შექმნილი მიკრო- და მცირე მეწარმე სუბიექტების (ბენეფიციარების) რაოდენობა: 3498; მათ შორის, ახალი პროექტებიდან: 2109;</p> <p>დ) 5694 გადამზადებული ბენეფიციარი.</p>	<p>32.050.000,0</p>	<p>23.690.958,9</p>	<p>74%</p>
<p>1.3.4 სოფლად ტურიზმის ზრდის მიზნით</p>	<p>5 ახალი და განახლებული ტურისტული პროდუქტის სახეობა;</p>	<p>ა) შექმნილი/განახლებულია 5 ტურისტული პროდუქტის სახეობა;</p>	<p>165.000,0</p>	<p>121.731,0</p>	<p>74%</p>

ტურისტული პროექტის განვითარება.	სულ ცოტა 20 შემუშავებული საფენმავლო მარშრუტი.	ბ) დაგეგმარებულია 20 საფენმავლო მარშრუტი.			
2.1.3. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა მუნიციპალიტეტებში და მასში შემავალ სოფლებში.	რეგიონებში პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა (სტუდენტთა) რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (7580) გაზრდილია 5%-ით.	პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (8,793) გაზრდილია 16%-ით.	11.115.000,0	10.172.064,0	92%
2.1.6. სოფლად განსახლების მსურველი დევნილების ისეთ ადგილებში განსახლება, სადაც საცხოვრებელთან ერთად ხელმისაწვდომია მიწა.	400 დევნილი ოჯახისთვის გადაცემულია საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად.	საცხოვრებელი სახლი მიწა 611-მა დევნილმა ოჯახმა, მათ შორის 189 დევნილმა - მიწის ნაკვეთთან ერთად. შენიშვნა: ინდიკატორი შესრულებულია ნაწილობრივ.	8.000.000,0	12.559.802,0	157%
2.1.11. სოფლის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დასაქმების ფორუმების ორგანიზება.	ა) ყოველწლიურად ჩატარებულია, სულ ცოტა ერთი ფორუმი; ბ) ფორუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 150 სამუშაოს მაძიებელს საქართველოს რეგიონებში.	ა) რეგიონებში ჩატარებულია 5 დასაქმების ფორუმი; ბ) ფორუმში საშუალოდ მონაწილეობას იღებდა 500-დან 550-მდე სამუშაოს მაძიებელი.	15.000,0	0,0	0%
2.2.4. სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა.	70-მდე აშენებული/რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი.	83 აშენებული/რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი.	10.000.000,0	9.800.000,0	98%
2.2.8. რეგიონების, მათ შორის სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა გაზომვარაგებით.	ა) დაემატება 35 000 აბონენტი.	ა) დაემატა 87 160 აბონენტი.	20.000.000,0	17.246.000,0	86%

3.1.2 ბუნებრივი საძოვრების ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა.	შემუშავებული და დამტკიცებულია ვაშლოვანისა და ლაგოდუხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგრადი მართვის გეგმები (საპილოტე).	შესრულებულია ნაწილობრივ.	100,000	310,000	310%
--	---	--------------------------	---------	---------	------

უფექტიანობის ანალიზი 2018 / ცალკეული ნაწილების ფერების მიხედვით კოდირება

აქტივობის შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი 2018	ინდიკატორის ფაქტობრივი შესრულება 2018	საზომი ერთეული	საპროგნოზო ბიუჯეტი 2018 (ლარი)	ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება 2018 (ლარი)	ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტების შედარება 2018 (%)	პასუხისმგებელი უწყება
1.1.2.1 დაფინანსებულია, სულ ცოტა 200 ასალგაზრდა მეწარმე.	100	114	ერთეული	3.000.000	2.887.795	96%	ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“
1.1.6.1 ჩატარდა, სულ ცოტა 6 ადგილობრივი გამოფენა.	2	2	ერთეული	210.000	56.098	27%	ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“
1.1.8.1 სულ ცოტა 350 მეპაიეს ჩატარდა ტრენინგი დარგობრივი მიმართულებით.	350	0	ერთეული	200.000	0	0%	ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“

1.1.10.1 სულ ცოტა 3150 ჰექტარზე გაუმჯობესდა სარწყავი წყლის მიწოდება.	1.350	1.440	ჰექტარი	18.675.000	12.040.852	64%	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
1.1.10.2 სულ ცოტა 5 ობიექტზე ჩატარდა მიწის აღდგენითი სამუშაოები.	2	2	ერთეული				
1.1.10.3 სულ ცოტა 130 კერძო პირისთვის გაიცა გრანტი.	40	221	ერთეული				
1.1.10.4 სულ ცოტა 17 გრანტი გაიცა აგრობიზნესისთვის.	8	3	ერთეული				
1.1.10.5 მოეწყო, სულ ცოტა 5 სადემონსტრაციო ნაკვეთი.	3	5	ერთეული				
1.1.10.6 სულ ცოტა 500 ფერმერს ჩაუტარდა ტრენინგი.	300	1.023	ერთეული				
1.1.12.1 სულ ცოტა 20,000 ჰექტარზე გაუმჯობესდა წყალუზრუნველყოფა.	20.000	20.000	ჰექტარი	20.566.000	11.264.000	55%	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
1.1.13.1 სულ ცოტა 5 კოოპერატივი აღჭურვილია საწარმოო დანადგარებით.	7	0	ერთეული	900.000	795.270	88%	ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“
2.1.3.1 სახელმწიფო საგანმანათლებლო ინსტიტუტების პროფესიულ პროგრამებში მონაწილე სტუდენტების (სოფლად მცხოვრები) რაოდენობა გაზრდილია, სულ ცოტა 6%-ით.	2	0	პროცენტი	4.278.600	5.676.400	133%	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2.1.5.1 გადამზადებულია, სულ ცოტა 1050 სამუშაოს მაძიებელი.	350	1.381	ერთეული	2.090.000	2.083.804	100%	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
2.1.6.1 სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ აქტივობაში ჩაერთო, სულ ცოტა 36000 ახალგაზრდა.	10.000	10.000	ერთეული	500.000	362.560	73%	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
2.2.4.1 სულ ცოტა 240 საჯარო სკოლაში მოწყობილია (დაქსელილია) ინტერნეტსაკომუნიკაციო სისტემები.	80	108	ერთეული	2.000.000	1.723.000	86%	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
2.2.5.1 ფუნქციონირებს, სულ ცოტა 6 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი (ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, აჭარა, შიდა ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი).	6	6	ერთეული	534.000	392.504	74%	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
2.2.7.1 სოფლის სკოლების, სულ ცოტა 60000 მოსწავლისთვის ჩატარებულია თავისუფალი გაკვეთილები.	20.000	14.000	ერთეული	900.000	1.360.000	151%	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2.2.11.1 აშენებულია, სულ ცოტა 4 ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი.	2	2	ერთეული	20.000.000	17.000.000	85%	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
2.2.12.1 სულ ცოტა 1340-მა ბენეფიციარმა მიიღო სახელმწიფო დახმარება.	400	318	ერთეული	300.000	233.000	78%	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
2.2.18.1 სულ ცოტა 50 კილომეტრ გზაზე მოწყობილია გარე განათება.	20	15	კილომეტრი	500.000	670.000	134%	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
2.2.19.1 აშენებული/რეაბილიტირებულია, სულ ცოტა 90 მრავალბინიანი კორპუსი.	40	38	ერთეული	2.500.000	2.000.000	80%	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
2.2.22.1 სოფლის ექიმთან ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაზრდილია 1.3-მდე.	1	0	ერთეული	26.000.000	25.346.036	97%	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2.2.25.1 სულ ცოტა სანოტარო ბიურო განთავსებულია იმ რეგიონულ დასახლებებში (მაღალმთიანი დასახლებების ჩათვლით), რომლებშიც მანამდე ხელმისაწვდომი არ იყოს სანოტარო მომსახურება.	0	30	ერთეული	100.000	154.393	154%	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
2.2.27.1 სულ ცოტა x ბავშვმა მიიღო სოციალური დახმარება.	11.000	11.000	ერთეული	24.000.000	20.939.680	87%	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
3.1.3 დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება.	1	1	ერთეული	0	0	0%	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
3.1.7.1 დასახლებული პუნქტების გეოლოგიური მონიტორინგის არეალები გაზრდილია, სულ ცოტა 15%-ით.	5	10	პროცენტი	8.400	6.894	82%	სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
3.1.9.1 ჩამოყალიბებულია, სულ ცოტა 6 მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული სადამკვირვებლო წყალპუნქტი.	5	4	ერთეული	85.000	45.300	53%	სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

შეფასების ძირითადი კითხვა 6 - შედეგების მიღწევის პროგრესის და საწყისი საბიუჯეტო დაგეგმვისას გათვალისწინებული რესურსების გათვალისწინებით, იქნა თუ არა მიღწეული შედეგი ნაკლები დანახარჯებით.

რამდენადაც ზემოთ მოცემული გრაფები ფოკუსირებულია ერთმანეთისგან განსხვავებულ შემთხვევებზე, რომლებიც აჩვენებს მიღწევის დონის ხარისხის შესაბამობას სამიზნე ინდიკატორულ და საბიუჯეტო დონეებთან (მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი ხარჯი/დაფინანსება, ვიდრე მიღებული საპასუხო შესრულების დონეები), ქვემოთ განხილული რაოდენობრივი ანალიზი იძლევა მოწინავე ეფექტიანობის ანალიზის სრულყოფილ მიმოხილვას პრიორიტეტული სფეროების ან შედეგების დონეების ფარგლებში არსებული ძირითადი აქტივობის კომპონენტებისათვის (აქტივობის შედეგები) 2017-2018 წლების სამიზნე ინდიკატორულ მიმართულებებთან მიღწევის/პროგრესის შეპირისპირებით და შესაბამისი ათვისების/გაწეული ხარჯების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

მართლაც, 2017 და 2018 წლებში მიღწევის დონის „ჩვეულებრივი“ შემთხვევები, რომლებიც შეესაბამებოდნენ არსებულ ფინანსურ საშუალებებს (საუკეთესო ხარისხის შესრულება იქნა მიღწეული გათვალისწინებულზე მეტი დანახარჯებით; მცირე დაფინანსების შედეგად მიღებულ იქნა მიღწევის დაბალი ხარისხი და დონე), დაახლოებით იგივე რაოდენობა იყო ორივე წელს (კერძოდ, 78% ან 40/51 ინტერვენცია 2017 წელს და 69% ან 47/68 ინტერვენცია 2018 წელს).

ეფექტურობისა და ეფექტიანობის მარტივი ანალიზის შესაბამისად, მაღალი ეფექტიანობის ანალიზი, რომელიც აერთიანებს ეფექტურობისა და ეფექტიანობის ციფრებს, აჩვენებს, რომ 2017 წელს 2018 წელთან შედარებით შესრულება იყო უფრო მაღალი. შემთხვევების დაახლოებით 20% მოხვდა ლურჯ/გადაჭარბებით მიღწევის და მწვანე/მაღალი მიღწევის გრაფებში (თითოეული მათგანის 10%-ს ადგილი ჰქონდა 2017 წელს, მაშინ, როდესაც (2018 წელს არ დაფიქსირებულა არც ერთი ლურჯი შემთხვევა), 2/51 შემთხვევა დაფიქსირდა საშუალო შესრულებით (2018 წელს იყო 5/47) და 2017 წელს არ დაფიქსირებულა არც ერთი გამოკვეთილი დაბალი ხარისხის შესრულების შემთხვევა (წითელი გრაფა), მაშინ, როცა 2018 წელს აღინიშნა ორი „წითელი“ შემთხვევა.

	ლურჯი	მწვანე	ნარინჯისფერი	წითელი	ნორმალური	ჯამი/საერთო რაოდენობა
2017	4	5	2	0	40	51
2018	0	14	5	2	47	68
ჯამი	4	20	6	2	87	119
%	3%	17%	5%	2%	73%	100%

პირობითი ნიშნების განმარტება:

ლურჯი: მიზანი შესრულდა გადაჭარბებით გათვალისწინებულზე ბევრად ნაკლები ბიუჯეტით.

მწვანე: მიზანი შესრულდა გადაჭარბებით გათვალისწინებულზე ნაკლები ბიუჯეტით ან მიზნის მიღწევა მოხდა გათვალისწინებულზე ნაკლები ბიუჯეტით.

ნარინჯისფერი: მიზანი შესრულდა დაბალი ხარისხით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში ან მიზანი შესრულდა საწყისი ბიუჯეტით გათვალისწინებულზე უფრო მეტი დანახარჯით.

წითელი: მიუხედავად თითქმის სრული ან სრული დაფინანსებისა, მიზანი საერთოდ არ იქნა მიღწეული.

ნორმალური: მიღწევის დონე შეესაბამება დაფინანსების დონეს.

პრიორიტეტული სფეროების პერსპექტიული ეფექტიანობის ციფრების დეტალური მიმოხილვა ასეთია:

2017 წლის ეფექტიანობის სამოქმედო გეგმა:

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 1/ამოცანის შედეგი - კონკურენტუნარიანობა: 2 ლურჯი, 1 მწვანე, 5 ნორმალური/8 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 1/ამოცანის შედეგი - დივერსიფიკაცია: 1 ლურჯი/ 1 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 1/ ამოცანის შედეგი - ტურიზმი: 1 მწვანე, 5 ნორმალური/6 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 1/აქტივობის შედეგი - ჯამი: 3 ლურჯი, 2 მწვანე, 10 ნორმალური/15 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 2/ამოცანის შედეგი - უნარ-ჩვევები და დასაქმება: 1 ლურჯი, 1 მწვანე, 1 ნარინჯისფერი, 8 ნორმალური/ 11 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 2/ამოცანის შედეგი - ინფრასტრუქტურა და მომსახურება: 2 მწვანე, 15 ნორმალური/ 17 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 2/ამოცანის შედეგი - სოფლის მოსახლეობის ჩართულობა: 1 ნორმალური/1 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 2/აქტივობის შედეგი - ჯამი: 1 ლურჯი, 3 მწვანე, 1 ნარინჯისფერი, 24 ნორმალური/29 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 3/ამოცანის შედეგი - წყალი, ხე-ტყე და სხვა რესურსები: 1 მწვანე, 1 ნორმალური/2 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 3/მყარი ნარჩენების მართვა: 2 ნორმალური/2 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 3/კლიმატური ცვლილება: 3 ნორმალური/3 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის პრიორიტეტული სფერო 3/აქტივობის შედეგი - ჯამი: 1 ნარინჯისფერი, 6 ნორმალური/7 საბიუჯეტო კომპონენტი;

2017 წლის ჯამი: 4 ლურჯი, 5 მწვანე, 2 ნარინჯისფერი, 40 ნორმალური/51 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის ეფექტიანობის სამოქმედო გეგმა:

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 1/ამოცანის შედეგი - კონკურენტუნარიანობა: 3 მწვანე, 2 ნარინჯისფერი, 1 წითელი, 7 ნორმალური/13 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 1/ამოცანის შედეგი - დივერსიფიკაცია: 1 ნორმალური/1 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 1/ამოცანის შედეგი - ტურიზმი: 5 ნორმალური/5 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 1/აქტივობის შედეგი - ჯამი: 3 მწვანე, 2 ნარინჯისფერი, 1 წითელი, 13 ნორმალური/19 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 2/ ამოცანის შედეგი - უნარ-ჩვევები და დასაქმება: 3 მწვანე, 6 ნორმალური/9 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 2/ამოცანის შედეგი - ინფრასტრუქტურა და მომსახურება: 6 მწვანე, 3 ნარინჯისფერი, 1 წითელი, 17 ნორმალური/27 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 2/ამოცანის შედეგი - ტურიზმი:1 ნორმალური/1 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 2/აქტივობის შედეგი - ჯამი: 9 მწვანე, 3 ნარინჯისფერი, 1 წითელი, 24 ნორმალური/37 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 3/ამოცანის შედეგი - წყალი, ხეტყე და სხვა რესურსები: 3 მწვანე, 7 ნორმალური/10 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 3/მყარი ნარჩენების მართვა: 1 ნორმალური/1 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 3/კლიმატური ცვლილება: 2 ნორმალური/2 საბიუჯეტო კომპონენტი;

2018 წლის პრიორიტეტული სფერო 3/აქტივობის შედეგი - ჯამი: 3 მწვანე, 10 ნორმალური/13 საბიუჯეტო კომპონენტი;

დასკვნისათვის, რთულია ითქვას, შეიძლება თუ არა მსგავსი შედეგები მიღწეულიყო ნაკლები ფინანსური დანახარჯებით. ინდიკატორისა და საბიუჯეტო ხარჯების 20 %-ის გაერთიანებულმა ჯამმა შესაბამის მიზნებს მიაღწია გადაჭარბებით გათვალისწინებულზე ნაკლები ან გაცილებით ნაკლები საბიუჯეტო დანახარჯებით, ან მიაღწია გათვალისწინებულზე ნაკლები ხარჯებით. ასევე, იმ შემთხვევების 73 %, რომელთა მიღწევების დონეები დაფინანსების დონის შესაბამისი იყო, და 93% შემთხვევების გაერთიანებული ჯამი მიეკუთვნებოდა შესაბამისი ფასის/ღირებულების კარგი და შესანიშნავი შესრულებების კატეგორიებს. როგორც დისკლეიმერი, ხაზი უნდა გაესვას, რომ ზემოთ მოცემული გაანგარიშებები და დებულებები მომზადებულია მხოლოდ დაგეგმილი ბიუჯეტის გათვალისწინებით და არ განიხილავს, არის თუ არა დაგეგმილი ციფრები ძალიან მაღალი (ან ძალიან დაბალი) წინასწარ გათვალისწინებული პროგრამის შესრულების დონეებთან მიმართებით.

შეფასების ძირითადი კითხვა 7 - რამდენად გააძლიერა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიამ (RDSG) / სამოქმედო გეგმამ უწყებებს შორის სინერგია და ერთობლივი

დაგეგმვის უნარი, მაგალითად, ერთობლივი პროგრამების და კონკრეტული ერთობლივი ინიციატივების შემუშავებისა და განხორციელების გზით.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ჩარჩოს შემუშავებისას გამოყენებულ იქნა უფრო მეტად ერთობლივი დაგეგმვის მიდგომა, ვიდრე ერთობლივი დაგეგმვის (JP) შექმნის პროცესის მეტად ინტეგრირებული ლოგიკა. მიუხედავად ამისა, ერთიანი, საბოლოო პროდუქტი შესაძლოა განისაზღვროს როგორც პირველი თაობის ერთობლივი დაგეგმვა (არაინტეგრირებული აქტივობები, თუმცა ამოცანებისა და პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელება მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რის შედეგადაც ერთობლივი მოქმედების შედეგები, უფრო მეტიც, აღნიშნული სტრატეგია არის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის (ARDSG) წინამორბედი ინტეგრირებული და უფრო ფართოდ განსაზღვრული დოკუმენტი.

შეფასების ძირითადი კითხვა 8 - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG)/სამოქმედო გეგმის განხორციელებისას რამდენად იქნა გამოყენებული რესურსები საუკეთესო შედეგების მისაღწევად; შესაძლებელი იყო თუ არა ალტერნატიული სტრატეგიების არსებობა.

ეფექტიანობის დონეების წინ წამოსაწევად (გამოყენებული რესურსების ოპტიმალური შედეგებითი ეფექტის და შესაფერისი ფასის მაქსიმალიზაციით გაგებით) შესაძლო ალტერნატიული მოდელი იქნებოდა რეგიონალური განმახორციელებელი ცენტრების და მუნიციპალური სამსახურების როგორც კონკურენტი მეურვეების დაარსება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (Action Plan) გათვალისწინებით. რესურსების გამოყოფა დამოკიდებული იქნებოდა ზემოთ მოყვანილი ეფექტიანობის ანალიზით გათვალისწინებულ იმ საზომზე, რომელიც შეფასებულია მმართველობითი ფუნქციის შესრულების მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, ყველა სამსახურს გადაეცემოდა მსგავსი საწყისი ბიუჯეტი დამატებითი რესურსების გამოყოფით, რომელიც, მიღწევების ხარჯების ეფექტიანობასთან შედარების გამოთვლით, დაკავშირებული იქნებოდა პროგრესზე.

სუსტი განვითარების აქტორები თანხის ათვისების მხრივ დამოკიდებული იყვნენ პროგრესისა და ინდიკატორების შედარებაზე. შესაბამისად, ისინი იღებენ ნაკლებ დაფინანსებას ეროვნულ დონეზე, მაშინ, როცა კარგად შემსრულებლები შესაძლოა დაჯილდოვდნენ. წახალისების საშუალების დაწესება შექმნიდა მეტად ღირებულ და სასარგებლო ეფექტიანობას, ეფექტურობას და განხორციელებისას წარმოქმნილი გამოწვევების, დაბრკოლებებისა და პრობლემების უკეთ გამკლავების შესაძლებლობას.

შეფასების ძირითადი კითხვა 9 - მიიღო თუ არა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიამ (RDSG)/სამოქმედო გეგმამ ფინანსური და ადამიანური რესურსი შედეგების მისაღწევად.

რაც შეეხება ადამიანური რესურსების მონაწილეობას, - როდესაც შესაბამისმა სამინისტროებმა და სახელმწიფო უწყებებმა თავიანთ მოსამსახურეებში ვერ შეძლეს საჭირო საექსპერტო ცოდნის მოძიება, საჭირო გახდა გარე რესურსების მოზიდვა. ზოგადი ფინანსური ხელმისაწვდომობის მხრივ ზემოთ მოყვანილი დეტალური საბიუჯეტო ანალიზი განსაზღვრავს, რომ 2017 და 2018 წლების პრიორიტეტული სფეროებით ექვსიდან ოთხს (ჯამში 2x3) ჰქონდა ფაქტობრივის საპროგნოზოსთან შედარებითი კოეფიციენტი (დაგეგმილი ბიუჯეტი გაცილებით აჭარბებს 100%). სამოქმედო გეგმის გაერთიანებულ დონეზე 2017 წლის სამოქმედო გეგმით იყო ფაქტობრივი შედარებული ბიუჯეტით

დაგეგმილთან 148 %, 2018 წლის სამოქმედო გეგმით კი - 122% თანაფარდობა. საერთო ჯამში, სტრატეგიამ აჩვენა ფაქტობრივისა და ბიუჯეტით დაგეგმილის 132 % თანაფარდობა. უფრო მეტიც, ეჭვგარეშაა, რომ მოთხოვნილი რესურსები ხელმისაწვდომი იყო საკმაოდ ფართო ფინანსური რესურსების თვალსაზრისით.

შეფასების ძირითადი კითხვა 10 - რამდენად ეფექტურად იქნა მართული საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (RDSG)/სამოქმედო გეგმა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) დაევალა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ეფექტიანი კოორდინირება. მიუხედავად ამისა, მისი ყოველდღიური პრაქტიკული სამუშაო ფოკუსირებულია მომსახურების გაწევაზე, მათ შორის ისეთი სახის ადმინისტრაციულ დავალებებზე, როგორცაა მონაცემთა შეგროვება შეფასების მოხსენებების წარსადგენად საანგარიშო პალატის უწყების ან, უფრო მეტიც, დაინტერესებულ მხარეთა შიდა მონაცემთა წარმოების ცოდნის გარეშე და სხვ. შეფასების დავალების აღნიშნული მოდელი არის კარგი მაგალითი უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭოს შედარებით შეზღუდული ავტორიტეტული მანდატისა. იმის ნაცვლად, რომ დაგეგმოს სტრატეგიული და პრაქტიკული კურსი, რომელსაც უნდა მიჰყვეს ყველა დაინტერესებული მხარე პროგრამის სწორად წარმართვის, ეფექტიანობისა თუ სხვა კომპონენტების შესრულების უზრუნველსაყოფად, იგი უფრო მეტად ასრულებს მომსახურების გამწვანის როლს და დაკავებულია ადმინისტრაციული მართვის მიმდინარე საქმეებით.

საბჭოს მანდატის გაძლიერება იქნებოდა გონივრული წინგადადგმული ნაბიჯი, რათა გაუმჯობესდეს პროგრამის ეფექტიანობა. დარგობრივი სამინისტროს სენსიტიური დამოკიდებულებების გამო, საბჭო არ უნდა გახდეს სტრატეგიაში წვლილის შემტან სხვა სამინისტროთა დეპარტამენტების დავალებების შემსრულებელი, არამედ იგი უნდა იყოს პირველი თანასწორთა შორის.

3.4 მდგრადობა და ზემოქმედება

მდგრადობა:

შეფასების ძირითადი კითხვა 11 - როგორია სტრატეგიის გრძელვადიანი ზემოქმედება და გავლენა.

მომავლის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, ზოგიერთმა შეიძლება ამტკიცოს, რომ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) გრძელვადიანი გავლენაა, რომ იგი პირველი საეტაპო ნაბიჯია საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიის (ARDSG) შემუშავების კუთხით. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ინოვაციურმა ბიძგმა განაპირობა ინტეგრირებული, მრავალდარგობრივი სტრატეგიული ჩარჩოს შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ისეთ მრავალმხრივ პრობლემებზე, რომლებიც საჭიროებს კომპლექსურ საპასუხო პროგრამულ მიდგომას. ამ ახალმა, უფრო ერთიანმა მიდგომამ, რომელსაც ჰქონდა მცდელობა დარგობრივი საზღვრები გადაეღებინა, გამოწვევის წინაშე დააყენა ქართული პოლიტიკის ლანდშაფტი და ამასთან გაამდიდრა კიდეც ის.

გაჩნდა მკაფიო კითხვა, თუ რატომ უნდა არსებობდეს სამი სხვადასხვა ძირითადი სტრატეგია (ცალკეული სტრატეგიები სოფლის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისათვის) ერთი ინტეგრირებული სამინისტროს ქოლგის ქვეშ, რომელიც მუშაობს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე გარემოს დაცვის მიმართულებით. ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის (ARDSG) საბოლოო სახით ჩამოყალიბება,

რომელიც გააერთიანებს როგორც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, ისე, ამავე დროს, ეცდება დაზვეწოს გარემოს დაცვის სტრატეგია.

(გრძელვადიანი ზემოქმედების უფრო კონკრეტული, ტექნიკური მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ, მე-16 შეფასების ძირითადი კითხვის ქვეშ, ზეგავლენის კრიტერიუმი.)

შეფასების ძირითადი კითხვა 12 - როგორი იყო თითოეული კომპონენტის ფლობის ხარისხი მთავრობის მხრიდან.

შეფასების მისიის თვალსაზრისით, ფლობის ხარისხი, ხშირ შემთხვევაში, ძალიან მაღალი იყო. ამ მხრივ, ცენტრალურ დონეზე რამდენიმე დარგობრივი სამინისტროს წარმომადგენელთან შეხვედრისას მკაფიოდ გამოჩნდა, რომ მათ სრულად არ ესმოდათ მრავალდარგობრივი სტრატეგიის არსი. აღნიშნული შეხვედრები გამყარდა სავლეთ ვიზიტების დროს შეგროვებული მოსაზრებებითა და დასკვნებით, როდესაც დაფიქსირდა სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა (IACC) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) ავტორიტეტის (უფლებამოსილების) გაძლიერების აუცილებლობა მათი მაკოორდინირებელი ფუნქციის გაზრდის კუთხით. მათი მანდატის გაძლიერება საშუალებას მისცემდა წარემართათ, რეკომენდაცია გაეწიათ და ზოგჯერ მითითებებიც კი გაეცათ დაინტერესებული მონაწილე სამინისტროებისათვის, რათა უზრუნველყოთ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) სამოქმედო გეგმის ეფექტიანი და ეფექტური განხორციელება.

შეფასების ძირითადი კითხვა 13 - რამდენად გაგრძელდება მომავალში დადებითი ცვლილებები სხვადასხვა სფეროებში.

დიდია ალბათობა, რომ სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროები სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიების შერწყმით დიდ სარგებელს მიიღებენ. პოლიტიკის შემქმნელები წახალისებულები არიან, რამდენად შესაძლებელია არასასოფლო სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვით ამჟამად განსაზღვრული დაგეგმვის და გარემოს დაცვის შემდგომი გაძლიერება სოფლის მეურნეობის დაგეგმვის მდგრადი კავშირებით უზრუნველყოფის გზით. ზუსტად ასეთი შემთხვევაა ტურიზმის კონკრეტული კატეგორია - აგროტურიზმი, რომელიც არის სოფლის მეურნეობის წარმოების, გარემოს დაცვისა და ტურიზმის მდგრადი ბიზნესმოდელი, განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია ტურიზმის შემდგომი ზრდა (მაგ.: ლაგოდეხის ეროვნული ნაკრძალი თავისი ხის კენჭროების ბილიკის პროექტით). აგროტურიზმი გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობას ადრე თუ გვიან კონკურენციას გაუწევს ისეთი რესურსების წვდომაზე როგორცაა, მიწა, წყალი და ენერჯია.

მდგრადი და ჯანსაღი ბალანსი ამ მხრივ მოითხოვს პოტენციური ზღვრების (ტურიზმის სფეროში: ბუნების პარკებში გაყიდული ბილეთების მაქსიმალური რაოდენობა) დადგენას, სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროებისათვის გარემოსდაცვითი სტანდარტების გაცნობის და მათი აღსრულების საკითხების ფრთხილ დაგეგმვას (აბაზანებსა და საშხაპეებში წლის ეკონომიური მოხმარება; ნარჩენების გადამუშავების სავალდებულო კონტროლი და მართვა; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დანაგვიანების საკითხის მოსაგვარებლად შესაბამისი კანონების მიღება; სოფლის მეურნეობის მრეწველთათვის პესტიციდებისა და ქიმიური მასალების გამოყენების რეგულირება (ეს აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება, რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს როგორც გარემოზე, ისე წარმოების ხარისხსა და ფასზე; ამან ასევე მყისიერი უარყოფით გავლენა შეიძლება იქონიოს ფერმაში/პლანტაციაში მომუშავე იმ პირების, მომხმარებლების, აგროტურისტების და მოსახლეობის

ჯანმრთელობაზე, რომელიც მიწებისა თუ ხეხილის ბაღების, წარმოებისა თუ გარდაქმნის ადგილების მიმდებარედ შეიძლება იყვნენ.

შეფასების ძირითადი კითხვა 14 - რამდენად მოხდა სამთავრობო დონეზე ეროვნული შესაძლებლობების, სამოქალაქო საზოგადოების და თემების გაძლიერება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) და სამოქმედო გეგმის განხორციელებით; რა არის ალბათობა იმისა, რომ განვითარებულ ან/და გაძლიერებულ შესაძლებლობებს ექნება გრძელვადიანი ეფექტი.

ამ კონტექსტში, საქართველოს სახელმწიფოსთვის შესაძლებელია ეს იყოს ერთი და, სავარაუდოდ, პირველი პიონერული გამოცდილება, რომელიც მან მიიღო რთული, მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობით ჩატარებული და მრავალდარგობრივი სტრატეგიის განხორციელებიდან. არსებული კვლევა ადგენს საუკეთესო პრაქტიკებისა და მიღებული გამოცდილების ტექნიკურ მაგალითებს და ასევე ითვალისწინებს კოორდინაციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემას. მაგრამ მიზნობრივი ტექნიკური შემთხვევის შესწავლამ (კვლევამ), თუ რამ იმუშავა სტრატეგიის განხორციელების მსვლელობისას და რა შეიძლება დაინერგოს მრავალი დაინტერესებული მხარის (სამინისტროების) ჩართულობით, შესაძლოა ჩამოაყალიბოს ღირებული იდეები, თუ როგორ უნდა მოხდეს ინოვაციური მახასიათებლების მიღება მისი სხვა სტრატეგიული სფეროების: პოლიტიკის, სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის შექმნის და მასთან დაკავშირებული განხორციელების მოდალობების ადგილის მონაცვლეობით. განსაკუთრებით, ერთიანი მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დაგეგმვის საჭიროების გათვალისწინებით 2030 წლის დღის წესრიგის ეპოქაში, სოფლის განვითარების სპეციფიკური ფოკუსის მიღმა აღნიშნულმა შესაძლოა უზრუნველყოს ღირებული ცოდნის თუ გაგების დადგენა.

ადმინისტრაციული, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბენეფიციართა სტრატეგიით დაწერგილი ზოგადი ეროვნული და რეგიონალური/მუნიციპალური, ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარების, ასევე მასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების შეფასების მასშტაბმა შესაძლოა წარმოადგინოს საინტერესო თემა დამოუკიდებელი, მიზნობრივი კვლევისთვის. ბენეფიციართა შესაძლებლობების განვითარებისას ტრენინგის ბევრმა მონაწილემ, რომლებიც ეწვიან სხვადასხვა თემატური, (ქვე)დარგობრივი მიმართულების საქმიანობას მეცხოველეობის, ტურიზმისა და სხვა მიმართულებებით, აღნიშნეს, რომ აფასებენ ხარისხს, მაგრამ სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ უფრო დახვეწილ ტრენინგებში. რაც შეეხება ტექნოლოგიური და ინოვაციური ჰაბების გადამზადებით მომსახურების კონკრეტულ ღირებულებას და შედეგს, ძალიან ადრეა იმის თქმა, თუ რა სახის გრძელვადიანი ეფექტი ექნებათ მათ.

ამ ინიციატივის ფაქტობრივი რეალური ეფექტი მხოლოდ მომდევნო წლებში გამოჩნდება შემდგომი დასაქმების შესაძლებლობითა და ახალი კერძო ბიზნესების და სტარტაპების დაარსების შემდეგ, რომლებიც წარმოადგენენ მასტიმულირებელ მოქმედებებს და აქვთ საშუალოდ გრძელი და გრძელვადიანი განვითარების ასპარეზი. სასურველია, რომ (სწრაფად) უკვე განხორციელდეს ის უამრავი შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს დამატებითი სინერგიების შექმნას ტექნოლოგიურ ჰაბებს, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს (TVET), აკადემიურ წრეებს, კაპიტალთან წვდომას, სასოფლო სამუშაო ინჟინერიისა და კერძო დასაქმების სექტორებს შორის, რომელიც ასევე მოიცავს ფერმების და სხვა სოფლის ბიზნესებისათვის მათი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საინჟინრო საშუალებების საჭიროების გათვალისწინებას განახლებადი ენერჯიებისა და რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით.

შეფასების ძირითადი კითხვა 15 - იქნება თუ არა მდგრადი საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მიერ სტიმულირებული თანამშრომლობა და სინერგია, ერთი მხრივ, განმახორციელებელ პარტნიორებს და, მეორე მხრივ, სააგენტოებს შორის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საკითხების გაერთიანება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ერთიან სტრატეგიაში (ARDSG) ერთიანი ქოლგის ქვეშ მხოლოდ რამდენიმე სამინისტროსა და დარგობრივი სექტორის წარმომადგენელი უწყებების თანამშრომლობა არ მოხდება, როგორც ეს იყო საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 სტრატეგიის განხორციელებისას. დიდია ალბათობა იმისა, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს გაეროს (UN) რამდენიმე საქვეუწყებო ერთეულიც. სულ ცოტა ისეთები, როგორიცაა, დღევანდელი პარტნიორი ორგანიზაციები - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 (RDSG) და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 (ARDSG) წლების სტრატეგიათა მხარდაჭერას. ასევე, არის იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ აღნიშნულ სტრატეგიებს მხარი დაუჭირონ სხვა ისეთმა სააგენტოებმა, ფონდებმა და პროგრამებმა, როგორიცაა, გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD). იმ შემთხვევაში, თუ წინ იქნება წამოწეული გარემოსდაცვითი საკითხები, აღნიშნულ პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამაც (UNEP), რომელიც მხარს დაუჭერს და გააძლიერებს კლიმატური ცვლილებებისადმი მედეგ სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვას. სტრატეგიის (RDSG) განხორციელებისათვის დარჩენილი დრო დაინტერესებულმა მხარეებმა (შესაბამისმა უწყებებმა) შესაძლოა გამოიყენონ როგორც შესაძლებლობა, იმსჯელონ სხვადასხვა პარტნიორებს შორის სინერგიის გაძლიერების შესაძლო გზებსა და საშუალებებზე.

ამ მხრივ, ძალიან სასარგებლო იქნება მუნიციპალურ დონეზე ერთობლივი მსჯელობა (გონების იერიში) (ასევე შესაძლოა საწყის ეტაპზე ერთობლივი დაგეგმვის უზრუნველყოფაც) და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის (შესაბამისი უწყებები) ერთობლივი შეხვედრების გამართვა მიმდინარე სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიისა (ADSG) და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ფარგლებში. სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის შემთხვევაში დაინტერესებული მხარეები (შესაბამისი უწყებები) შესაძლოა წარმოადგენდნენ სანიმუშო უწყებებსა თუ ინდივიდებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის (ARDSG) პოტენციური სცილდება მხოლოდ ამ ორი ნაწილის უმნიშვნელო რაოდენობას და, მეტიც, ის იმსახურებს ყველა დაინტერესებული მხარის (შესაბამი უწყებების) საგულდაგულო განსჯასა და გათვალისწინებას. (როგორც დისკლეიმერი, უნდა აღინიშნოს, რომ შეფასება ამ ასპექტებს ნამდვილად ვერ ჩაუღრმავდება, მეტიც, შესაძლოა მან გაიმეოროს ის, რაც უკვე დაგეგმილი იყო ან/და რა შედეგიც დადგა. ეს პასაჟი შესაძლოა გაგებული იქნეს, როგორც მსგავსი მიდგომის ღირებულებისა და სისწორის გამაძლიერებელი მოსაზრება).

ზემოქმედება

შეფასების ძირითადი კითხვა 16 - არსებობს თუ არა რამე სახის მტკიცებულება რომელიმე გაუთვალისწინებელი გავლენის შესახებ; და განხორციელდა თუ არა პროგნოზირებული გავლენა.

ზემოქმედება არის შეფასების ცალკე მდგომი კრიტერიუმი, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მონიტორინგისა და შეფასების ოფიციალურ სახელმძღვანელოში. რამდენადაც საბოლოო შეფასებისას ზემოქმედებასთან დაკავშირებული არანაირი ნიშნის იდენტიფიცირება არ ხდება, ლოგიკურად, კიდევ უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მსგავსი მტკიცებულება აღმოჩენილი იქნება შუალედური შეფასებისას - განხორციელების ციკლის ბევრად ადრეულ ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, ამ შუალედურმა შეფასებამ მოახერხა დაედგინა, თუ რა შეიძლებოდა განსაზღვრულიყო შესაძლო ადრეული ზეგავლენის პოტენციურ ნიშნებად. საგულისხმოა, რომ ეს ნიშნები არსებითად დაკავშირებულია მდგრადობის კრიტერიუმის დასკვნებთან (კერძოდ: ერთეული I, და გარკვეულ დონეზე viii,), ამიტომ უსარგებლო გამოკვლევების თავიდან ასაცილებლად, შეფასების ამ ორ კრიტერიუმთან დაკავშირებული მტკიცებულებები წარმოდგენილია ერთად. შესაბამისად, ზემოქმედებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული შინაარსი ამ ნაწილში ჩამოშლილია.

ტურიზმი როგორც კატალიზატორული მიმართულება: ღვინის გზამ და ოზურგეთის ჩაის გზამ ნათლად აჩვენა ადრეული ზეგავლენის ნიშნები, რადგან ეს არის ეფექტური ტურისტული მიზიდულობის ცენტრები და პირდაპირ თუ ირიბად ქმნის უდიდეს დასაქმების პლატფორმასა და შემოსავლის წყაროს. უფრო მეტიც, ტურიზმის სექტორში საოჯახო საქმიანობის მოდელი არის გამოსატული მდგრადი მიდგომა, მაგალითისათვის, საწარმოს ტიპის ოჯახის მიერ მართული საოჯახო სასტუმროები (არსებული სახლები გარდაქმნილი საოჯახო სასტუმროებად: კივი და გიგოლა/კახეთი, ამბროლაური/რაჭა და სხვ.). მდგრადობის ძლიერი მაგალითი აჩვენა ასევე სხვა საოჯახო ტიპის საქმიანობამ, როგორცაა ოჯახის ბაზაზე არსებული მეცხოველეობის მეურნეობა, რომელიც მიჩნეულია როგორც საუკეთესო პრაქტიკა და საოჯახო საქმიანობის წარმატების პოტენციური მოდელი.

ღვინის გზისა და ჩაის გზის ფარული პოტენციალი არსებობს ასევე გურიაში, შავი ზღვის სანაპიროს შუა და ჩრდილოეთ ნაწილებში და სხვ. ამჟამად ტურიზმის სექტორის ხარისხი (ფასის შესაბამისი) საკმაოდ კონკურენტუნარიანია, მაგრამ სამიდან ხუთვარსკვლავიანი კატეგორიის, ანუ, მაღალი საშუალო და მაღალი კლასის კატეგორიის ტურისტების მოსაზიდად ფასის შესაბამისობა შეთავაზებასთან საეჭვოა. კონკურენტუნარიანობის გაგებაში შედარებით „benchmarking“ კვლევას შეუძლია დახმარება. ეს მიდგომა პოტენციურად საექსპორტოდ გამზადებული პროდუქციის შემთხვევაზე რომ გავავრცელოთ, რომელთა მყიდველებსაც ინვესტორები თუ მწარმოებლები საზღვარგარეთ ეძებენ, ეკონომიის გაწევა განპირობებული წარმოების მასშტაბების გაზრდით შეიძლება არ იყოს ყოველთვის ერთადერთი არჩევანი. და კიდევ, ყველა პროდუქტის ხარისხი უნდა იყოს რაოდენობაზე უპირატესი, განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზრისთვის, რომელიც ძალიან კონკურენტულია და სადაც არსებობს დიდი ხნის მომხმარებლის ტენდენცია, - ბაზარი, რომელიც ამკარად წინ სწევს მაღალფასიან ხარისხიან საკვებს (ბიობრენდებს და სხვ.) დაბალფასიანი, იაფი პროდუქციის ხარჯზე.

iii. არსებობს მოწინავე, უფრო მეტიც, მსოფლიო კლასის შენობა-ნაგებობები და ბიზნეს სტანდარტები, როგორცაა, მაგალითისათვის, ევროკავშირის სტანდარტის ქარხანა „ჯეო ნატსი“ (თხილი) ზუგდიდში, რომლსაც რამდენიმე საწარმო აქვს და რომელიც უკვე სთავაზობს ადგილობრივებს კონკურენტულ ხელფასებს (კიდევ უფრო გაუმჯობესებული გადახდის პოტენციური პერსპექტივით).

iv. მაგრამ არსებობს პრობლემა - კვალიფიციური მუშახელი ტოვებს ქვეყანას უკეთესი ანაზღაურების მქონე საძებნელად.

v. არსებობს რამდენიმე წარმატებული სანიმუშო პროექტი და პროდუქტი, მაგალითად, შუშმანის ჯილდოს მფლობელი ღვინოები, და ინტეგრირებული ბიოტურიზმი/მამული ვენახში მოდელი; საკალმახე მეურნეობები გურიაში.

vi. არსებობს კიდევ ერთი დამატებითი პრობლემა მცირე ბენეფიციარი მეურნეობების თუ საწარმოების მედეგობის თვალსაზრისით, მათ შორის მათი, ვინც კოოპერატივების მეშვეობით თანამშრომლობენ. კონკურენტუნარიანობის გაგებით, ის ინვესტორები ან მეწარმეები, რომელთაც არ აქვთ რამე სახის პარალელური (ფერმერული თუ არაფერმერული) სათადარიგო ვარიანტი ან/და დანაზოგები მეტად მოწყვლადი არიან მოსალოდნელი დარტყმების წინაშე, ამასთან იმყოფებიან ფინანსური წნეხის ქვეშ, ვალდებული არიან გადაიხადონ სესხი, რისთვისაც არ ეძლევათ საშეღავათო პერიოდი. (მაგალითად: ვარდების ქარხანა, კენკრის მეურნეობები და სხვ.)

vii. არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის მხრივ, აგროინჟინერიის სექტორს აქვს დივერსიფიკაციისა და ზრდის დიდი პოტენციალი (მაგ.: ზუგდიდში არსებული „ჯეომარკი“, ყოფილი მინის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც აწარმოებს ხელმისაწვდომ, კონკურენტული ფასების მქონე დანადგარებს და მექანიკურ აღჭურვილობებს, როგორცაა, კონვეიერის ლენტის თხილის დასახარისხებლად და სხვ.)

აგროინჟინერიის ქვესექტორი მიჩნეულია როგორც სტრატეგიულ, მაღალი ზემოქმედების მქონე კანდიდატად, რომელიც შემდგომი პოპულარიზაციით და სწორი გეზის ადებით დიდ სარგებელს მიიღებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA)/საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) კოორდინირებული მხარდაჭერა შეიძლება გაერთიანდეს შესაბამისად დაბალი დანახარჯებით, მას შემდეგ, რაც ის მოიცავს საერთაშორისო ბაზრებზე გატანის საკითხებს, მათ შორის უცხოური პირდაპირი ინვესტიცია ადგილობრივ ფირმებთან პარტნიორობით და საკითხთან დაკავშირებული ცოდნის გაზიარებით. ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მეშვეობით შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მოთხოვნისა და მიწოდების მხარეების ერთმანეთთან დაკავშირებაში, მაგალითად: ფერმერები და ბიზნესკოპერატორები სასოფლო-სამეურნეო მიწოდების ჯაჭვთან ერთად, ყოველი მათგანი მოითხოვს ფასის შესაბამისი ღირებულების პრაქტიკულ ტექნოლოგიას, რათა გააღრმავონ სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია და, შესაბამისად, მომგებიანობა.

ix. თუმცა, საქართველო ჯერ არ არის საყოველთაოდ ცნობილი ბრენდი, რომელიც მოითხოვს მაღალი დონის მოქმედებას სტრატეგიული ბრენდინგის თვალსაზრისით.

x. ლაგოდენის დაცულ ტერიტორიასთან მისასვლელი გზა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მაღალი ზემოქმედების საუკეთესო პრაქტიკის მოდელი და მაგალითი, რადგან გამოიმუშავებს უდიდეს შემოსავალს ტურისტების მყარად მზარდი რაოდენობის მიზიდვით. მისასვლელი და დამხმარე გზების ხარისხის გაუმჯობესებაში ინვესტირება მეტ ყურადღებას მოითხოვს, რადგან იყო შემთხვევები, როცა უკეთესი საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში ბიზნესს შეეძლო მეტი შემოსავალი მიეღო.

მისიას არ აღმოუჩენია ცვლილებისათვის რამე ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელიც გამოიწვია გაუთვალისწინებელმა ზემოქმედებამ ან საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) დანერგვამ, ან მისი სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელებამ.

შეფასების ძირითადი კითხვა 17 - რა გავლენა აქვს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შედეგებს სამიზნე მოსახლეობის ცხოვრებაზე, განსაკუთრებით, ყველაზე დაუცველებზე.

როგორც ზემოთ ხსენებულ შესაბამისობისა და ეფექტურობის კრიტერიუმის განხილვისას აღინიშნა, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) დახმარებით ისარგებლა უამრავმა ადამიანმა (ყველა კატეგორიის პირდაპირი ბენეფიციარი, ინფრასტრუქტურის პროექტების პირდაპირი და არაპირდაპირი რამდენიმე ათასი ბენეფიციარის ჩათვლით). განსაკუთრებით მოწვევადი ინდივიდების კატეგორიაში დიდია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებისა ან/და გასახლებულთა რაოდენობა. თუმცა დამატებით (ქვე)კატეგორიას წარმოადგენს სამხედრო ინტერვენციისა და ტერიტორიების ოკუპაციის მსხვერპლი ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლად სახლობენ (ე.წ. ქართული საზღვრის მხარეს, რადგანაც ამჟამად საზღვარს მიღმა დარჩენილ მოსახლეობასთან დაკავშირება შეუძლებელია). რატომღაც 2017-2020 წლების სტრატეგიაში ამ კატეგორიაზე ყურადღება არ გამახვილებულა. ეკონომიკური ურთიერთობებისა და კავშირების დამძიმება და გაუარესება მახლობლად მცხოვრები ადამიანების უდიდესი ნაწილის ცხოვრების დონეზე მოქმედებს.

ეკონომიკური გაგებით, ყველა ეს ადამიანი ოკუპაციის მსხვერპლია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სამსახურები, ისეთი ეკონომიკური ინტერესები, როგორიცაა: ოფისები, საძოვრები, ქარხნები, სახელოსნოები, პირუტყვი და სხვა, რომლებიც ამ ოჯახებს ეკუთვნოდათ, ახლად დადგენილი საზღვრის გამო დაიკარგა. მათაც, ვინც თავიანთი კარმიდამოს დატოვებას არც კი აპირებდა, რადგან ოკუპირებული ტერიტორიების გარეთ ცხოვრობდა, საარსებო საშუალებები შეუმცირდა და საჭირო გახდა სამუშაოს სხვა ადგილზე ხელახლა შექმნა და გაჩენა, რისთვისაც ყველა არა, მაგრამ დაზარალებულთა ნაწილი უნდა გადასახლებულიყო იმ სოფლის ტერიტორიიდან, რომელიც ახლოს არის ე.წ. საზღვართან. მიუხედავად იმისა, რომ მისიას არ უმოგზაურია რომელიმე სასაზღვრო ზოლთან ახლოს არსებული ადგილების მიმართულებით, მან შეძლო შეეგროვებინა მყარი მტკიცებულებები, რომლებიც ხაზს უსვამს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სასაზღვრო ტერიტორიებთან არსებული სიტუაციის უარყოფით ზეგავლენას.

იმ ქვეყნების გამოცდილებიდან მიღებული მტკიცებულებები, რომლებიც იზიარებენ (ან უკვე გაიზიარეს) მსგავს ბელს (მაგ.:გერმანული „Zonenrandgebiet“-ს შემთხვევა, ანუ, ოკუპირებული ზონის გარე საზღვრის მიმდებარე პერიფერიული ტერიტორიები) ცხადყოფს სპეციფიკური ეკონომიკური მხარდაჭერის პაკეტის საჭიროებას და მნიშვნელობას მსგავსი დაზარალებული ტერიტორიებისთვის. 2017-2020 წლების სტრატეგიით შესაძლებელია გაჩნდეს პოზიტიური/აფირმატიული მოქმედების პაკეტი ახალი, სპეციალური პროგრამის შექმნით ან/და არსებული პროგრამის აქტივობებში მოექცეს მიმდინარე პროგრამული პორტფოლიოს შესაბამისად. ნებისმიერი პოტენციური ეკონომიკური სანქციის დაწესება ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკური კავშირებისადმი დიდი სიფრთხილით უნდა განიხილებოდეს და, სავარაუდოდ, საჭიროა მსგავსი მიმართულებით რამე ღონისძიების გატარებისგან თავშეკავება, რათა მან არ დააზარალოს არსებული არაფორმალური სასაზღვრო ვაჭრობა და არ შეზღუდოს ოკუპირებულ ზონებში დარჩენილი მოსახლეობის საარსებო საშუალებები.

შეფასების ძირითადი კითხვა 18 - რა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლება გახდეს საჭირო საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებისას ეროვნული სტრატეგიული პრიორიტეტების მისაღწევად, ასევე საქართველოს სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებების და კონვენციების შესასრულებლად.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის შექმნით და განხორციელებით შესრულდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ ევროკავშირთან დადებული შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებები ასოცირების ხელშეკრულების ჩათვლით. ამ მხრივ განვლილმა გზამ საქართველო მნიშვნელოვანი ნაბიჯით წასწია წინ და დაახლოვა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სრულყოფილი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერასთან.

3.5 განხორციელება

შეფასების ძირითადი კითხვა 19 - როგორ მოხდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შედარებითი უპირატესობის გამოყენება შედეგების მისაღწევად; და რამდენად ადეკვატურად მოქმედებდნენ მართვისა და საკოორდინაციო ორგანოები.

როგორც შეფასების ანალიტიკურ ნაწილშია მითითებული, სხვადასხვა დაინტერესებული მხარე აქტივობების განხორციელებისას ეფექტიანობისა და ეფექტურობის დონეებზე იყენებს შედარებით უპირატესობებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის შემუშავების საწყის ეტაპზევე თანამშრომლობითი მიდგომით სინერგიის წარმოქმნა შესაძლებელი იქნებოდა ძალიან ცოტა შემთხვევაში. იდეალურ შემთხვევაში, დარგობრივი სამინისტროების ინტერვენციები განხორციელდებოდა მოთხოვნა-საჭიროებების შეფასებითა და შესაბამისი ერთობლივი დაგეგმარებით, ხოლო სამინისტროს ინტერვენციები და სამუშაო გეგმები შემუშავებული იქნებოდა ერთობლივი ჩარჩოსა და წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით, რეალობაში კი აღნიშნული იდეალური სქემა განხორციელდა პირიქით.

განხორციელებასთან დაკავშირებული სტრუქტურების კუთხით, ძირითად პრობლემად რჩება ძლიერი საკოორდინაციო მექანიზმის არარსებობა, რომელიც უნდა მოგვარდეს. მაშინ, როცა ცენტრალურ დონეზე არსებობს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC) და ადგილობრივ დონეზე, მუნიციპალიტეტებში ასევე არსებობს მსგავსი მექანიზმი, საბჭოსა (IACC) და სამინისტროს (MEPA) ფუნქციები საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) განხორციელების დროს არა ავტორიტეტული ხელმძღვანელის, არამედ უფრო მაკოორდინირებლის ხასიათს ატარებს.

ამჟამინდელი „თანასწორთა შორის პირველი“ მოწყობის მიხედვით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ არის განსაზღვრული როგორც კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება და ფაქტობრივად, როდესაც საქმე ეხება სტრატეგიის სამოქმედო გეგმის (AP) შესრულებას, მისი ინსტრუმენტები ამ კუთხით საკმაოდ შეზღუდულია. რეალურად, სამინისტრო (MEPA) მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ საბჭოს (IACC) ხდის უბრალოდ თანაბარს თანასწორთა შორის და აკისრებს დამატებით რუტინულ ფუნქციას, როგორცაა, მონიტორინგის ანგარიშების შეგროვება. ეს მაშინ, როცა თითოეულ პრიორიტეტულ სფეროსა და არაერთ ამოცანაზე მოდის ერთზე მეტი კონტრიბუტორი დაინტერესებული უწყება, ყველა კონკრეტული რეალური ინტერვენცია შემუშავებულია ცალკეული დაინტერესებული მხარის ლოგიკის შესაბამისად.

შეფასების ძირითადი კითხვა 20 - რამდენად შეიტანა წვლილი საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიამ (RDSG)/სამოქმედო გეგმამ მთავრობის და მისი სხვადასხვა უწყების ტრანზაქციის ხარჯების შემცირებაში, რომლებიც ჩართულები არიან საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შესრულებაში; მიაღწია თუ არა მოსალოდნელ შედეგს განხორციელებისთვის შერჩეულმა მოდელებმა, განსაკუთრებით: ოპტიმალურად ფუნქციონირებდა თუ არა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის მართვისა და კოორდინაციის მექანიზმები.

დაგეგმარების ეტაპზე დაფიქსირდა მნიშვნელოვნად დაბალი ტრანზაქციის ფასები, იმიტომ, რომ დამტკიცდა უკვე დაგეგმილი დარგობრივი ინტერვენციები, რომლებიც საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში (RDSG) გადმოტანილ იქნა კონკრეტული დარგობრივი გეგმებიდან. შესაბამისად, ალტერნატიული ვარიანტების ფინანსური შეფასება შეიძლება ყოფილიყო დაბალი და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია შემუშავებული ყოფილიყო უფრო სწრაფად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ძალებისა და რესურსების გადანაწილების კომპრომისული ვარიანტი პოტენციური დანაკარგი იყო სინერგიაში, რომლის განხორციელებაც მოხდებოდა მრავალსექტორული ცვლილების თეორიის შემუშავების პროცესში სიდრმისული დაგეგმარების პროცესის არსებობის შემთხვევაში, რომელიც წინ უსწრებდა სტრატეგიის შედეგების შემუშავებას ფართო პერსპექტივიდან და რომელიც აღემატება კონკრეტულ სამინისტროსა თუ სააგენტოში არსებულ ან უკვე დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობასა თუ ინტერვენციას. დაგეგმარების აღნიშნული მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, ინტერვენციების შემუშავება ავტომატურად იქნებოდა მეტად ინტეგრირებული. სავარაუდოდ, განხორციელებაც უფრო მეტ სარგებელს მიიღებდა დარგობრივ ექსპერტებს შორის ერთობლივი პროექტებისა და ინტერვენციებისას უფრო ძლიერი თანამშრომლობის შემთხვევაში. ინტეგრაციის შედეგებისდაგვარად მიღწევის კუთხით, სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭომ (IACC) ყველაფერი გააკეთა, რაც მის ძალებში იყო თავისი შეზღუდული მანდატის გათვალისწინებით.

შესაბამისად, სავლელ ვიზიტებიდან მიღებული ხარისხობრივი მტკიცებულება მიუთითებს, რომ დაინტერესებული სამინისტროების შეხვედრები გამოწვეული იყო, ძირითადად, ინფორმაციის გაცვლაზე, რაც გულისხმობდა სხვებისთვის ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული სფეროებისა და სამოქმედო გეგმის აქტივობებიდან გამომდინარე, ერთობლივი პროგრამირების ლოგიკის მიხედვით, ინტეგრირებული ერთობლივი დაგეგმვის გარდა ბევრი არაფერია, რითაც უწყებები შეძლებდნენ სინერგიული ეფექტების წარმოშობას. აღნიშნული სინერგიის ხელშეწყობის ერთი ყველაზე ძირითადი ტექნიკაა ერთობლივი გეოგრაფიული მიზნობრიობა, ბენეფიციართა განსხვავებული ჯგუფების შემთხვევაში, რათა შესაბამის აქტივობებს შორის წარმოიქმნას ადგილის შესაბამისი სინერგია.

შესაბამის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს 4W-ს (ვინ-რა-სად-როდის) სქემა, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა აქტივობების ბენეფიციარებსა და ადგილმდებარეობას, რომელიც იგეგმება ან უკვე ხორციელდება წარსულში შესრულებულ აქტივობებთან ერთად (თუკი მიჰყვება თანამიმდევრულ ლოგიკას). მონიტორინგისა და შეფასების მიღმა აღნიშნული 4W ინსტრუმენტის დანერგვა ძლიერ მანდატს მიანიჭებს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მდივანს (რომელსაც კოორდინირებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო), რომელიც ხელს შეუწყობს კოორდინაციას.

ამასთან, არსებობს ასევე კოორდინაციასთან დაკავშირებული კონკრეტული ღირებულების მრავალმხრივი ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს ცვლილების თეორიას (საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა (RDSG) და პრიორიტეტული სფეროების დონეების ვერსიის ზოგადი პროექტი იხ. დანართი 5.11). ინტერვენციის სტრატეგიის მისაღებად პრიორიტეტული სფეროების ცვლილების თეორიების (ToC) ან, საჭიროების შემთხვევაში, პრიორიტეტული სფეროს ამოცანების ფარგლებში, ინტერვენციების დიზაინის გადასინჯვა გულისხმობს ცვლილების თეორიების (ToC) შესაძლო გამოყენებას. ამ ეტაპზე განხორციელების ციკლში, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული სფეროს აგებულების სტრუქტურული ლოგიკის გადასინჯვა არარეალურია, თუმცა, პრიორიტეტული მიმართულების ამოცანის დონეზე, შესაძლოა არსებობდეს რამდენიმე ინოვაციური რეკონფიგურაციის ტესტირების საშუალება განსაზღვრულ საპილოტე მუნიციპალიტეტებში იმ შემთხვევაში, თუკი განვითარდება აღნიშნული იდეა.

ამკარაა, რომ პირველ რიგში ასეთი მიდგომა უნდა დამტკიცდეს ცენტრალური დონის სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მდივანსა და დაინტერესებული მხარეების მიერ. ამის შემდგომ უნდა მოხდეს იმ მუნიციპალიტეტების ინფორმირება, რომლებიც, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) აქტივობების განხორციელების მართვის კუთხით, აკმაყოფილებენ აღნიშნულ პარამეტრებს, მათ შორის შესაბამისი თანხების ხარჯვის გათვალისწინებით. ასევე, მუნიციპალურ დონეზე დაგეგმვის უფლების დელეგირების კუთხით მნიშვნელოვან ელემენტად შეიძლება განვიხილოთ პრიორიტეტულ სფეროთა შორის, შესაძლო ინოვაციური დაგეგმვის მახასიათებლების განსახილველად გონებრივი იერიშის სესიების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებული იქნება მრავალი სააგენტოს ერთობლივ საველე ვიზიტთან.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ბოლო ეტაპზე არსებული სტრუქტურის მთლიანად ამოყირავების ნაცვლად, უფრო გონივრულია აღნიშნული მოდელების ერთ ან ორ მუნიციპალიტეტში ტესტირება. სავარაუდოდ, საუკეთესო კანდიდატებად ჩაითვლება ის მუნიციპალიტეტები, სადაც ფუნქციონირებს მოქმედი ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG), რადგან მათი დანიშნულება სწორედ დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის ბენეფიციარებისთვის საჭირო სადისკუსიო პლატფორმად გამოყენება. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG) შესაძლოა გამოყენებული იქნეს როგორც ამჟამად არსებულ ბენეფიციართა არაფორმალური ქსელის შეკრების ადგილი იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქსელის წევრები, მათ შორის დამფუძნებლები დაინტერესებული იქნებიან ასეთი ქსელის შექმნით (მათ შორის დაინტერესებული სამინისტროს/სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლების შესაძლო ჩართვა საველე დონეზე, ექსპერტების, პროგრამის მართვისა და კოორდინაციის თანამშრომლებისა და ტექნიკური ექსპერტების დონეზე).

და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, აღნიშნული იქნება მეტად მნიშვნელოვანი მომავალი, უფრო კომპლექსური და ინტეგრირებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიისთვის (ARDSG), რადგან ეს იქნება ერთგვარი ფორა უფრო ობიექტური, მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობით კრიტიკული დისკუსიებისა და ობიექტური უკუკავშირის უზრუნველსაყოფად შეთავაზებებსა და მოთხოვნას შორის არსებული პოტენციური ხარვეზების, მომსახურების ხარისხისა და ვადების შესახებ მოსაზრებების განსახილველად. ამას გარდა, შინაარსთან დაკავშირებული პროცესის კუთხით, უნდა ჩატარდეს მრავალი დაკვირვება, რაც

გულისხმობს შემდგომ შესწორებებს, დახვეწას და მხარდაჭერას, რათა გამოსწორდეს პროგრამის განხორციელების კუთხით არსებული გამოვლენილი სისუსტეები, კერძოდ:

ა) მიუხედავად იმისა, რომ დამწყები ბიზნესებისათვის დაფინანსების სქემების (როგორცაა, შეღავათიანი აგროკრედიტი, „აწარმოე საქართველოში“, „ქართული საწარმო“) ეფექტურობა და სარგებელი დადასტურებულია, აგრომწარმოებლების უმეტესობა, მათ შორის ფერმერები და გადამამუშავებელი ბიზნესის მფლობელები ამტკიცებენ, რომ ბაზრის მკაცრი პირობების გამო, რომელიც გავლენას ახდენს მათ შემოსავალსა და მოგებაზე, მათ კრედიტის დასაფარად სჭირდებათ 5 ან მეტი წელი. დასახელდა ფაქტორები და რისკები, ძირითადად, ბიოსაფრთხეებს (ფაროსანა, სეტყვა, მტაცებლები და სხვ.) უკავშირდება. განსაკუთრებით მეორე რისკის შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს შესაბამისი ბუფერის ან მოსავლის შენახვის საშუალებების შეთავაზება, რაც დაკავშირებულია შუამავალი ფირმების მოთხოვნებთან, რომელთა სპეციალიზაციაც პირველადი ნედლეული პროდუქტის გარდაქმნაა. ამასთან, შენახვისა და გადამამუშავების გადაწყვეტები, გარკვეულწილად, საკმარისია მარცვლეულის (ხორბლის სილოსში მოთავსება და სხვ.), კაკლის (საშრობი, დახარისხებისა და გადამამუშავების ცენტრები), თაფლისა და ყურძნის/ღვინის შემთხვევებში (და სხვ.), ხოლო, რაც შეეხება კენკროვან მალფუჭებად პროდუქტს, იგი საჭიროებს შემდგომ ინვესტიციას ყინულის/ყინვის ტექნოლოგიების კუთხით (ცივი ჯაჭვი), რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი და შეუცვლელია ამ ტიპის მაღალი ღირებულების მქონე საექსპორტო საქონლის შემთხვევაში.

ბ) მსგავსი გამოწვევები გულისხმობს საგირავნო აქტივების ბარიერს როგორც კაპიტალზე წვდომის მოთხოვნას, კონკრეტული რისკებისადმი დაზღვევის არარსებობას, არსებული მოთხოვნის მიუხედავად საშეღავათო პერიოდის არარსებობას სესხებისა და პროცენტების დაფარვისას და სხვ. აქტივების ოფიციალურად დარეგისტრირება (მიწაზე საკუთრების უფლების დადასტურება; ნაწირის ზომა) არის კრედიტის მიღებისას შემზღვეველი ფაქტორი. საერთო ჯამში, ფართო საზოგადოებისა და კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის მიზნით, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გზით, მათ შორის მედიის მეშვეობით ინფორმაცია საკმაოდ კარგად ვრცელდება. ასევე, მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ფერმერები და სხვა მონაწილე პირები (აქტორები) ინფორმაციას ოფიციალური და არაოფიციალური წყაროების მეშვეობით აქტიურად და სისტემატურად იძიებენ.

გ) განხორციელების დასაწყისში მონაწილე ბენეფიციარების მხრიდან საბაზისო შესავალი კურსები დადებითად შეფასდა და სასარგებლოდ იქნა მიჩნეული, ძალიან გაიზარდა მოთხოვნის კუთხით მოლოდინები პირველი ნაკადის მონაწილეთა მხრიდან. მიუხედავად ამისა ახალი ბენეფიციარები კვლავაც წარმატებით სარგებლობენ საბაზისო წამოწყებითა და საორიენტაციო მასალებით, ხოლო პირველი ნაკადის ბენეფიციარები, რომლებიც საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) განხორციელების პირველ წლებში წარმატებით გაიარეს სტარტაპის პერიოდი ან მოდერნიზაციის ეტაპი, უკვე თავად მართავენ ბიზნესებს.

დ) ტექნიკური მომზადების მოთხოვნა კვლავაც დიდია, თუმცა ზოგიერთი ბენეფიციარისთვის შეთავაზებული კურსები გარკვეულწილად ჩამორჩება მათ პრაქტიკულ საჭიროებებს. ძირითადი საორიენტაციო კლასები კვლავ შედეგიანი და ღირებულია პროგრამის ახალი ბენეფიციარი ჯგუფებისთვის, მაგრამ ისინი, ვინც რამდენიმე წლის წინ განხორციელეს ინვესტიცია ბიზნესში, ახლა ითხოვენ უფრო მოწინავე ან მეტიც, უფრო სიღრმისეული ცოდნისა და უნარების შეძენას თავიანთი საქმიანობის შემდგომი გაფართოებისა და უკეთ განვითარებისთვის. შესაბამისად, არსებული მდგომარეობა მოითხოვს უფრო სრულყოფილ, დახვეწილ სასწავლო პროგრამას ისეთ ტექნოლოგიურ სფეროებში, როგორცაა: აგროტექნოლოგია, ღირებულებათა ჯაჭვის დიფერენციაცია, მარკეტინგი

(მათ შორის, თუ როგორ ავითვისოთ ევროკავშირის ბაზარი ან, უკვე ათვისების შემთხვევაში, როგორ გავაფართოვოთ იგი), არსებული ფინანსური ინსტრუმენტების მოცულობა, მათ შორის კერძო სექტორში, ბიზნესის შერწყმა და შესყიდვა, ასევე პირველადი საჯარო შეთავაზებები (IPO) ინდუსტრიული მოცულობის კომპანიებისთვის. აღნიშნული ტრენინგკურსების პროგრამა, როგორც აღმოჩნდა, უკვე არსებობს, რადგან კომპლექსური ტრენინგკურსები (ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო ტრენინგკურსი და „განავითარე შენი ბიზნესი“ მასტერკლასები) 2018 წელს უკვე ჩატარდა სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ თბილისში, ხოლო ერთი სასერტიფიკატო კურსი - ბათუმში.

ე) სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ისეთი მიმართულებების, როგორცაა, კაკალი, კენკრა, ხილი და სხვა, ყველაზე მოხერხებული და დინამიკური ინვესტორები უკვე ცდილობენ მოიპოვონ მოწინავე ინფორმაცია გლობალური მასშტაბით ქსელური კავშირების საშუალებით (მაგ.: კივის მწარმოებლები, რომლებსაც ჩამოჰყავთ ექსპერტები ახალი ზელანდიიდან და იაპონიიდან; კაკლის მწარმოებლები, რომლებიც ეძებენ უმაღლესი დონის ექსპერტებს ჩილეში, კალიფორნიასა და ესპანეთში; საკალმახეების მქონე ფერმერები, რომლებიც მოგზაურობენ თურქეთში ტრენინგისთვის და სხვ.). მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობა მიესალმება მთავრობის მხრიდან სტრუქტურირებულ მხარდაჭერას, ზოგიერთი კი, სექტორის განვითარების მიზნით, სურვილს გამოთქვამს გახდეს მოხალისე ტრენერი. საჭირო აკადემიური ცოდნის ბაზის (ფენოლოგია, ისტიოლოგია, თხილის მოყვანის მეცნიერება, კივის მოყვანის მეცნიერება და სხვ.) (ხელახალი) განვითარება არის ინტერვენციის ის სფერო, რომელიც შედარებით უყურადღებოდ არის დარჩენილი და უფრო მეტ ინვესტირებას იმსახურებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რა გავლენა ექნება მას. ცოდნის გაზიარების, ინოვაციებისა და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) დაფუძნებული შესაძლებლობების სფეროში არსებული ტექნიკური ჰაბის (TechHub) ქსელის პროგრამა განსაკუთრებით პერსპექტიულია.

ვ) თუმცა, როგორც ჩანს, არსებული პოტენციური სრულად არ არის გამოყენებული და დაფასებული სექტორის მონაწილეთა და დამგეგმავი პირების მხრიდან. ფარული სინერგიები საჭიროებს არსობრივ გაანალიზებასა და მობილიზაციას ყველა იმ შესაბამისი აქტორის უფრო სისტემური დაკავშირებით, რომლებიც მუშაობენ დასაქმების, სამუშაო ადგილების შექმნის, ინოვაციებისა და სტარტაპების, პროფესიული მომზადებისა და ტექნოლოგიური კვლევების, ასევე კერძო სექტორის ადგილობრივი საინჟინრო ბაზის საკითხებზე. კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურის განახლებაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა გარკვეული შთამბეჭდავი შედეგები უკვე გამოიღო. ზოგიერთმა კერძო ინვესტორმა, როგორცაა, ფერმერები და საოჯახო სასტუმროების მეპატრონეები, მცირე მფლობელებისთვის წყალსა და ენერჯიაზე წვდომის გასაუმჯობესებლად დაიწყეს ინვესტირება ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში. მათი მხრიდან ეს ემსახურება როგორც მცირე მფლობელთათვის სოლიდარობის გამოხატვას, ისე ბიზნესში ინვესტირებას.

ზ) კერძო ინვესტორები ახორციელებენ საცდელ ტესტირებას მზის ენერჯის ტექნოლოგიებში, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან განახლებად ენერჯიაში ინვესტირების მხარდამჭერი სქემა არ არსებობს. ამის მსგავსად, მესამე პრიორიტეტული სფეროს (გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა) განხორციელების კუთხით გარკვეული ჩამორჩენაა და საჭიროებს ხელახალ გაძლიერებას. მესამე პრიორიტეტული სფეროთი გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება ინოვაციური კლასტერის ინტერვენციებთან ერთად შექმნის შესაბამისი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას (მაგ., ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის გადაწყვეტილების გამოყენება ფერმენტაციის, პიროლიზის, ჰუმუსის/ტერა პრეტას წარმოების კომპოსტირების გზით). კონკრეტული შესაძლებლობები უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ საინჟინრო და შესაბამის აკადემიურ სექტორს,

მათ შორის უნივერსიტეტებსა და პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს (TVET), იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ინოვაციებს, სამუშაო ადგილების შექმნას და კეთილდღეობას. როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ უკვე აქვს პირველადი გამოცდილება აკადემიურ სექტორთან დაკავშირებით, თუმცა შეზღუდული მასშტაბით (და შესაძლოა მოცულობითაც). თუმცა აუცილებელია გაკეთდეს პირველადი გამოცდილების ანალიზი, რათა შესწავლილი იქნეს მისი როგორც გადამწვეტი ნაბიჯის გამოყენების შესაძლებლობა პრაქტიკული და/ან მიღებული გამოცდილების კუთხით (პერსპექტიული მიდგომები, შეცდომები, მარცხები, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ).

შეჯამებისთვის, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებია (ზოგჯერ ემთხვევა ზემოქმედების კრიტერიუმს):

ა) კივის ექსპორტი იაპონიაში: ქართველმა აგროოპერატორებმა დაამტკიცეს, რომ მათ უკვე შეუძლიათ არა მარტო მსოფლიო კლასის აგროპროდუქტის წარმოება, არამედ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის გაწევა (უფრო მაღალი შეფასება აქვს, ვიდრე ახალ ზელანდიურ და იაპონურ კივის, საიდანაც არის ამ ხილის წარმომავლობა);

ბ) არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, დახვეწა, მუდმივი განახლება/მოდერნიზაცია და გაფართოება (მათ შორის კალმახის ფერმის პრაქტიკული მაგალითი გურიაში, კლასიკური ჩაის პლანტაციების დივერსიფიკაცია, შუხმანის ვენახებისა და მეღვინეობის სწრაფი ზრდა და ბრენდად გარდაქმნა, ასევე მისი ჰორიზონტალური დივერსიფიკაცია უძრავი ქონების და სასტუმრო/გამაჯანსაღებელ სფეროდ);

გ) მუნიციპალური დონის ტურიზმის ცენტრი ამბროლაურში, რომელიც თავისი დიზაინით (თბილისის ოფისზე სამჯერ დიდი), ინფორმაციის სიუხვითა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე თანამშრომლების რაოდენობით შეფასდა როგორც საუკეთესო პრაქტიკის მოდელი, რომელიც ამჟამად ნამდვილად მკაფიოდ განსაზღვრავს ტემპს მსგავსი ტიპის დაწესებულებებისთვის.

შეფასების ძირითადი კითხვა 21 - რამდენად მოხდა ინტერვენციებში მრავალმხრივი თანასწორობის საკითხის გათვალისწინება; რომელი გენდერული უთანასწორობებია შენარჩუნებული; მიღებულია თუ არა გენდერული ბიუჯეტირება; ხდება თუ არა გენდერის და ადამიანთა უფლებების საკითხების გათვალისწინება პროგრამისა და პროექტის განხორციელებისას.

მიუხედავად იმისა, რომ მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები განსაკუთრებით კარგადაა დაცული პირველ და მეორე პრიორიტეტულ სფეროში, გარკვეული ინტერვენციებისას, რომელიც გამიზნულია ეთნიკური უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების, ასევე ადამიანის უფლებების ასპექტებზე, გენდერის მიმართულება მაინც არის საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ერთგვარი სისუსტე. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის მხრივ გენდერული დანაწილება გარკვეულწილად უკვე არსებობს, მისი გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი გახდება გენდერული ანგარიშვალდებულების სავალდებულო სტანდარტი. ასევე მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სასარგებლო იქნება გენდერის ექსპერტის ჩართულობის უზრუნველყოფა (შესაძლებელია თანამშრომლების მოზიდვა სახელმწიფო უწყებებიდან ერთჯერადი დახმარების გაწევის მიზნით ან მათთან სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შედამხედველობისას თანამშრომლობის კუთხით).

შეფასების ძირითადი კითხვა 22 - არსებობს თუ არა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც აღრიცხავს და ხარისხობრივად და რაოდენობრივად აფასებს შედეგების მიღწევას; იყო თუ არა SMART და ინფორმაციული ეროვნული სტატისტიკური სისტემის ინდიკატორები; როგორია

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების არსებული სტრატეგიისა (RDSG) და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების სუსტი და ძლიერი მხარეები.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონაწილე და წვლილის შემტანი დარგობრივი სამინისტროების მიერ მომზადებული მონაცემების შეგროვების კუთხით სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭომ (IACC) მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ფუნქცია ეფექტურად განახორციელა. დარგობრივი სამინისტროები საბჭოს (IACC) აწვდიან შეგროვებულ და დახარისხებულ მონაცემებს, რომელიც შემდეგ, თავის მხრივ, ადგენს ერთობლივ ანგარიშს. საბჭოსათვის ყველაზე დიდი გამოწვევაა მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის გადამოწმების მექანიზმის არქონა და, შესაბამისად, იმ მონაცემებზე დაყრდნობა, რომლის ხარისხის სტანდარტისა და პროცედურების გამოყენებაც ხდება სხვადასხვა დაინტერესებული უწყების მიერ.

აღნიშნული, რა თქმა უნდა, წარმოშობს მონაცემების ხარისხთან დაკავშირებულ გარკვეულ პრობლემებს, მაგალითად, ნაწილობრივ ან არასრულყოფილ მონაცემებს, მონაცემების გადაცემისას დაშვებულ შეცდომებს, მონაცემების მიკერძოებულობას და სხვ. შესაბამისად, დარგობრივი სამინისტროების მიერ წარმოებულ მონაცემებს, რომელიც სოფლის განვითარების უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭოს გადაეცა და რომელიც არის საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG)/სამოქმედო გეგმის (AP) საანგარიშო მონაცემები, სტატისტიკის ეროვნული სამსახური ოფიციალურ, დამოწმებული მონაცემების სტატუსს არ ანიჭებს. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად უნდა გადაისინჯოს და გაძლიერდეს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მთლიანი მანდატი ზედამხედველობის, მათ შორის საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მონიტორინგის მონაცემების ხარისხის სტანდარტის დაცვის კუთხით.

ზოგადად, არსებულ ინდიკატორთა “SMARTness” მისაღებია აქტივობის შედეგის ამ დონეზე, მაგრამ შედეგების უფრო მაღალი დონისათვის საჭიროებს უფრო მეტად გაუმჯობესებას. ზემოქმედების დონეზე არანაირი ინდიკატორი არ არსებობს, თუმცა სასურველია, სულ ცოტა 2-3 მაკროდონის ინდიკატორის განსაზღვრა, რათა შეფასდეს ეროვნული განვითარების მიზნების შესრულების კუთხით საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მაღალი დონის წვლილი.

4. რეკომენდაციები

4.1 ზოგადი კვლევის შედეგები და დასკვნები

იმის გამო, რომ დასახული მიზნების და, შესაბამისად, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების მთლიანი სტრატეგიის (RDSG) მნიშვნელობა მაღალია, ეფექტურობა შეიძლება მეტად გაუმჯობესდეს ინტერვენციების ინტეგრირებული პაკეტების ერთობლივი დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ვიდრე სამინისტროების ცალკეული მოქმედებებით. კერძოდ, პრიორიტეტული სფერო 3 უნდა გაძლიერდეს ფინანსური რესურსის და განხორციელების სისწრაფის თვალსაზრისით, უნდა გაიზარდოს შესრულების დონე. ასევე, გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებით ყურადღება შეიძლება გამახვილდეს პრიორიტეტული სფეროების 1 და 2 საკითხებზეც ზოგადი მდგრადობის თვალსაზრისით. გაუმჯობესება ასევე შესაძლებელია განსაკუთრებით დონისძიებების ხარისხის და მათი შესაბამისი გავლენის გაზრდით. შესაძლებელია დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი (სულ მცირე, პოტენციური) ადრეული გავლენისთვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული შესაძლებლობების შეჯამება.

გარდა ამისა, შეიძლება გამოვლინდეს პოტენციურად მაღალი მოსავლიანობის ის სტრატეგიული შესაძლებლობები, რომელთაგან ყველაზე იმედის მომცემია:

ა) ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მოდელი, თუ ეს კანონიერად და ფისკალურად უფრო სტაბილური იქნება, შეიძლება გახდეს სოფლის განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმი;

ბ) თელავის სავაჭრო პალატის ამჟამინდელი, გარკვეულწილად, შემთხვევითი კოჰაბიტაცია ადგილობრივ ტექნოჰაბთან/ინოვაციურ ცენტრთან (რომელიც ცენტრის შენობაშია განთავსებული) შეიძლება გახდეს უწყებათაშორისი თანამშრომლობის ახალი მოდულების საპილოტე გამოცდის წყარო აგრეთვე სხვა შესაბამისი პირების მონაწილეობით (მაგ., უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტები, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს (TVET) და სხვ.), რომლებიც ჯერ სრულად არ გამხდარა ტექნოლოგიური ჰაბის (TechHub) დიზაინის ნაწილი და არც საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პორტფელის სრულ შემადგენლობაში შედის;

გ) მიწის კერძო ნაკვეთების მცირე მფლობელებისთვის წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია (2017 წელს, დატუმბული სარწყავი წყლის 62.8% დაიკარგა სადისტრიბუციო ქსელში გაჟონვის გამო) და ასევე, ენერგომომარაგება, რომელიც შეიძლება გახდეს ბიზნესის/ინვესტიციის შესაძლებლობა დამოუკიდებელი ელექტროენერჯის ქსელის მქონე სოფლის კერძო ენერგომომწოდებლებისთვის შორეულ რაიონებში, თუ ეს სექტორები გზას გაკვალავენ აღნიშნული მიმართულებით (კერძო ელექტროენერჯის წარმოებისა და კერძო საკუთრებაში არსებული ელექტროქსელების მუშაობით, აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ეს საჭიროდ მიიჩნევა, სუბსიდირებული განაკვეთებით; ასევე ენერჯის წარმოების სტიმულირების საშუალებით, მიზნობრივი ფიქსირებული ტარიფების დაწესებით);

დ) განახლებადი ენერჯის პაკეტის ჩაშვების მიზნით (საზოგადოებრივი) ინფრასტრუქტურის არსებული პროგრამის კომპონენტები, ნარჩენების მართვა, სტარტაპები და ინოვაციური ჰაბები შეიძლება გაერთიანდეს საჯარო სექტორთან, საჭიროებისამებრ ან საჯარო კერძო პარტნიორობების (PPP) ფარგლებში; i. მზის და მცირე/საშუალო დონის ქარის ენერჯია; ii. წყლის ენერჯია; iii. ნარჩენების ენერჯია: ბიონარჩენებისგან მიღებული ბიოგაზი (მსხვილფეხა საქონლის ფერმები, ხილის ბაზრები, სასაკლაოები, სასტუმროები და ყავისფერი წყლის ნარჩენები სასტუმროებიდან და სხვ.); iv. ბიობრიკეტები და ეთანოლი სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის ქვეპროდუქტების გამოყენებით, მაგალითად, კაკლისა და თხილის ნაჭუჭისგან, ვარდის ხისგან, ხისგან დამზადებული მასალები (ტოტები/ღეროები და სხვ.), ბაღებიდან და ვენახებიდან და სხვა მცირე ზომის მეურნეობებისა და ბაღების მასშტაბით. იმისათვის, რომ განხორციელდეს საჭირო ინვესტიცია და უზრუნველყოფილი იყოს სიცოცხლისუნარიანი და მომგებიანი ოპერაცია, შესაძლოა საჭირო გახდეს ცენტრალიზებული გადაწყვეტა;

ე) ღირებულებათა ჯაჭვის ქვეპროდუქტების მაღალი ღირებულების ტრანსფორმირებულ პროდუქტად გადაქცევისას ამჟამად მთლიანად უყურადღებოდ არის დარჩენილი (i. მაგ., გადაუმუშავებელი თხილის ზეთის ესენცია შედარებით დაბალი ხარისხის თხილისგან მხოლოდ რამდენიმე მეწარმის მიერ იწარმოება, მაგრამ იყიდება იაპონიის დიდ ბაზრებზე მომგებიან ფასად. ii) კაკლის ნაჭუჭისგან მიღებული ბიობრიკეტები; ნაცვლად იმისა, რომ ინვესტიციები ჩადონ ხელმისაწვდომ, დაბალი ტექნოლოგიის აპარატებში და მიიღონ მოგება ადგილობრივად, თურქი მეწარმეობები ყიდულობენ თხილის დამტვრევის შედეგად მიღებულ ნარჩენებს, რადგან

საქართველოში შესაბამისი ცოდნა არ არსებობს; iii. არყის გამოხდა მე –3 ხარისხის ხილიდან ანასეულის ჩაის ქარხანაში, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილ ერთ-ერთ პირველ საქმიანობას (iv. ზეთისხილისგან დამზადებული სოუსის წარმოება არის შესაძლებლობა, რომელიც არც ერთ მეწარმეს ჯერ არ გამოუყენებია ამ პროდუქტის არცოდნის გამო). ამასთან დაკავშირებით, ერთობლივი საწარმოები შეიძლება დაინტერესდნენ ინვესტირებით მაღალი ღირებულების აგროგადამუშავებული ექსპორტირებული დელიკატესების, მაღალი ღირებულების ხილის, როგორცაა, კენკრა და სხვ. მიმართულებით. აგრეთვე ექსპორტირებადი კონკურენტუნარიანი ფასების მქონე აგრომანქანებითა და მექანიკური მოწყობილობით.

მოკლე ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევების შესახებ

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა (RDSG) და მისი სამოქმედო გეგმების დიზაინთან და განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების ირგვლივ მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა:

შიდა მმართველობა

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC) თავად წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, სამინისტროებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის საერთო კოორდინაცია შეიძლება გაიზარდოს როგორც ცენტრალურ, ისე სექტორულ დონეზე. საჭიროა დაინტერესებული მხარე სუბიექტების შესაძლებლობებისა და უნარების კიდევ უფრო განვითარება. შიდა შემოწმებისა და ბალანსის გაძლიერება, ისევე, როგორც, ზოგადად, მუნიციპალურ დონეზე მომსახურების ხარისხის გაძლიერება პროგრამის/პროექტის კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და მოქალაქეების მონაწილეობის კონკრეტული შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაციების ძალიან ღირებული მიდგომაა. თუმცა, მდგრადობის თვალსაზრისით, უკვე არსებობს საფრთხე, რომ ეს ახალი ინიციატივა მდგრად განვითარებას ვერ მიაღწევს და მეტიც, სიცოცხლისუნარიანობას ვერ შეინარჩუნებს.

საშინაო და საგარეო პასუხისმგებლობის საკითხებთან მიმართებით, ძირითადი შედეგების დონის ინდიკატორებთან და მათთან დაკავშირებულ რეგულარული მონიტორინგის ანგარიშგებას ფინანსური და შედეგობრივი კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმატების და ინტერვენციების გაზომვის თვალსაზრისით. სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მანდატი უნდა იყოს გაძლიერებული, რათა მას მიეცეს საშუალება უზრუნველყოს მონაცემთა ხარისხი, მათ შორის პროცედურების ნორმირება, პროექტის დონეზე ხარისხის შემოწმება და სხვ. სამინისტროების ქოლგის ქვეშ არსებული მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფები იკვლევენ მონიტორინგისა და შეფასების საკითხებს, მათ შორის დღესდღეობით არარსებული და პოტენციურად გამოსაყენებელი ზემოქმედების დონის საშუალებების მთელ წყებას.

სტრატეგიული დაგეგმარება და მართვასთან დაკავშირებული საკითხები

სოფლის განვითარების იდეა იმდენად რთული და ყოვლისმომცველია, რომ ის პოტენციური სტრატეგიული გაჭიანურების თანდაყოლილი რისკის წინაშე დგას. ამავ დროს, თავისთავად, იგი გვთავაზობს ძალიან კარგ შესაძლებლობას, ჩამოვყალიბოთ მრავალმხრივი დარგთაშორისი პოლიტიკა და უზრუნველყოთ პროექტების ინტეგრაცია და კოორდინაცია სხვადასხვა სამინისტროებს შორის თანამშრომლობისა და მაქსიმალური ერთობის მიღწევით. საუკეთესო შემთხვევაში, მრავალი დაინტერესებული მხარის ერთობის დაგეგმვა, ხოლო ამ შემთხვევაში უწყებათაშორისი პროგრამის პლატფორმები უნდა დაიწყოს ან დაწყებულიყო საჭიროების შეფასების

ეტაპზე, რათა გაანალიზდეს სხვადასხვა განვითარების შემაფერხებელი ძირეული მიზეზები, რომელიც შეიძლება იყოს: ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური, უსაფრთხოების და/ან პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლებები. საშუამავლო და ძირეული მიზეზების გამოვლენის, სიმპტომების დადგენისა და დაფიქსირების შემდეგ იწყება პროგრამის რეაგირება. ამ ეტაპზე უნდა შეიქმნას ცვლილების თეორია, რომელიც განაპირობებს პროგრამის ლოგიკის შემუშავებას და მოიცავს პროგრამის ღირძის სტრუქტურასა და რაოდენობას, ასევე შედეგების ჯაჭვის დეტალურ ლოგიკას სვეტიდან ამოცანის შედეგის, აქტივობის შედეგის, ინტერვენციისა და აქტივობების დონემდე.

ცვლილების თეორიის მიზანი და სარგებელი თავისთავად კავშირშია ძლიერი შედეგების ჯაჭვებისა და მათთან დაკავშირებული ინდიკატორების დიზაინთან, SMARTness კრიტერიუმებთან და შედეგებზე დაფუძნებული მმართველობის (RBM) ლოგიკასთან. ცვლილებების თეორიაზე (ToC) დამყარებული რეგულარულად განახლებული „ცოცხალი“ სიტუაციის ანალიზი/შეფასება და შედეგების ჯაჭვის მიმოხილვა არის თანამედროვე ხელოვნების მიმდინარე მიდგომა, რომელიც მოქნილად იყენებს შედეგებზე დაფუძნებული მმართველობის (RBM) ლოგიკას. ზემოქმედების/მაღალი დონის საკვანძო ინდიკატორების პროექტი საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების მთლიანი სტრატეგიისთვის (RDSG) უნდა შეიქმნას მიმდინარე პრიორიტეტული სფეროს ლოგიკის გათვალისწინებით ინტეგრირებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის (ARDSG) შექმნის დაწყებამდე. მიმდინარე სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის (უკვე განხორციელებული) ცვლილებების თეორიების (ToC) გადახედვა შეიძლება სასარგებლო იყოს როგორც საბოლოო შეფასების, ისე სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ახლად შემუშავებული სტრატეგიის (ARDSG) დასრულებისთვის. ეს ასევე გამოდგება ახალდაწყებული შესაბამისი ცვლილებების თეორიის (ToC) დანერგვისთვის, ანუ სტრატეგიის დაგეგმვისა და დიზაინის ეტაპზე ცვლილებების თეორიის (ToC) განხილვა ავტომატურად აისახება შედეგების ჩარჩოს სტრუქტურაზე, მონიტორინგისა და შეფასების (M&E) სისტემაზე, განხორციელების პრაქტიკის შიდა ლოგიკაზე და სხვ.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შემთხვევაში შედეგების საერთო ჩარჩო პროცესში გამაფრთხილებელი ნიშანი არის ის, რომ ცვლილებების თეორია (ToC) არასოდეს შემუშავებულა, ხოლო დაგეგმვა არ ხდებოდა ზემოხსენებული თანამიმდევრობით, მაგრამ რეალურად მოიცავდა შრომის სტილს, მინიმალურ და მნიშვნელოვან ელემენტებს, მიდგომებს და ელემენტებს სხვადასხვა, უკვე არსებული სტრატეგიებიდან ყველა მონაწილე სამინისტროს ფარგლებში. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის სტრუქტურა და მისი რეკონსტრუირებული, ცვლილებების შემდგომი თეორია ამჟამად ურთიერთდაკავშირებულია (სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის საკითხების განხილვის, აგრეთვე პოტენციური ურთიერთგადაფარვის მხრივ) სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესაძლებლობასთან. ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, ეს დაკვირვება უშეცდომოა, რადგან ინტეგრირებული სტრატეგია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის (ARDSG), უკვე შემუშავებულია და საბოლოო ჯამში იმუშავებს წინამდებარე ანგარიშის მომზადების პარალელურად. მეორე მხრივ, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (RDSG) არის ეროვნული განვითარების სტრატეგიის ქვენაწილი, მით უმეტეს, რომ გეოგრაფიული სამიზნე ტერიტორიის ნაწილი საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორიაა, გამონაკლისია მხოლოდ უდიდესი ქალაქები. მოცემული განმარტების შესაბამისად, არსებული განმარტებით, სოფლის განვითარება მოიცავს სოფლის მეურნეობის

ღირებულებათა ჯაჭვში არსებულ ყველა რგოლს, უფრო კონკრეტულად კი, ნათესების რეალური წარმოების მიღმა ყველა პროცესს.

როგორც აღწერილია შედეგების დონის/პრიორიტეტების სფეროს დებულებებში, ეს მოიცავს ისეთ მრავალფეროვან დარგებს, როგორცაა, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, ტრენინგი და უნარების განვითარება, მათ შორის დივერსიფიკაცია; ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია ტრანსფორმაციის და მარკეტინგისთვის და სხვ.; აგრეთვე ინვესტიციები ისეთ სფეროებში, როგორცაა, გარემოს დაცვა და ძირითადი სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა (ჯანმრთელობის დაცვა მთელი მოსახლეობისთვის და არა მარტო გადამმუშავებელი ცენტრის/ქარხნის მუშაკების და მეურნეობის თანამშრომლებისთვის და სხვ.); ინფრასტრუქტურა. თითოეული მმართველობითი ასპექტი მოქცეულია ამოცანის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესების ინკლუზიურობის ხელშესაწყობად. შესაბამისად, კოორდინირების თვალსაზრისით, სტრატეგიის ფარგლებში იგი გარკვეულწილად მოუხერხებელი გახდა.

კრიტიკული შენიშვნები პრიორიტეტული სფეროების ღიზანის შესახებ

პრიორიტეტული სფეროები/შედეგების ღიზანის შემუშავება იძლევა რამდენიმე მნიშვნელოვან შენიშვნას, კერძოდ:

პირველი პრიორიტეტული სფერო 1-ის პირველი ორი მიზანი (ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა) ისეთი მაღალი დონისაა, რომ შესაძლებელია ეფექტურად მოეცვა პრიორიტეტული სფერო 2-ის ყველა ის ამოცანა (როგორც, მაგალითად, უნარების განვითარება, ინოვაცია და მეწარმეობა), რომლებიც ემყარება გადაწყვეტილების მიღებას. (ინვესტიციების განხორციელება, ოპერაციების წამოწყება, რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია, დივერსიფიკაცია ან მასშტაბების განხორციელება, აგრეთვე ფინანსური და მენეჯმენტული საქმიანობის განხორციელება) ამასთან, ამოცანა 3/პრიორიტეტული სფერო 1 (ტურიზმის განვითარება) შეიძლება იყოს მიზანი 2/პრიორიტეტული სფერო 1, რომელიც მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემუშავებას. არსებითად, მთელი რიგი მიზნები და, საბოლოო ჯამში, თუნდაც პრიორიტეტული სფერო 1 და 2 შედეგების ჯაჭვის ურთიერთშეთავსების განხილვისას შეიძლება თითქმის მთლიანად გაერთიანდეს ერთ პრიორიტეტულ სფეროდ.

მეორე პრიორიტეტული სფერო ეფექტურად ეხება მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და არა სოციალურ განვითარებას. ამრიგად, პრიორიტეტული სფერო 1 არასწორად არის დასახელებული (სოციალურ-ეკონომიკურის ნაცვლად სოციალური) ან მისი მიზნები, რომელსაც აქვს ძლიერი ეკონომიკური მნიშვნელობები (ინოვაცია და მეწარმეობა; გულისხმობს, მაგალითად, ქალთა დასაქმების მოთხოვნილებებს) მოცემულია ამ პრიორიტეტულ სფეროში. დაბოლოს, აშკარაა მკაფიო წინააღმდეგობა გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის, გარდა ეკოტურიზმის საქმიანობისა იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი კარგად არის შემუშავებული და განხორციელებული. მდგრადი განვითარება მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით განზომილებებს. პრიორიტეტული სფერო 3-ის ამოცანების 1, 2, და ნაწილობრივ პრიორიტეტული სფერო 3 და 4-ც კი შესაძლოა ლოგიკურად დაკავშირებული იყოს ინფრასტრუქტურის განახლებასთან („გამწვანება“, კლიმატის ცვლილების ეფექტების შემცირება), სოფლის მოსახლეობას შორის ეკოლოგიური მგრძობელობის კერძო ბიზნესის გადაწყვეტილებებთან და საზოგადოებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გარემოსდაცვითი პრობლემების გათვალისწინება).

ამის საწინააღმდეგოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გააქტიურებამ და სოფლის ინფრასტრუქტურის გაზრდამ (მაგალითად, ქაობების დრენაჟმა, რაც ბიომრავალფეროვნების შემცირების რისკს იწვევს, მაშინაც კი, თუ ამომშობილი ზედაპირი სრულად მიეკუთვნა საირიგაციო მეურნეობას) შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს გარემოზე. გარემოსდაცვითი პრობლემები სულ უფრო უკავშირდება პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც სისტემატურად მოიცავს ეკონომიკურ სტიმულს (მაგ., მცდელობა, მოპოვებულ იქნეს უფლებები და შეიქმნას ბაზრები ნახშირბადის ემისიით ვაჭრობისთვის და სხვ.). ამრიგად, ჩნდება კითხვა, საჭიროა თუ არა გარემოსდაცვითი საკითხები სისტემატურად გავრცელება 1 და 2 პრიორიტეტული სფეროებით გათვალისწინებულ ამოცანებში, დაწყებული განახლებადი ენერჯის ინოვაციებითა და მასთან დაკავშირებული მეწარმეობით, დამთავრებული „გამწვანებით“, რომელიც თავისთავად კავშირშია i. საჯარო ინფრასტრუქტურასა და მომსახურებასთან და ii. კერძო ინვესტიციების განხორციელებასთან სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა ან განახლებაში.

პრიორიტეტულ სფეროებთან დაკავშირებული ტექნიკური გამოწვევები

პრიორიტეტული სფერო 1-ის სირთულეთაგან მთავარი გამოწვევაა უცხოური ინვესტიციებისთვის ნებადართული აქციონერობის 49%-იანი კაპიტალი, თუნდაც ეს იყვნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები ან იურიდიული პირები. ეს მოქმედებს როგორც დეფაქტო შემაფერხებელი ფაქტორი ძირითადი ინვესტიციისთვის (მაგ., კივის პლანტაცია). დღეს არსებული ზღვრის შესაძლო ალტერნატივა შეიძლება იყოს მიწის იჯარის ხელშეკრულებები ან კომპანიაში წილთა გადანაწილება და მიწაზე საკუთრების უფლებები.

არსებობს კრიტიკული საკითხები, რომლებიც ეხება კაპიტალზე ხელმისაწვდომობას და დაზღვევას, ესენია: (ა) უზრუნველყოფის საჭიროება; (ბ) პრობლემის შემთხვევაში, სამელავათო პერიოდის არარსებობა (მაგ., ფორსმაჟორი ფაროსანას შემოსევის დროს, რომელიც ბევრ სასოფლო-სამეურნეო ინვესტორს 3-4 შემოსავლისა და სარგებელის სეზონი დაუჯდა), განსაკუთრებით ახალგაზრდა და ღარიბი (პოტენციური) მეწარმეებისთვის კრედიტის აღების შესაძლებლობის შეფერხება; (გ) არცოდნა ან/და უნდობლობა მიწის მესაკუთრეთა შორის, რაც მათ ხელს უშლის მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების რეგისტრაციაში, ძირითადად, გადასახადის შიშის გამო. მეორე მხრივ, სადაზღვევო პროდუქტები ბიოსამშრობის საწინააღმდეგოდ (მტაცებლები, სეტყვა და სხვ.), რომელთა მოთხოვნა ბაზარზე არსებობს და რომელიც არ არის ხელმისაწვდომი კერძო სამეწარმეო ბაზარზე და (ასევე) არ წარმოადგენს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ნაწილს.

პრიორიტეტულ სფერო 2-ში შეფერხების მექანიზმი პერსპექტიული ინიციატივაა, რომელიც ჯერ არ არის ბოლომდე დაფინანსებული და, შესაბამისად, არამდგრადია, ბიუჯეტის თვალსაზრისით. ტექნოლოგიური ინოვაციების ჰაბები დამაკმაყოფილებელი ინიციატივაა, მაგრამ საჭიროა უფრო ინტეგრირებული პაკეტის შემუშავება, რომელიც მოიცავს დამატებით პარტნიორობას დაინტერესებულ მხარეებთან, აკადემიურ, კერძო და საჯარო სექტორებში. გარდა ინფორმაციულ და ინოვაციურ ტრენინგ ცენტრსა (ITC) და აგრობიზნესს შორის კავშირების დამყარებისა, აუცილებელია, რომ აკადემიურმა სექტორმა შეიძინოს და გაიღრმავოს ცოდნა როგორც სოფლის მეურნეობასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ისე პრაქტიკულ ტექნიკურ გამოყენებებში რეალურ ცხოვრებაში (მაგალითად: ინტიოლოგია, ფენოლოგია, კივისა და კაკლის წარმოება და სხვ.).

ძირითადი გამოწვევები, რომლებიც მომდინარეობს პრიორიტეტულ სფერო 1-სა და პრიორიტეტულ სფერო 3-ს შორის არსებული ურთიერთკავშირიდან, ასევე პრიორიტეტული სფერო 2-ის ჩართულობიდან საზოგადოების გააქტიურების და გადაწყვეტილებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით, მათ შორის კანონებისა და რეგულაციების ჩათვლით, იქნებოდა თანამდევი დაძაბულობა კლასიკურ ეკონომიკურ ინტერესებსა და გარემოსდაცვითი პრობლემების დაცვას შორის. არსებობს რისკი, რომ შეიძლება წარმოიშვას ურთიერთკონკურენტული მოთხოვნები მიწის, განსაკუთრებით კი წყლის გამოყენების მხრივ ეკონომიკურ სფეროში მომუშავე მეწარმეთა შორის, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და სამრეწველო/მომსახურების ინდუსტრიებს შორის ან ტურიზმის ინდუსტრიასა და კერძო შინამეურნეობას შორის. მოსავლის ადების შემდეგ ტერიტორიაზე ცეცხლის უკანონოდ გაჩენა და უსაფრთხოების არაადეკვატური რეგულაციები მესაქონლეობის დარგში (მოხეტიალე საქონელი არა მარტო სოფლის ქუჩებში, არამედ სახელმწიფო გზებსა და გზატკეცილებზე) არის დამატებითი საყურადღებო საკითხები, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს.

4.2 საბოლოო რეკომენდაციები

მტკიცებულებებზე დამყარებული დასკვნების საფუძველზე გამოვლენილია ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის შედეგად შეგროვებული საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება. შემუშავდა რიგი რეკომენდაციები, რომელიც მიზნად ისახავდა წარმატების ალბათობის გაზრდას უკეთესი ეფექტურობის, ეფექტიანობის, შესაბამისობის, მდგრადობისა და გავლენის შესაძლებლობების გაზრდის გზით. აღნიშნული რეკომენდაციები შეიძლება დაიყოს ორ ფართო ქვეჯგუფად, კერძოდ, ტექნიკური რეკომენდაციები (მოდული (ა)A) და ზოგადი რეკომენდაციები (მოდული (ბ)B), რომლებიც მოცემულია სტრატეგიული დაგეგმვის დონეზე.

მოდული (ა)-ს რეკომენდაციები, რომლებიც ეყრდნობა ქვეყანაში მონაცემების შეგროვების/საველე ვიზიტების ფაზას, სისტემატიურად არის დაკავშირებული სპეციალურ პრიორიტეტულ სფეროებთან, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ტექნიკური რეკომენდაციები გაცილებით მრავალრიცხოვანია ((ა) მოდულში მოცემულია 8 ქვეკატეგორიის რეკომენდაციები, სულ 28 ტექნიკური რეკომენდაცია, რომელთაგან ზოგი ქვერეკომენდაციის სახით არის წარმოდგენილი; (ბ) მოდულში მოცემულ 7 ზოგად რეკომენდაციასთან მიმართებით). მოდული მოიცავს ტექნიკურ რეკომენდაციებს სტრატეგიული ბრენდინგის, ტურიზმის, საკანონმდებლო საკითხების და სხვა ტექნიკური დარგების მიმართულებით. რეკომენდაციები, რომლებიც უშუალოდ საველე დონის დაკვირვებებზეა დაფუძნებული კონკრეტულად ხაზგასმული არ არის და არც დაინტერესებულ მხარეთა ინტერვიუებია ნათლად წარმოდგენილი. ტრიანგულაციასა და ექსტრაპოლაციასზე დაფუძნებული რეკომენდაციები ირიბად დასაბუთებულია ინტერვიუების, დისკუსიებისა და დაკვირვებების მტკიცებულებებში და წარმოდგენილია დახრილი ფორმატით (მაგალითად, რეკომენდაცია i.1.).

I. პროდუქტების სტრატეგიული ბრენდინგი, მათ შორის

საქართველოს როგორც ტურიზმის მიმართულების გაძლიერება

1. „დამზადებულია საქართველოში“ პროექტის და/ან ცნობილ ბრენდთან - საქართველოს მთავრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკლამირება (სატელევიზიო კამპანიები ბიბისიზე (BBC), სიენენზე (CNN), დოიჩე ველეში (DW) და სხვ.), პროდუქციის, პროდუქტებისა და საქართველოს როგორც საერთაშორისო ტურისტული მიმართულების ქვეყნის მაღალი დონის სტრატეგიული პოზიციონირება მაღალბიუჯეტის ტურისტების მოსაზიდად, რომლებიც მიეკუთვნებიან მაღალ მხარჯველობით სეგმენტს, მათ შორის ევროკავშირისა და დასავლეთის სხვა ქვეყნებიდან, სასურველი

იქნებოდა (ამ მიმართულებით გზა უკვე გაკვლეული აქვს სახელმწიფო პროგრამას - „აწარმოე საქართველოში“ (Enterprise Georgia), მაგრამ რეგიონებში არსებული მწარმოებლების ჩართულობით შეიძლება გაკეთდეს მეტიც). ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების შედეგად შესაძლოა მიღწეული იქნეს შემდეგი:

ა) აქტიური ძიება ისეთი გამორჩეული პროდუქტებისა, როგორცაა, ღვინო, ჩაი, კივი და სხვა; ეროვნული აგრობრწყინვალეების ლოგოს/სავაჭრო ნიშნის („არგო“) შექმნა; ამასთან დაკავშირებით: ინვესტირება 2020 წლის დუბაის მსოფლიო ექსპოზე, უმაღლესი ხარისხის პროდუქტებისა და პროდუქტების მაქსიმალური წარმოჩენით, რათა ნაჩვენები იქნეს ბრენდი „დამზადებულია საქართველოში“ და მოიზიდოთ დამატებითი ინვესტიციები;

ბ) „ბრწყინვალეების ბრენდის/საქართველოს პროდუქციის“ გრძელი ნუსხის იდენტიფიცირება და უფასო ან სუბსიდირებული მარკეტინგული დახმარება ადგილობრივი პროდუქციის საერთაშორისო გაყიდვების (შეფუთვა, ლოგოები და სხვ.) გასაძლიერებლად;

გ) ეკოტურიზმის პაკეტების ორგანიზების განხილვა ქართული წარმოების ადაპტირებული ტექნოლოგიის აგროტექნოლოგიური გადაწყვეტილებების (საქართველოს ნიშანი (Geo Mark) და სხვ.) განვითარების მიზნით; სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე ეროვნული საინჟინრო ფირმების დახმარება, რათ მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობებში.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) (გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ხელმძღვანელი პირები), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა (MRDI) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MoESD) ტურიზმის ადმინისტრაციას შორის გონების იერიშის მოწყობა ეკოტურიზმის პაკეტების შემუშავებისთვის, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზე, ეკოლოგიურ ტურიზმზე, ბიომეურნეობებზე და სხვა, ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე, მათ შორის სასტუმროების მფლობელების, ნაკრძალის პერსონალის მონაწილეობით.

3. ტურისტული მარშრუტების ქსელის პოპულარიზაცია და შეთავაზებული მომსახურების პორტფელის და ხარისხის გაუმჯობესება, ასევე აღნიშნულ სფეროში ჩატარებული დაკვირვებებისა და სიღრმისეული დისკუსიების წარმოება ბუნებრივი პარკებისა და ნაკრძალების პერსონალთან.

ა) თემატური ტურისტული მარშრუტების ქსელის შექმნა (ბრენდინგი, ქუჩის ნიშნები, ტუროპერატორების მხარდაჭერა, ტურისტული ბაზრობების ჩატარება და სხვ.) რეგიონებში, რაც სისტემატურად აკავშირებს წარმოებას ტურიზმთან (ჩაის მარშრუტის შემუშავება მუნიციპალიტეტებში/რეგიონებში (საჭიროა ჩაის მარშრუტის გაფართოება, ამჟამად იგი მხოლოდ ოზურგეთში არსებობს; გურია/სამეგრელო/იმერეთი უნდა გახდეს მისი ნაწილი ღვინის მარშრუტის მაგალითის მიხედვით; ჩაის ქარხნები ჩაის მარშრუტზე და სხვა, რომ გამოიყენოს ღვინის მარშრუტის საუკეთესო პრაქტიკა, როგორცაა, შუხმანი (Schuchmann) და სხვ.);

ბ) რეგიონებში ტურისტული ღირსშესანიშნაობების სხვადასხვა კატეგორიების ერთმანეთთან დაკავშირება (ღვინის მარშრუტი; ჩაის მარშრუტი: გაფართოებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიმდებარედ; არგონავტის მარშრუტი; წმინდა გიორგი/მართლმადიდებლური მარშრუტის ციხეები, მონასტრები, ძეგლები; პოლიტიკური მარშრუტი: გორის/სტალინის მუზეუმი, ექსკურსია ანასეულის ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩაის ქარხანაში, შევარდნაძის მშობლიურ ქალაქში და სხვ.; პაკეტის ტურები არგონავტები-შავი ზღვა - ჩაის მარშრუტი-ლელო ტრადიციული რაგბის ღონისძიება ლანჩხუთში; სპა და სხვ.);

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MoESD) ტურიზმის ადმინისტრაციისა ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მიერ კოლხეთის ეროვნულ პარკში არგონავტების ხის გემის ასლის (მიიღონ მითითებები თურქეთიდან; ასევე ერთანძიანი გემის მშენებლობაზე საუდის არაბეთიდან, აშშ-დან, ომანიდან, ტანზანიიდან და სხვ.) შექმნა. ჯომარდობა/ნიჩბოსნობის მოწყობა მოგზაურობის ჩათვლით. ღვინისა და ხილის დაგემოვნება და სხვ.; ამასთან დაკავშირებით, კოლხეთის ნაწილში მდებარე სასტუმროს ოთახების/საწოლების რაოდენობის გაზრდა, ასევე გასათვალისწინებელია საწოლების შეთავაზების შესაძლებლობა („დაძინება ვარსკვლავების ქვეშ, როგორც არგონავტები“), ასევე წყლის პარკი, რომელიც უნდა აშენდეს სპეციალურ პლატფორმებზე, თუ გარემოსდაცვითი პრობლემები არ გადაწონის დამატებითი შემოსავლის შექმნის ინტერესს, რომელიც პარკის მართვის მიზნებს უნდა მოხმარდეს;

დ) ტურიზმის სააგენტოს მიერ სასწავლო სასტუმროს შექმნა ქალაქ ფოთის ჩრდილოეთით (სასწავლო და კომერციული ცენტრი), პოტენციურად როგორც საჯარო, კერძო პარტნიორობა (PPP), იმ ტერიტორიის გასწვრივ, სადაც ამჟამად დომინირებს ვილის ტიპის პანსიონი, სახლების გაქირავება და „საწოლი და საუზმის“ B&B-ის ტიპის სასტუმროები ეროვნული გზის მიმდებარედ. აღსანიშნავია, რომ მისიამ ამ ტერიტორიაზე თავისუფალი ოთახი ვერ იპოვა, რის გამოც საჭირო გახდა დიდი ქალაქიდან 30 კმ-ის მოშორებით გასვლა სათანადო საცხოვრებელი ადგილის მოსაძებნად; აქ მხოლოდ ერთი სასტუმროს ტიპის ბიზნესი იყო, მაგრამ ფოთის ძალიან დატვირთული ავტომობილების მანქანების მანქანების გამო იგი დეფაქტო მოტელად იქცა).

ე) პრიორიტეტული სფერო 3: ლაგოდეხის ტყეში შეკიდული ბილიკების პროექტის ეკოლოგიური და ეკონომიკური გავლენის ყურადღებით კონტროლი, რომელიც ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მიერ პროგნოზირებულია როგორც დიდად წარმატებული (წარმატების შემთხვევაში, იგი შეიძლება სხვა ადგილზეც გამეორდეს) იმისათვის, რომ საქართველო ევროპაში/გლობალური „ტურიზმის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად“ დასახელდეს; ჰოსტელები/დაბანაკების შესაძლებლობები ხეებზე, ასევე ჰამაკები/ტრადიციული გოდრის ტიპის; მათ შორის კოლხეთში: ძილი „არგოზე“).

4. ტურიზმის ეროვნული უწყების „ნახევრად სახელმწიფო“ მოგებაზე ორიენტირებული ფილიალის შექმნის საკითხის განხილვა (არაბთა გაერთიანებულ საემიროებში/დუბაიში DNATA-ს საკმაოდ წარმატებული მაგალითის შემდეგ (ასევე, თუ გასურთ შეიქმნას წარმოდგენა საქართველოს ოფიციალური არსებული ონლაინმარკეტინგის მიმდინარე სტატუსსა და მსოფლიო დონის მარკეტინგს შორის განსხვავების თვალსაზრისით, შეადარეთ საქართველოს ტურიზმის ეროვნული უწყებისა (www.gnta.ge) და დუბაის ტურიზმისა და ვაჭრობის მარკეტინგის დეპარტამენტის (DCTM) ვებგვერდები (www.visitdubai.com/en)).

II. დაზღვევა

5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (MEPA) და ფინანსთა სამინისტროს (MoF) მიერ დაზღვევის დაფარვის დამატებითი საშუალებების (თანა) დაფინანსების შესაძლებლობების შესწავლა ჯერჯერობით დაუზღვეველი/დაზღვევას დაუქვემდებარებელი რისკების (ფუტკრის სკებზე დათვის ან კრაზანის თავდასხმები, მგლების თავდასხმა პირუტყვზე) და/ან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გაზრდილი რისკების ჩათვლით. (მწერების შემოტევა ბოსტნებში, ხეხილის ბაღებსა და ვენახებში, სეტყვის გამო მიყენებული ზარალი,

ფუტკრის სკების განადგურება დათვების და სეტყვის გამო, მგლების შემოტევა, ცხვრებზე მგლების თავდასხმა, კალმახის მაგისტრალით თბილისის მიმართულებით თევზის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალება და სხვ.).

6. კერძო დამზღვევებისთვის მიმართვა, რათა განიხილოთ საშეღავათო პერიოდის შემოდება (რომელიც იმოქმედებს განსაკუთრებულ პირობებში, როგორცაა ფაროსანას შემოსევა), სანამ დაიწყება სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაფარვის ათვლა. ალტერნატივად განიხილება დაფინანსებული სახელმწიფო დახმარების ფონდის ფინანსთა სამინისტროს (MoF) მიერ დაფინანსებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) ფონდი) შექმნა, რომელიც დაფარავს ამგვარ ხარჯებს სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული მწვავე პრობლემების დროს.

7. ხორბლის ბუნკერების/სილოსების კანონით დადგენილი დაზღვევის საჭიროება (რადგან სხვაგვარად მავნებლებით ან ობით ინფიცირების შემთხვევაში მარცვლეულის მიმართ რისკი რჩება ძალიან მაღალი).

III. ინფრასტრუქტურა და კრედიტის ხელმისაწვდომობა

8. პრიორიტეტული სფერო 1: სპეციალიზებული, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი/აგროსაკრედიტო ინსტიტუტების ევროპული მოდელების შესწავლა („სოფლის მეურნეობის დაკრედიტება“ და სხვ.) ან შექმნა, ან ხელის შეწყობა საქართველოში უცხოური ფინანსური ბაზრის სუბიექტების სატელიტების დასამკვიდრებლად.

9. პრიორიტეტული სფერო 2: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა (MRDI) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მიერ დახმარების გაწევა მუნიციპალიტეტებისთვის, რათა მათ ერთობლივად დაადგინონ პრიორიტეტული საჭიროებები და უზრუნველყონ საკვების მიმწოდებელი გზებისა და ზოგადი სატრანსპორტო/წყლის/ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაფინანსების მობილიზება შედარებით იზოლირებულ, შორეულ ადგილებში, სადაც არის დამატებითი ღირებულების პოტენციალი ან უკვე კონკურენტუნარიანი/წარმატებული ბიზნესი სოფლის მეურნეობის დარგში (მაგ., საკალმახე მეურნეობა გურიში ასაკეცი ხილებით მთის ორი ნაკადის გასწვრივ).

10. პრიორიტეტული სფერო 1 / პრიორიტეტული სფერო 2: კრიტერიუმებზე დაფუძნებული სპეციალური დამხმარე (საგრანტო) სქემების დანერგვის განხილვა აგროინფრასტრუქტურის განახლების მიზნით, ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის (მაღალი დონის პროდუქტების ტონაჟი) ბუნებრივი ელემენტებისგან გაძლიერებული დაცვით (სეტყვის საწინააღმდეგო/მზისგან დამცავი მოწყობილობები, ასევე სათბურები და სხვ.).

IV. ხარისხის კონტროლი

11. სპეციალური ფინანსური წახალისების/გრანტების, სუბსიდიების ან სესხების შემოდება სასერტიფიკატო პროცესების მოსამზადებლად და გასასვლელად („გლობალური ხარვეზი“, ISO, ევროკავშირის ბოსერტიფიკაცია და სხვ.), რომელიც უზრუნველყოფს წვდომას ბაზრის მაღალი ღირებულების სეგმენტებზე.

12. ხარისხის კონტროლის შესაძლებლობების (ხელახლა) შექმნა სოფლის მეურნეობის ქვესექტორებში (ხორცი, მარცვლეული, ბოსტნეული, თევზჭერა, ნიგოზი, კივი და სხვ.); ეს უნდა მოიცავდეს ლაბორატორიების შექმნას, სახელმწიფო უნივერსიტეტებში შესაბამისი აკადემიური ექსპერტიზის დამკვიდრებას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს (MEPA) პერსონალის სპეციალური ცოდნის გაზრდას მუნიციპალურ დონეზე და სხვ. ეს ასევე გულისხმობს ინვესტიციის ჩადებას (და) სამეცნიერო ექსპერტიზის დანერგვაში (ფიზიოლოგიაში (თევზის დაავადებების მეცნიერული შესწავლა) და ფენოლოგიაში (ნიადაგის ტენიანობისა და ტემპერატურის სამეცნიერო შესწავლა, თესვასთან და მოსავლის აღებასთან დაკავშირებული რჩევა) როგორც სახელმწიფოს კეთილშობილურ ფუნქციასა და მომსახურებას.

V. ლიდერი/ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მოდელი

13. პრიორიტეტული სფერო 2: ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების გაფართოება მთელი მუნიციპალიტეტების მასშტაბით; დააკვირდით მათ შესაძლებლობებს, რამდენად სავარაუდოა, რომ ისინი გახდნენ:

ა) იურიდიულად მდგრადი: მუნიციპალიტეტი გახდეს (პოსტფაქტუმ) დამფუძნებელი წევრი;

ბ) ფინანსურად სტაბილური, მოგებაზე ორიენტირებული ნაწილობრივი მიდგომით (პირველი საკონტაქტო და ძირითადი საორიენტაციო მომსახურება უფასოდ; მაღალი ხარისხის ტექნიკური და ფინანსური სახელმძღვანელო ინვესტიციებისთვის როგორც საკონსულტაციო პაკეტი); შემოთავაზებული იურიდიული ფორმა: არაკომერციული ან სოციალური საწარმო, რომლის მთელი მოგება უნდა მოხმარდეს ადგილობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობას; აცილებული იქნეს ინტერესთა კონფლიქტი და ნებადართული იყოს ადგილობრივ სამუშაო ჯგუფებში მონაწილე საჯარო მოსამსახურეთათვის საკონსულტაციო სამუშაოებში ჩართვა.

VI. კანონმდებლობა

14. პრიორიტეტული სფერო 1: სავალდებულო აგროდაზღვევის წარმოდგენა ხორბლის მარაგის შენახვის მომსახურებისთვის (ობით დაინფიცირების შემთხვევა, ელექტროენერჯის მოშლა, ხანძრის გაჩენის საფრთხე და სხვ.).

15. პრიორიტეტული სფერო 2: მკაცრი კანონმდებლობის შემოღება, რათა გაკონტროლდეს/თავიდან იქნეს აცილებული საქონლის გადაადგილება სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე/მაგისტრალზე (უბედური შემთხვევისას საქონლის პატრონზე დაკისრებული ჯარიმა ზიანის ანაზღაურებისთვის არასაკმარისია და სერიოზულად არ მიიღება); ადამიანისა და საქონლის დაღუპვის შემთხვევას გზებზე ყოველდღიური ხასიათი აქვს, ავარიის საფრთხე მასობრივი ხასიათისაა, რადგან მაგისტრალზე/გზებზე საქონელი კონტროლის გარეშე მუდმივად მოძრაობს); სახელმწიფომ უნდა განიხილოს (ეტაპობრივად მაინც) ელექტრო ღობეების დაფინანსება და სწრაფი და სრულყოფილი განხორციელება.

16. პრიორიტეტული სფერო 3: მონიტორინგისა და სწრაფი რეაგირების რეგულაციების გამკაცრება და საზოგადოებაზე დაფუძნებული რეაგირების მექანიზმების ამუშავება, აგრეთვე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება მოსავალაღებულ მიწებზე უკანონო ხანძრის საწინააღმდეგოდ (მიწის გასუფთავებისა და ხელახლა განაყოფიერების მიზნით); მძიმე ჯარიმების დაწესება (მიწის იჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტა ან, საიჯარო ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მიწის იჯარით ფლობის უფლების შეწყვეტა; მიწასთან დაშვების აკრძალვა ან არსებული აგროკრედიტების გაუქმება; მოსავლის ჩამორთმევა; მონაწილე მეწარმისათვის სასოფლო-სამეურნეო ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა; აქტივების კონფისკაცია, ასევე მოსავლის, მანქანა-დანადგარების, შენობების და სხვ. ჩამორთმევა; ისეთი ჯარიმების დაწესება, რომლებიც მიიმართება გარემოსდაცვით ფონდში; თავისუფლების აღკვეთის ვადა; მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მხილებული მეწარმე სუბიექტის კუთვნილი მიწის ნაკვეთის

საჯარო სარგებლობისთვის გამოცხადება რამდენიმე წლის განმავლობაში და სხვ. ყველა ზემოხსენებული ძალისხმევა განხილვება, როგორც შესაძლო ზომები).

VII. ინოვაცია - ჰორიზონტალური დივერსიფიკაცია და ვერტიკალური ინტეგრაცია

17. პრიორიტეტული სფერო 2: ადგილობრივი ინდუსტრიის წახალისება (Geo Mark და სხვ.) განახორციელონ ინვესტიცია ტექნოლოგიურ საშუალებებში: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) და სახელმწიფო უწყება ერთად მრეწველობის ხელშესაწყობად ერთობლივი მუშაობა დიდი შესაძლებლობების მქონე კომპანიებთან, როგორცაა, Geo Mark (ზუგდიდი) და მიმართულებების დასახვა; პლანტაციების/მინდვრებისთვის საჭირო დანადგარების დიზაინის და სპეციფიკაციების დადგენა (სათბურის/ბაღების დაცვა, მოსავლის აღება, გადამუშავება, დახარისხება და შეფუთვა, ჩაის ქარხნის მექანიზმი), განახლებადი ენერჯის გადაწყვეტები და სხვ.

18. საწყისი სემინარის ორგანიზება საინჟინრო ფირმებთან და (პოტენციურ) კლიენტებთან ცოდნისა და ტექნოლოგიების გასაახლებლად; მათ შორის სავაჭრო პალატა (CoC), ტექნოლოგიური ცენტრები/ინოვაციური ჰაბები (TechnoCenters/Innovation Hubs), პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს (TVET) და სხვ.; პორტფოლიოში შესაძლო პროდუქტების მაგალითებია: სათბურები, დამცავი მოწყობილობები (სეტყვის, მზისგან დამცავი და სხვ.).

19. თელავის სავაჭრო პალატა (CoC) & TechnoHub/ინოვაციური ცენტრის კოჰაბიტაციის როგორც საპილოტე მოდელის გამოყენება, რათა შემოწმდეს ინოვაციური უწყებათაშორისი თანამშრომლობა სავაჭრო პალატა (CoC), TechHub, ადგილობრივი (საშუალო) სკოლები, უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტები, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები (TVET) და სხვ.); დაფინანსების (გრანტი/სესხი) სპეციალური სქემების დანერგვა დამწყებთათვის.

20. პრიორიტეტული სფერო 1 და 2: ინვესტორებისა და მწარმოებელი ფერმერებისათვის შეღავათიანი კრედიტის საშუალებით კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა სამაცივრე საწყობების მიმართულებით (მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, კოოპერატივებს) განსაკუთრებით, მალფუჭებადი ხილისთვის, როგორცაა, კენკრა; ინოვაციური ჰაბების საშუალებით განახლებადი ენერჯის ხელშეწყობა.

21. პრიორიტეტული სფერო 3: ადგილობრივი ინჟინერიის განვითარების მიზნით პოზიტიური პოლიტიკის შემუშავების განხილვა: საქართველოში შექმნილი რისკების შემამსუბუქებელი ხელსაწყოს შექმნისა და შეღავათიანი სადაზღვევო ტარიფების ურთიერთდაკავშირება.

VIII. სხვადასხვა კონკრეტული ტექნიკური შეთავაზებები პრიორიტეტული სფეროს მიხედვით

22. პრიორიტეტული სფერო 1: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ARDA)/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გუნდების მხრიდან ფერმერული ბრიფინგის კომპლექტების შედგენა, რათა მათ აცნობონ ინფორმაცია ნიადაგის ტიპისა და მიკროკლიმატის სპეციფიკის, საინვესტიციო მოგებისთვის საჭირო დროისა და ძალისხმევის (ROI), ხელმისაწვდომი ფინანსური დახმარებისა და აგროდაზღვევის პაკეტების შესახებ და სხვ.

23. პრიორიტეტული სფერო 1 და 2: დამამტკიცებელი მოქმედების სპეციალური პროგრამის განხილვა სასაზღვრო ტერიტორიების სოფლის ეკონომიკის გასაძლიერებლად (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და ამით იმ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის/მიგრანტების დაბრუნების ხელშეწყობა, რომლებმაც დაკარგეს ეკონომიკური საარსებო წყარო, ასევე იმ ახალგაზრდების ადგილებზე დამაგრება, ვინც იძულებულია სამუშაოს საძიებლად დატოვოს მშობლიური ადგილი.

24. პრიორიტეტული სფერო 1 და 3: კალმახის მეურნეობა: არალოიალური კონკურენცია თურქული თევზის იმპორტის გამო, რომლის სუბსიდირებასაც ახდენს თურქეთის მთავრობა, რაც აიძულებს ქართული თევზის ინდუსტრიის მესვეურებს, დააწესონ კაბალურად დაბალი ფასები. საქართველოს მთავრობა უნდა ეცადოს პრობლემა გადაჭრას დიპლომატიური არხებით ან გამონახოს სხვა ალტერნატიული გზა და განიხილოს საპასუხო ღონისძიებების საკითხი, ისეთი, როგორიცაა, ჯარიმებისა და იმპორტის გადასახადების დაწესება თურქეთიდან კალმახის იმპორტირებისთვის.

25. პრიორიტეტული სფერო 2: ტრენინგი და უნარ-ჩვევები აგროსექტორის წარმომადგენლების ჩათვლით. ფერმერებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) თანამშრომლების მიერ:

ა) უნდა შედგეს მოწინავე აგრობიზნესის ტრენინგების უფრო დახვეწილი კომპლექტი (დირებულებათა ჯაჭვის გაფართოება და მაქსიმალური მექანიზაცია, ინტეგრაცია, დივერსიფიკაცია; კოოპერატივების დადებითი და უარყოფითი მხარეები; მავნე ორგანიზმების კონტროლი; კლიმატის ცვლილებისა და დაზღვევის ნეგატიური ეფექტების შემცირება; მენეჯმენტი; კრედიტები და სესხები და სხვ.);

ბ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (MEPA) შექმნას და მართოს ეროვნული საოსტატო სწავლების მექანიზმი:

1. მოიწვიოს მსოფლიო ღონის სპეციალისტები ტექნიკური ცოდნის გაზიარებისთვის, რათა მოამზადოს ქართველი საოსტატო სწავლების ტრენერები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ისტიოლოგია (თევზსაშენები), ნიგოზი (ესპანეთი/ჩილე/კალიფორნია/ავღანეთი), ტრიუფელები (ესპანეთი, საფრანგეთი), კივი (ახალი ზელანდია, იაპონია), წვეთოვანი სარწყავი სისტემების ტექნოლოგია (ისრაელი);
2. უზრუნველყოს ალტერნატიულად ან დამატებით (თანა)დაფინანსების ფონდის პიონერული ექსპერტების/ეროვნული საოსტატო სწავლების ტრენერების საზღვარგარეთ მასტერკლასებზე დასწრება (მაგ.: კაკლის მეურნეობები ჩილეში, კივის ფერმერები ახალ ზელანდიაში და სხვ.).

26. პრიორიტეტული სფერო 2 და 3: ალტერნატიული ენერჯის კომპონენტის ინტეგრირება სტრატეგიაში: ბიონარჩენების ენერჯია (მყარი და თხევადი ნარჩენების დუდილი, აგრეთვე ცხოველების ფეკალური ნივთიერებები, როგორიცაა, საქონლის ნაკელი/განოყიერება და სხვ.), ბიოგაზი, ბიოსასუქი როგორც ქვეპროდუქტი; მეყვავილეობაში, ზეთისხილისა და თხილის მეურნეობებში ტყის ნარჩენების პიროლიზი; მზის პანელები ბაღებში სარწყავი წყლის ამოსატუმბად და სხვ.); დაფინანსება შეღავათიან კრედიტზე წვდომისათვის, ხელშეწყობა ამ ტექნოლოგიაში ინვესტიციის განსახორციელებლად.

27. პრიორიტეტული სფერო 2 და 3: 3R (შემცირება, გადამუშავება, ხელახლა გამოყენება) ლოგიკის შემოღება ისეთ მასტიმულირებელ საშუალებებთან ერთად, როგორიცაა, შეღავათიანი სესხები ან გრანტები ბიზნესში ასეთი ტექნოლოგიური/პრაქტიკული მოდელების დასაფინანსებლად; მუშაობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან (MRDI), რათა დაინერგოს ნარჩენების დახარისხების სტანდარტული პროცესები და მექანიზმები, მათ შორის ხელსაწყოები; დაწყებულ იქნეს მოსახლეობის ჩართულობითა და გააქტიურებით, განსაკუთრებით, ქარხნის მფლობელების მიერ, მწარმოებლის/მრეწველის ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების თაობაზე (ჩამოსასხმელი ქარხნების მიერ პლასტმასის ბოთლების გამოყენება და სხვ.); ანაზღაურებადი ანაბრის სტანდარტული მოდელის შემოღების განხილვა; ბიოდეგრადირებადი შესაფუთი მასალები დანერგვა სტანდარტული პლასტმასის ნაცვლად.

28. პრიორიტეტული სფერო 1, 2, 3: ღირებულებათა ჯაჭვში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქვეპროდუქტების („ნარჩენების“) ფულადი მოგების მიღების საშუალებად დანერგვა:

ა) ნიგოზი/თხილი: გამოიყენეთ ნაჭუჭები ბიობრიკეტებისთვის (ნაცვლად თურქეთში ექსპორტზე გატანისა ბიობრიკეტების წარმოებისთვის);

ბ) დაუმუშავებელი თხილის ზეთი, რომელიც წარმოებულია უხარისხო ან მე-3 დონის კლასიფიცირებული, დაბალი დონის კაკლისგან;

გ) ზეთისხილი: მის ნარჩენებს იყენებენ როგორც ფერმენტის სახით, ისე ღორების გამოსაკვებად, აწარმოებენ პესტოს (ამან შეიძლება მოითხოვოს ზეთისხილის საჭყლეტის გარდაქმნა, რათა გამოცალკევდეს შესაბამისი ნაწილები გაჭყლეტილი ხილისგან);

დ) სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსა (APMA) და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ARDA) მიერ ანასეულის ჩაის ქარხანაში შნაფსის წარმოების გამოცდილების გამეორება.

მოდული B - რეკომენდაციები, რომლებიც ეხება სტრატეგიულ დაგეგმვას, კოორდინაციას, შედეგებზე დაფუძნებულ მართვას (RBM) და მონიტორინგსა და შეფასებას (M&E)

1. გაძლიერდეს შედეგებზე დაფუძნებულ მართვის (RBM) ლოგიკა და შეიქმნას მასთან დაკავშირებული შესაძლებლობები, სისტემები და პროცესები, მმართველი ჯგუფის მასშტაბით:

ა) შეიქმნას SMART-ის დონის მიმართულებები სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ახალი, ინტეგრირებული სტრატეგიისათვის (ARDSG) აქტივობის და ამოცანის შედეგების დონეზე;

ბ) განხილული იქნეს საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის (2021-2027) ზეგავლენის ინდიკატორების ფენის შემოღება. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) საბოლოო შეფასებისას განიხილება ზემოქმედების ინდიკატორების გამოყენება, რომლებიც წარმოდგენილია დანართში 5.10.

გ) ორგანიზება გაეწიოს სტრატეგიულ დაგეგმვას, შედეგებზე დაფუძნებული მართვის (RBM) უნარ-ჩვევების გასაზრდელად მმართველობის დონეზე მთავარ დაინტერესებულ მხარე სამინისტროებში;

დ) დაინერგოს მაღალი დონის შედეგების მიმართულებები ინოვაციური ცენტრებისა და/ტექნოლოგიური ჰაბებისთვის, რათა მოხდეს ტრენინგის და ქსელური ურთიერთობების ეფექტურობის და ეფექტიანობის შეფასების უზრუნველყოფა;

ე) წარმოადგინოს ბენეფიციარებისა და მოსახლეობის ხარისხობრივი მონიტორინგი (ტექსტური შეტყობინებები, სტრუქტურული ან არასტრუქტურული გამოკითხვისთვის ინტერნეტით სარგებლობა; ღიმილაკები (Smileys)/ლიკერტის სკალა და სხვ.);

ვ) განიხილოს უწყებათაშორისი/დაინტერესებული მხარის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი;

ზ) საბოლოო შეფასებისთვის გამოყენებული იქნეს შემოთავაზებული ყოვლისმომცველი შეფასების მატრიცა (დანართი 5.9) როგორც საწყისი წერტილი სპეციფიკური შეფასების (ქვე)კითხვების ჩამოსაყალიბებლად.

2. ზედამხედველობისა და ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით, როგორც ბ.1. (B.1) რეკომენდაციის ამოქმედების საფუძველი და წინაპირობა, გაძლიერდეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო ფუნქციის მანდატი (სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) მდივანს) მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ჩათვლით (მონაცემთა ხარისხის კონტროლი და სხვ.). განმეორებით იქნეს გამოყენებული ცენტრალური დონის გაძლიერებული საკოორდინაციო ერთეულის მდივნის) მოდელი სავალე დონეზე მუნიციპალიტეტის ფარგლებში. ეს მოითხოვს შესაძლებლობების განვითარებაში ინვესტირებას როგორც სისტემურ (დიზაინის სტანდარტებს, პროცესებისა და მექანიზმების გადასინჯვას და სხვ.), ისე ადამიანური რესურსების დონეზე (უნარების განახლება, ტრენინგი).

3. განხილული იქნეს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მეშვეობით, რომელიც ოფიციალურად თანამშრომლობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (GeoStat) რათა:

ა) ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროებისთვის დადგენილი და გამოყენებული სტანდარტების განსაზღვრითა და გამოყენებით გაუმჯობესდეს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონაცემთა ხარისხი, რაც უზრუნველყოფს ხსენებული სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ოფიციალური სტატისტიკის სტატუსს;

ბ) გამოყენებული იქნეს საბაზისო მაჩვენებლების იდენტიფიცირების შესაძლებლობა სხვადასხვა სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციების შემოწმების/სტანდარტიზაციისა და გაუმჯობესებისათვის (შედეგებზე დაფუძნებულ მართვაზე (RBM), შესაძლებლობების განვითარებისა და უნარ-ჩვევების ტრენინგების, SMART ინდიკატორების, მეტამონაცემების, ხარისხობრივ მონაცემთა ხარისხის ჩათვლით და სხვ.);

გ) აქტივობების და მონიტორინგისა და შეფასების (M&E) (განაწილებული მონაცემები) შექმნისა და დაგეგმვის განმავლობაში მოხდეს გენდერული ხედვის გაძლიერება შესაბამისი ტრენინგებისა და გენდერული საკითხის პოპულარიზაციის საშუალებით.

4. მოხდეს სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დანერგვის იდეის ხელშეწყობა ინტეგრირებული, მონაწილეობითი, მრავალდარგობრივი (დაინტერესებული მხარე) მუნიციპალური დაგეგმვის გზით და შეიქმნას (თუ უკვე არ არსებობს) შესაბამისი მექანიზმები და პროცედურები.

5. გაერთიანებული პროგრამის მეშვეობით სააგენტოებმა (კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამამ, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), ასევე გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO), მსოფლიო ბანკმა) განიხილონ გუნდური გაერთიანების საკითხი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების მომავალი ინტეგრირებული სტრატეგიის (ARDSG) მხარდაჭერის მიზნით.

6. ერთობლივი დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად (არა მარტო ერთობლივი აქტივობების შედეგები ცალკეულ/პარალელურ სამინისტროებთან, არამედ გაერთიანებული ღონისძიებები და მოქმედებები) რამდენიმე დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით სამინისტროს სააგენტოებმა განიხილონ სპეციფიკური ძირითადი აქტივობის სფეროები.

7. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიისათვის (ARDSG) განხილული იქნეს ინტეგრირებული, მრავალდარგობრივი შეფასების პრაქტიკის შემოღება როგორც რეგულარულად განახლებადი ცოცხალი დოკუმენტის, რომელიც დაკავშირებული იქნება ცვლილებების საერთო თეორიის (ცვლილებების თეორია ToC; დანართი 5.11. ცვლილებების თეორიების სამოქმედო გეგმისა და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყველა დონეზე შემუშავების შესახებ) და ამოცანის შედეგებზე დაფუძნებული ქვეცვლილებების თეორიების ერთობლიობის შექმნასთან. შეფასების რეგულარული განახლება უნდა იყოს განხილვის საფუძველი (საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების თეორიის გადასინჯვა და მორგება). აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანა უნდა განხორციელდეს შედეგების დებულებებისა და მათთან დაკავშირებული ინდიკატორების ფორმაში. მიმართულების მსუბუქი შესწორებისთვის საკმარისია აქტივობების შედეგების დებულებების/ინდიკატორების ადაპტირება ან უბრალოდ ძირითადი ინტერვენციების მორგება სამოქმედო გეგმის დონეზე. 5.11 დანართში წარმოდგენილი ცვლილებების თეორიის ვერსიების პროექტზე არსებული ლოგიკის შექმნის კრიტიკა პოტენციურად შეიძლება იქცეს სავარჯიშოდ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ინტეგრირებული სტრატეგიის (ARDSG) შედეგების ჯაჭვების დახვეწისათვის.

5. დანართები

5.1 განრიგი/სამუშაო გეგმა

14 -16 აგვისტო - კახეთის რეგიონი

14 აგვისტო - დედოფლისწყარო

შეხვედრა ადგილობრივ განვითარების ჯგუფთან (LAG), შეხვედრა ბენეფიციარებთან, წნორის ზეთისხილის პლანტაციის მონახულება;

15 აგვისტო - ლაგოდეხი

შეხვედრა ადგილობრივ განვითარების ჯგუფთან (LAG), ბენეფიციარებთან შეხვედრა, ვაშლისა და ქლიავის პლანტაციების მონახულება, „გიგოლას მარანი“, საოჯახო სასტუმრო „კივი“, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები;

16 აგვისტო - თელავი

შპს „შუმანის მამულის“ მონახულება, ბენეფიციარებთან შეხვედრა, ტექნოლოგიური პარკის მონახულება;

19-23 აგვისტო - დასავლეთ საქართველო

19 აგვისტო - გორი, წყალტუბო

თაფლის ქარხანა გორში, შპს „სანატორიუმი წყალტუბო“;

20 აგვისტო - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი

შეხვედრა ბენეფიციარებთან, თაფლის მწარმოებელი კოოპერატივის „რაჭის ბუნებრივი პროდუქტები“, „მარგველიძის ღვინის მარანი და სასტუმროს“ მონახულება;

21-22 აგვისტო - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

შეხვედრა ბენეფიციარებთან, შპს „ვორლდნათის“ , კივის მწარმოებელი შპს „ნერგეტას“, წყლის მწარმოებელი კომპანია - შპს „ანაკლიის“, მანქანა-დანადგარების მწარმოებელი შპს „ჯეომარკის“, მოცვის და თხილის მწარმოებელი კომპანია - შპს „ჯეონათისის“ და კოლხეთის ეროვნული პარკის მონახულება;

23 აგვისტო - გურიის რეგიონი

კოოპერატივი „წიქარა“ (რძე), ჩაის და შნაპსის მწარმოებელი კომპანია შპს „ანასული“

ბამბუკის პლანტაციის, მეფუტკრეობის და კალმახის მეურნეობის მონახულება.

5.2 გამოკითხულ პირთა სია და მონახულებული ადგილები

სამშაბათი 30/07 - შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP-IRDG) პროექტის თანამშრომლებთან:

ნათია ბერძენიშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP-IRDG) პროექტის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) კოორდინატორი;

ნოდარ კერესელიძე, გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP-IRDG) პროექტის ეროვნული პროგრამის მენეჯერი;

სტეფან შმიდტ-დებენჰარდტი, გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP-IRDG) პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელი;

გიორგი ციმინტია, გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP-IRDG) პროექტის კონსულტანტი;

05/08 ორშაბათი - შეხვედრა ეკატერინე ზვიადაძესთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსთან (სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივნი);

და ლაშა ზივზივაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის პოლიტიკის კოორდინაციის სამმართველოს უფროსი;

06/08 სამშაბათი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან;

გიორგი კვაშალი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ანგარიშებისა და ბიუჯეტების სამსახურის უფროსი;

თომა დეკანოიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

კონსტანტინე ხუწაიძე - კოოპერატივების განვითარებისა და მართვის სამმართველოს ხელმძღვანელი.

ოთხშაბათი 07/08 - სსიპ „ტურიზმის ეროვნული სააგენტო“

დიმიტრი ხულუზაური - ფინანსური სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, „აწარმოე საქართველოში“

შორენა ციცაგი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“

ავთანდილ ღოდობერიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ „აწარმოე საქართველოში“, მეწარმეობის დეპარტამენტის უფროსი.

08/08 - 08/08 ხუთშაბათი - შეხვედრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან.

დავით კაიკაციშვილი - რეგისტრაციის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა საკითხების სამინისტრო;

გიორგი კვიციანიძე - დევნილთა განყოფილების, დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;

ია ორკოდაშვილი - სოციალური დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტი;

თამარ რურუა - შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

რამაზ ჭითანავა - ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

ირაკლი მეგრელიძე - ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი უფროსის მოადგილე;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MRDI)

დავით კალატოზიშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

პარასკევი 09/08 - სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“

ალექსანდრე ღვინჯილია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ სტრატეგიული განვითარების სპეციალისტი;

გიორგი გიორგაძე - მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი.

14/08 ოთხშაბათი - შეხვედრები დედოფლისწყაროში

ბუბა ჯაფარლი - პროექტის მენეჯერი;

გიორგი ბენაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში;

გურამ ნაკაშიძე - პროგრამა „დანერგე მომავალი“ - ბენეფიციარი (კაკლის პლანტაცია);

ალიკა ჩახნაშვილი - პროგრამა „დანერგე მომავალი“ - ბენეფიციარი (ზეთისხილის პლანტაცია);

ლევან გზობავა - პროგრამა „შედავათიანი აგროკრედიტი“ - ბენეფიციარი;

ხუთშაბათი - 15/08 - შეხვედრები ლაგოდეხში

გიორგი ბოკერია - ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) ხელმძღვანელი.

ნუგზარ კაპანაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) წარმომადგენელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

თემურ ტუფნაძე - პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ - ბენეფიციარი (სასტუმრო);

გიორგი კობერიძე - პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ - ბენეფიციარი (სასტუმრო);

სანდრო მაისურაძე - პროგრამა „დანერგე მომავალი“ - ბენეფიციარი (კაკლის პლანტაცია);

თამაზ ერამატაშვილი - პროგრამა „დარგე მომავალი“ - ბენეფიციარი (მაყვლის პლანტაცია);

გია ქუბრაშვილი - პროგრამა „დარგე მომავალი“ - ბენეფიციარი (ვაშლისა და ქლიავის ბაღები);

ლია ნატარაშვილი - პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ - ბენეფიციარი(ღვინის მარანი და საოჯახო სასტუმრო);

მარინა ქადაგიძე - ზრუნვა“ ბენეფიციარი („კივი“ (Kiwi) სასტუმრო სახლი).

პარასკევი - 16/08 - შეხვედრები თელავში

ნიკოლოზ ოდოშაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) წარმომადგენელი თელავის მუნიციპალიტეტში;

ჯაბა ურჩხუნიშვილი - პროგრამა „აგროდაზღვევის“ - ბენეფიციარი (ვენახი);

სოფიო სამადაშვილი - თელავის ტექნოლოგიური პარკის მენეჯერი;

როლანდ ბურდიაშვილი - „მუხმანის მამულის" მმართველი დირექტორი;

ორშაბათი 19/08 - თორნიკე მდივნიშვილი - „სანატორიუმი წყალტუბოს“ გენერალური მენეჯერი;

20/08 სამშაბათი - შეხვედრები რაჭაში

ლაშა გაგოშიძე - კოოპერატივის „რაჭის ბუნებრივი პროდუქტების“ წევრი (თაფლი);

გია გოცირიძე - პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ - ბენეფიციარი (კომბინირებული საკვების წარმოება);

ჭაბუკი მეტონიძე - პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ - (მეღვინეობის) ბენეფიციარი;

მარინა გონაძე - პროგრამა „შეღვათიანი აგროკრედიტი“ - ბენეფიციარი (მესაქონლეობა);

ფიქრია წვერავა - „მარგველიძის ღვინის მარანი და საოჯახო სასტუმრო“ - მფლობელი.

21-22 / 08 ოთხშაბათი - შეხვედრები სამეგრელოში

გიორგი ქვარაია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) წარმომადგენელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში;

გიგლა თოლორაია - პროგრამა „შეღვათიანი აგროკრედიტი“ - ბენეფიციარი(შპს „ვორლდნათსი“);

რობერტ იზორია - პროგრამა „შეღვათიანი აგროკრედიტი“ - "ბენეფიციარი (შპს „ჯეონათის“);

რომეო ჯაფავა - პროგრამა „შეღვათიანი აგროკრედიტი“ - ბენეფიციარი (შპს „ნერგეტა“);

ომარ აბლოტია - პროგრამა „შეღვათიანი აგროკრედიტი“ - ბენეფიციარი (შპს "რომა");

ზურაბ ჯიქია - შპს „ჯეომარკის“ წარმომადგენელი;

ხათუნა ქაცარავა - კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი.

23/08 შეხვედრები გურიაში

ალიკო ასკურავა - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) წარმომადგენელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში;

სერგო იმნაძე - კოოპერატივი „წიქარა“ - ხელმძღვანელი (რძე);

ოთარ ჩხარტიშვილი - საკალმახე მეურნეობის მენეჯერი;

გიორგი ხუჭუა - შპს „ანასეულის" ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელი.

5.3 გამოყენებული ლიტერატურა და დოკუმენტაცია

1. Analysis of Regional Disparities in Georgia; updated version; MRDI (March 2016)
2. 2018-2020 RDS Action Plan indicator list
3. Objective Indicator Description Form / Rural Development Strategy and Action Plan 2018-2020
4. Final Version of E I Achievements Logframe
5. Association Agreement between the EU and Georgia (incl. Article 333)
6. Common Monitoring and Evaluation System; Rural Development Strategy of Georgia 2017-2020 and Action Plan 2018-2020 (Tbilisi, Georgia / 2017)
7. Council of Europe Action Plan for Georgia 2016-2019 - Progress Review Report (1 January 2016 – 30 June 2018); Document prepared by the Office of the Directorate General for Programmes
8. European Neighbourhood Program for Agriculture and Rural Development (ENPARD); Annex: ENPARD Georgia
9. EU Georgia Action Plan
10. Terminal Evaluation of Support to Rural Development in Georgia Project; Hamid R. Chaudhry Team Leader/International Evaluation Consultant and Kartlos Gviniashvili – Local Consultant (December 2018)
11. EVALUATION OF ENPARD 1, March 2013 – 2017; FINAL REPORT (December 2017) ; Prepared by: Team Leader – John Channon, with the assistance of Martin Mautner Markhof, Rubina Devrikyan and Boriana Marinova
12. UNDP Project Document “Expeion and Improved Management Effectiveness of the Ajara Region’s Protected Areas“
13. UNDP Project Document (Revision No. 1) / “Improving Rural Development in Georgia (ENPARD III), 2018-2022“
14. UNDP Project Document (Revision No. 1) / “Support to Rural Development in Georgia (ENPARD II), 2016-2018“
15. Council of Europe – Action Plan for Georgia; GR-DEM (2016)2 25 February 2016; Document prepered by the Office of the Directorate General of Programmes; Document approved by the Committee of Ministers of the Council of Europe on 15 - 16 March 2016 (CM/Del/Dec (2016) 1251)
16. Rural Development Strategy of Georgia 2017-2020
17. Rural Development Strategy Action Plan for 2018-2020
18. STRATEGY FOR AGRICULTURAL DEVELOPMENT IN GEORGIA 2015-2020; Ministry of Agriculture of Georgia (2015)
19. Support to Agricultural Development in Ajara Autonomous Republic (ENPARD I); UNDP Georgia; Project duration: 2013-2016 (Phase I)
20. Support to Rural Development in Georgia (ENPARD II); With the financial support of the European Neighborhood Programme for Agriculture and Rural Development (ENPARD), UNDP Georgia; Project duration: 2016-2018 (Phase II)
21. Improving Rural Development in Georgia (ENPARD III); With the financial support of the European Neighborhood Programme for Agriculture and Rural Development (ENPARD), UNDP Georgia; Project duration: 2018-2022 (Phase III)

5.4 სოფლის განვითარების 2017 წლის სამოქმედო გეგმა, წლიური შესრულება

ფერთა კოდები 5.4 5.5 ცხრილებისთვის: ა. ინდიკატორის შესრულება (მხოლოდ „ფაქტიური ინდიკატორის“ გრაფა): ღია ლურჯი/გადაჭარბებით შესრულება (მიზნის 100%-ზე მეტი); ღია მწვანე/ჯამში 100+% ზოგიერთი სუბინდიკატორი ბოლომდე არ შეესაბამება/დაბალი შესრულება; მუქი მწვანე/მიზანი მიღწეულია 90-100%, მაგრამ არა გადაჭარბებით; ყვითელი/ნაწილობრივ, მაგრამ უმეტესად მიღწეულია 60-90%; ნარინჯისფერი/დაბალი შესრულების/60%-ზე დაბალი; ბ. ბიუჯეტის გრაფები (ბოლო სამი): ღია ლურჯი: მიზანი („ფაქტიური ინდიკატორები“) გადაჭარბებით მიღწეულია გათვალისწინებულზე (გაცილებით) ნაკლები ბიუჯეტით; მწვანე: მიზანი მიღწეულია გადაჭარბებით გათვალისწინებულთან შედარებით ნაკლები ბიუჯეტით ან მიღწეულია გათვალისწინებულთან შედარებით ნაკლები ბიუჯეტით; ნარინჯისფერი: მიზანი არის დაბალი შესრულებით მიღწეული გათვალისწინებული ბიუჯეტით ან უფრო მეტი ფინანსებით, ვიდრე საწყისი ბიუჯეტია; წითელი: მიზანი საერთოდ არ არის მიღწეული, თითქმის სრული ან სრული დაფინანსების მიუხედავად; ყვითელი: მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი; ნორმალური/ფერთა კოდის გარეშე: დაფინანსების დონის მიხედვით შესრულების დონე.

პრიორიტეტული ამოცანა	აქტივობა	სამიზნე ინდიკატორი (2017)	ფაქტობრივი ინდიკატორი (2017)	სამიზნე ბიუჯეტი (ლარი)	ფაქტობრივი ბიუჯეტი (ლარი)	ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტების შედარება 2017 (%)	
1. ამოცანები ეკონომიკისა და კონკურენტუნარიანობის სფეროში							
1.1	კონკურენტუნარიანობა ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.	1.1.1 სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების გახსნის და/ან არსებულის გაფართოების ხელშეწყობა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში.	ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა 110-მდე ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზებას.	ფინანსური მხარდაჭერა გაეწეა 169 ახალი და არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზებას.	47.000.000,0	48.480.249,0	103%
		1.1.2 აგროსექტორში წარმოების რისკების შემცირება და	5 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის	დაზღვეულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები	7.000.000,0	7.108.100,0	102%

	კონკურენტუნარიანობის ზრდა აგროდაზღვევის უზრუნველყოფით.	ნაკვეთების დაზღვევა.	საერთო ფართობით 20 717 ჰა.			
	1.1.3 ახალი ინტენსიური/ნახევრად ინტენსიური ხილის ბაღების გაშენების და მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობების გაშენების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამა - „დანერგე მომავლის“ ფარგლებში.	ა) 700 ჰექტარი ახალი მრავალწლიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღის გაშენება; ბ) 2 ახალი სანერგე მეურნეობის გაშენება.	ა) 1,080.5 ჰექტარი ახალი მრავალწლიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღის გაშენება; ბ) სანერგე მეურნეობა არ გაშენებულია.	7.000.000,0	10.960.589,0	157%
	1.1.4 ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამა - „ქართული ჩაის“ ფარგლებში.	სავარაუდო სარეაბილიტაციო ფართობი შეადგენს 180 ჰა-მდე.	რეაბილიტირებულია 313 ჰა ჩაის პლანტაციები.	400.000,0	661.024,0	165%
	1.1.5 სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.	ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა, სულ ცოტა 6 ახალი საწარმოს შექმნას.	გაიხსნა 12 ახალი საწარმო.	5.000.000,0	2.950.249,0	59%

		<p>1.1.6 სოფლად სამელიორაციო სისტემის მოდერიზაცია/გაუმჯობესება მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით.</p>	<p>ა) სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 7 500 ჰა-ზე; ბ) ახალი სარწყავი მიწების ათვისება - დაახლოებით, 130 ჰა; გ) რეაბილიტირებული დაშრობილი ფართობი - დაახლოებით 1 600 ჰა; დ) გაიწმინდება და მოწესრიგდება დაახლოებით 800 კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი; ე) შეკეთდება ან შეიცვლება 70 კმ მილსადენი.</p>	<p>ა) მელიორირებული მიწების წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 17 500 ჰა-ზე; ბ) ათვისებულია 440 ჰა-მდე ახალი მიწები; გ) რეაბილიტირებულია 2 500 ჰა დაშრობილი მიწა; დ) გაწმენდილი და მოწესრიგებულია დაახლოებით 2 042 კმ. სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი; ე) შეკეთებული ან შეცვლილია 29 კმ მილსადენი. შენიშვნა: 1.1.6 „ე“ ინდიკატორი შესრულდა ნაწილობრივ.</p>	<p>48.000.000,0</p>	<p>41.900.000,0</p>	<p>87%</p>
		<p>1.1.7 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა პოპულარიზაციის გზით.</p>	<p>ქართული ღვინისა და აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის მიზნით არანაკლებ 10 საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა.</p>	<p>ქართული ღვინო და აგროსასურსათო პროდუქცია წარმოდგენილი იყო, საერთო ჯამში, 30 საერთაშორისო ღონისძიებაში. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ღვინის</p>	<p>6.000.000,0</p>	<p>7.881.979,0</p>	<p>131%</p>

				ექსპორტი გაზრდილია 49%-ით.			
		1.1.8 აგროკოოპერატივების მხარდაჭერის გზით სოფლად მეწარმეობის წასახალისებლად კოოპერატივების დაარსების ხელშეწყობა.	ა) დაახლოებით 10- მდე კოოპერატივი აღიჭურვება ყურძნის ან/და რძის მიმღებ- გადამმუშავებელი აღჭურვილობით; ბ) დაახლოებით 28- მდე კოოპერატივის აღჭურვა თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინვენტარით (სკები, თაფლის საწურები, ავზები, ფიჭის ასათლელი); გ) დაახლოებით 7- მდე კოოპერატივში დაინერგება საერთაშორისო სტანდარტები (ISO, Global Gap, HACCP).	ა) 13 კოოპერატივი აღჭურვილია ყურძნის/რძის მიმღებ- გადამმუშავებელი აღჭურვილობით; ბ) 67 კოოპერატივი აღჭურვილია თაფლის და ფუტკრის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინვენტარით (სკები, თაფლის საწურები, ავზები, ფიჭის ასათლელი); გ) არ არის ინფორმაცია.	4.870.000,0	2.737.331,0	56%
1.2	დივერსიფიცირება სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი	1.2.1. სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და მიკრო- და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა.	ა) პროექტების რაოდენობა: 150- მდე (ჯამური ინვესტიციის მოცულობა 320 მლნ ლარი); ბ) დასაქმებულთა	ა) განხორციელებული პროექტების რაოდენობა: 174. (ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 395 მლნ ლარი); ბ) შექმნილი სამუშაო	32.050.000,0	23.690.958,9	74%

	არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით.		რაოდენობა: 8000-მდე; გ) რეგიონში შექმნილი მიკრო- და მცირე მეწარმე სუბიექტების (ბენეფიციარების) რაოდენობა: 1300-მდე; დ) გადამზადებული ბენეფიციარების რაოდენობა: 3000-მდე.	ადგილები: ჯამში 7639; გ) რეგიონში შექმნილი მიკრო- და მცირე მეწარმე სუბიექტების (ბენეფიციარების) რაოდენობა: 3498; მათ შორის, ახალი პროექტებიდან: 2109; დ) გადამზადებული ბენეფიციარების რაოდენობა: 5694.			
1.3	ტურიზმი სოფლად სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკური და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.	1.3.1. სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერით სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა.	ა) პროექტების რაოდენობა: 30-მდე (ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 40 მლნ ლარამდე); ბ) შექმნილი სამუშაო ადგილი: 800-მდე; გ) ახალი ოთახების რაოდენობა: 700-მდე.	ა) განხორციელებული პროექტების რაოდენობა: 34. (ჯამური ინვესტიციის მოცულობა: დაახლოებით 96 მლნ ლარი); ბ) შექმნილი სამუშაო ადგილი: 1100; გ) ახალი ოთახების რაოდენობა: 1021.	1.500.000,0	1.679.375,8	112%
		1.3.2. შიდა ტურიზმის წახალისება.	სულ ცოტა 15 ჩატარებული ღონისძიება საქართველოს მასშტაბით.	ჩატარებულია 44 ღონისძიება საქართველოს მასშტაბით.	450.000,0	598.700,0	133%

		1.3.3. მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.	40 დამონტაჟებული საინფორმაციო დაფა; 30 მარკირებული ტურისტული მარშრუტი.	ა) 31 დამონტაჟებული საინფორმაციო დაფა; ბ) 27 მარკირებული ბილიკი (მარკირებული მარშრუტების საერთო სიგრძე: 538 კმ). შენიშვნა: ორივე ინდიკატორი შესრულებულია ნაწილობრივ.	670.000,0	228.700,0	34%
		1.3.4 სოფლად ტურიზმის ზრდის მიზნით ტურისტული პროდუქტის განვითარება	ა) 5 ახალი და განახლებული ტურისტული პროდუქტის სახეობა; ბ) სულ ცოტა 20 შემუშავებული საფეხმავლო მარშრუტი.	ა) შექმნილი/განახლებულია 5 ტურისტული პროდუქტის სახეობა; ბ) დაგეგმარებულია 20 საფეხმავლო მარშრუტი.	165.000,0	121.731,0	74%
		1.3.5. სოფლად ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება პროექტის - „ღვინის გზის“ ფარგლებში.	სულ ცოტა 180 (გზა) დამონტაჟებული მანიშნებელი საქართველოს მასშტაბით.	დამონტაჟებულია 224 (გზა) მანიშნებელი 124 ობიექტისათვის საქართველოს მასშტაბით.	300.000,0	413.721,0	138%
		1.3.6. კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა).	სულ ცოტა 700 გადამზადებული კერძო სექტორის წარმომადგენელი ქვეყნის მასშტაბით.	გადამზადებულია 1318 კერძო სექტორის წარმომადგენელი.	240.000,0	300.000,0	125%

პრიორიტეტული სფერო #1				160.645.000,0	149.712.707,7	93%	
2. ამოცანები სოციალური მდგომარეობის და ცხოვრების დონის სფეროში							
2.1	უნარები და დასაქმება ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).	2.1.1. სოფლად ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზოგადი და სპეციალიზებული სატრენინგო კურსების ჩატარება ინოვაციების ცენტრების ბაზაზე.	1500-მდე გადამზადებული ბენეფიციარი.	გადამზადდა 1500 ბენეფიციარი.	100.000,0	100.000,0	100%
		2.1.2. ინოვაციების განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება.	10-მდე ჩატარებული კონკურსი, ოლიმპიადა, გამოფენა, კონფერენცია.	ჩატარდა 10 კონკურსი, ოლიმპიადა, გამოფენა, კონფერენცია.	50.000,0	50.000,0	100%
		2.1.3. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მუნიციპალიტეტებში და მასში შემავალ სოფლებში.	რეგიონებში პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა (სტუდენტთა) რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (7580) გაზრდილია 5%-ით.	პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (8,793) გაზრდილია 16%-ით.	11.115.000,0	10.172.064,0	92%
		2.1.4. საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები რეგიონების სკოლის მოსწავლეებისათვის.	რეგიონებში სკოლის მოსწავლეებისათვის, სულ ცოტა 5 სკოლაში შეთავაზებულია საორიენტაციო და მოსამზადებელი	საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები შეთავაზებულ იქნა რეგიონების 8 სკოლისთვის; პროგრამაში ჩაერთო	224.300,0	ღონორების ფინანსები (ინფორმაცია არ არის)	

		კურსები (საბაზისო ინდიკატორი -0).	რეგიონებში მდებარე 109 სკოლის 2000-ზე მეტი მოსწავლე.			
	2.1.5. პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოდულური პროგრამების (დუალური მიდგომით) განხორციელების ინიცირება/დანერგვა.	სოფლის მეურნეობის მიმართულებით ა 3 პროგრამა დუალური მიდგომით (საბაზისო ინდიკატორი - 0).	სოფლის მეურნეობის მიმართულებით დანერგილია 4 დუალური პროგრამა.	1.494.900,0	დონორების ფინანსები (ინფორმაცია არ არის)	
ოპერაციული მდგრადობა	რამდენად იყო გატარებული შეფასების დაგეგმვის პრინციპები (ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, გენდერული თანასწორობა, გარემოსდაცვითი მდგრადობა, შედეგებზე დაფუძნებული მართვა, შესაძლებლობების განვითარება) საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ამოცანის და აქტივობების შედეგებში, ასევე საჭირო რესურსების/აქტივობების, დაგეგმვის, ადამიანური რესურსების, შესყიდვის და სხვა განხორციელების და ოპერაციულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ასპექტებში.	ჩართულობის (მეინსტრუმენტის) არსებობის მტკიცებულება: ა) ლოგიკური ჩარჩოში; ბ) სამოქმედო გეგმაში (გეგმებში); გ) ანგარიშებში; და სხვ.	შედეგების ჩარჩოს და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამის/სამოქმედო გეგმის საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები.	- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები. - შუალედური ანგარიში (MTR). - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC).
	- რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020	მტკიცებულება (დაკვირვებები). შემთხვევის კვლევა.	- ხარისხობრივი მონაცემები. - დაგეგმვის ლანდშაფტის მიმოხილვა.	- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG).

	<p>წლების სტრატეგიას (RDSG); და შეიძლება თუ არა აღნიშნული მხოლოდ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიას (RDSG) მიეკუთვნებოდეს, თუ გამოყენებული ლოგიკა არის ერთ-ერთი წვლილთაგანი.</p>		<p>- შედეგების ჯაჭვის მიმოხილვა. ფინანსური მიმოხილვა (საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) აქტივობების სტრატეგიული მოცულობა/წონა, ცალკე და არა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამებთან/ინიციატივებთან კავშირში).</p>	<p>- საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ყოველწლიური (RDSG) ანგარიშები. - შუალედური ანგარიში (MTR). - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - ფაილების გადაცემის პროტოკოლი (ქსელური ოქმები) (FTPs). - სამთავრობო პარტნიორები.</p>
	<p>- სვეტის, პროგრამის პორტფოლიოს და პროექტის მეშვეობით საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამიდან რა გამოცდილება შეიძლება იქნეს მიღებული მრავალმხრივი საკითხების მომცველი მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვის თვალსაზრისით.</p>	<p>მტკიცებულება. - დასკვნები.</p>	<p>- საკაბინეტო კვლევა. - სამ ნაწილად დაყოფილი ხარისხობრივი მონაცემები.</p>	<p>- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები. - შუალედური ანგარიში (MTR). - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - მთავრობის წარმომადგენელი/პარტნიორები.</p>
	<p>- რა არის ის გამოცდილება, რაც მიღებული უნდა იქნეს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მიმდინარე პროგრამის ციკლიდან.</p>	<p>მტკიცებულება. - დასკვნები.</p>	<p>საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები.</p>	<p>- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები. - შუალედური ანგარიში (MTR). - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - მთავრობის მთავარი წარმომადგენელი/პარტნიორები.</p>
	<p>წარმოშვა თუ არა (დადგა თუ არა) რამე ტიპის ისეთი გაუთვალისწინებელი ან უარყოფითი შედეგები, რომლებიც გამოიწვია საქართველოს სოფლის</p>	<p>მტკიცებულება. - დასკვნები.</p>	<p>- საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები. შეგროვებული მონაცემების ჯვარედინი შემოწმება და ტრიანგულაცია.</p>	<p>- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები.</p>

	<p>განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ინტერვენციებმა.</p>			<p>- შუალედური ანგარიში (MTR). - უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭო (IACC).</p>
	<p>- შეუწყო თუ არა ხელი ადგილობრივ შესაძლებლობებს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამის აქტივობებმა.</p>	<p>- მიღებული (აღქმული) სარგებლიანობა. - არსებული მტკიცებულება/შემთხვევის კვლევა.</p>	<p>- საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები.</p>	<p>- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - განმახორციელებელი პარტნიორები. - მთავრობის მთავარი წარმომადგენელი/პარტნიორები. - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები. - პროექტის ყოველწლიური ანგარიშები და მიმოხილვები/შეფასებები.</p>
	<p>- რა ალბათობით იქნება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შედეგები მდგრადი სტრატეგიის დასრულების შემდეგ.</p>	<p>მიღებული (აღქმული) სარგებლიანობა. - არსებული მტკიცებულება/შემთხვევის კვლევა.</p>	<p>- საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები.</p>	<p>- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - განმახორციელებელი პარტნიორები. - მთავრობის წარმომადგენელი/პარტნიორები. - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები. - პროექტის ყოველწლიური ანგარიშები და მიმოხილვები/შეფასებები.</p>
	<p>- რა მოცულობით იყო ჩართული საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შუალედური ანგარიშის (MTR) რეკომენდაციები საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მოდალობებში და კვლავ არის თუ არა აღნიშნული რეკომენდაციები რელევანტური.</p>	<p>- გამოყენებული რეკომენდაციების რაოდენობა. - განხორციელებული რეკომენდაციების თანაფარდობა (შესრულების კოეფიციენტი). - არსებული მტკიცებულებები/შემთხვევის კვლევა.</p>	<p>- საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები.</p>	<p>- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - განმახორციელებელი პარტნიორები. - მთავრობის წარმომადგენელი/პარტნიორები. - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები. - პროექტის ყოველწლიური ანგარიშები და მიმოხილვები/შეფასებები.</p>

	- იქნა თუ არა გამოყენებული ტრენერების გადამზადებითი კურსების მოდალობა ეფექტიანობისა და მდგრადობის ინტერესებისთვის.	- შემთხვევების პროცენტული რაოდენობა ტრენინგების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით. - შემთხვევების პროცენტული რაოდენობა დარგობრივი სამინისტროებისთვის გამიზნული ტრენინგების რაოდენობასთან მიმართებით. - შემთხვევების პროცენტული რაოდენობა სამოქალაქო საზოგადოებისთვის გამიზნული ტრენინგების რაოდენობასთან მიმართებით. შემთხვევების პროცენტული რაოდენობა ადგილობრივი მმართველობის უწყებებისთვის გამიზნული ტრენინგების რაოდენობასთან მიმართებით. კონკრეტულად გენდერთან ან/და ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგების პროცენტული რაოდენობა.	- ხარისხობრივი ინტერვიუები. - საკაბინეტო კვლევა.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - განმახორციელებელი პარტნიორები. - მთავრობის წარმომადგენელი/პარტნიორები. - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSDG) ყოველწლიური ანგარიშები. - პროექტის ყოველწლიური ანგარიშები და მიმოხილვები/შეფასებები.
(პოტენციური) ზემოქმედების მტკიცებულება	- იკვეთება თუ არა ადრეული ზემოქმედების ნიშნები (უკვე არსებული) თვისებრივ ან/და რაოდენობრივ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.	- შემთხვევების არსებობა (აღწერილობითი). - სპეციფიკური შემთხვევების რაოდენობა.	- ხარისხობრივი ინტერვიუები. - საკაბინეტო კვლევა. - შემთხვევის კვლევები.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - განმახორციელებელი პარტნიორები. - მთავრობის წარმომადგენელი/პარტნიორები. - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSDG) ყოველწლიური ანგარიშები. - პროექტის ყოველწლიური ანგარიშები და მიმოხილვები/შეფასებები. - შუალედური ანგარიში (MTR).
	არსებობს თუ არა მაგალითი ინოვაციური წამყვანი ქმედებისა, რომელმაც, დიდი ალბათობით, შეიძლება განაპირობოს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების	- შემთხვევების არსებობა (აღწერილობითი). - სპეციფიკური შემთხვევების რაოდენობა.	- ხარისხობრივი ინტერვიუები. - საკაბინეტო კვლევა. - შემთხვევის კვლევები.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - განმახორციელებელი პარტნიორები. - მთავრობის წარმომადგენელი/პარტნიორები.

	სტრატეგიის (RDSG) პროგრამის ინტერვენციების მაღალი დონის ზემოქმედება.			- საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ყოველწლიური ანგარიშები. - პროექტის ყოველწლიური ანგარიშები და მიმოხილვები/შეფასებები. - შუალედური ანგარიში (MTR).
	მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია თუ არა შეიქმნას კაზუსი, რომელიც იქნება უმაღლესი დონის გარდამტეხი ცვლილება გაეროს სააგენტოს მიერ გაწეული მხარდაჭერის პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგისა (საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მეშვეობით განხორციელებული).	- შემთხვევების არსებობა (აღწერილობითი). - სპეციფიკური შემთხვევების რაოდენობა.	- ხარისხობრივი ინტერვიუები.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - განმახორციელებელი პარტნიორები. - მთავრობის წარმომადგენელი/პარტნიორები.
გენდერული თანასწორობადა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (HRBA)	- ექვეოდა თუ არა ყურადღება გენდერული პრინციპების ჩართულობას საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შემუშავებისას.	საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) დაგეგმვისას გენდერული საკითხის ჩართულობის ხარისხი. (მოცულობა, დაგეგმვისას საკითხის მოდიფიცირებული ან ინტეგრირებული ჩართვა).	- ხარისხობრივი ინტერვიუები.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - პროგრამების ხელმძღვანელები. - გაეროს ქალთა ორგანიზაცია. - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG).
	- იყო თუ არა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ბიუჯეტი შესაბამისად განაწილებული.	საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ბიუჯეტის ნაწილებში გენდერული საკითხის ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი, სვეტის, პროექტის და შედეგის შესაბამისად.	- საბიუჯეტო განხილვა. - ადმინისტრაციული და ფინანსური მონაცემთა ბაზები.	- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG) პროექტის პერსონალი. - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC).
	- იყო თუ არა თანამშრომლების აყვანის პროცედურები გენდერულად მგრძობიარე.	- პროგრამის/პროექტის დონეზე ქალთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი.	- ადამიანური რესურსების/მესყიდვების მონაცემების განხილვა (რაოდენობრივი ანალიზი).	- „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG) პროექტის პერსონალი

		- შერჩეულ კანდიდატებს შორის ქალ კანდიდატთა პროცენტული მაჩვენებელი. დასაქმებულ ქალთა თანაფარდობა შერჩეული კანდიდატების რაოდენობასთან მიმართებით.		- უფროსი ტექნიკური პერსონალი. - განმახორციელებელი პარტნიორები.
	- იყო თუ არა მონიტორინგისა და შეფასების მატრიცის დიზაინი, მასთან დაკავშირებული მონაცემების მართვის პროცესები და ანალიტიკური პრაქტიკა გენდერულად მგრძობიარე (მაგ., გენდერული ნიშნით განაწილებული შესრულების მაჩვენებლების ჩათვლით და სხვ.)	- გენდერული ჭრილის მიხედვით ჩაშლილ ინდიკატორთა პროცენტული მაჩვენებელი (დაგეგმვის შესაბამისად). - წარდგენილი გენდერის ჭრილის მიხედვით დანაწილებულ ინდიკატორთა პროცენტული მაჩვენებელი ინდიკატორთა ჭრილის ჩაშლასთან მიმართებით.	დოკუმენტაციის საკაბინეტო კვლევა. მზა სისტემების განხილვა. - ხარისხობრივი ინტერვიუები.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - უფროსი ტექნიკური პერსონალი.
შედეგებზე დაფუძნებული მმართველობა	- დაფიქსირდა თუ არა შედეგებზე დაფუძნებული მმართველობის შესახებ მითითება (იყო თუ არა მიზნები/შედეგები შესაძლებელ დონეზე განსაზღვრული, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს SMART ინდიკატორებთან) შედეგების ჯაჭვის შექმნისა და შედეგების ანგარიშის ფორმულირებისას .	- შედეგების ანგარიშის ხარისხობრივი განხილვა (SMART ფორმულირება).	- კონსულტანტის მიერ ჩატარებული საკაბინეტო კვლევა.	- ლოგიკური/შედეგების ჩარჩო. - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონიტორინგი და შეფასება.
	- ემთხვევა თუ არა წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორები პროფესიონალურ სტანდარტებს SMARTness და შედეგებზე დაფუძნებული მმართველობის ლოგიკის თვალსაზრისით ან საჭიროა თუ არა მათი დახვეწა და „განახლება“ ნამდვილი შედეგების მისაღებად და არა უმნიშვნელო საქმიანობის განსახორციელებლად.	ინდიკატორების ხარისხობრივი განხილვა. რამდენად შეესაბამება შედეგების ანგარიშს. რამდენად შეესაბამება „სხარტ“ ფორმულირებას. რამდენად შეესაბამება ინდიკატორებთან შესაბამისობაში არსებულ საბაზისო მაჩვენებელსა და სამიზნებს.	- კონსულტანტის მიერ ჩატარებული საკაბინეტო კვლევა.	- მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო. - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მონიტორინგი და შეფასება.
	- შეესაბამება თუ არა მონაცემების რაოდენობრივი ანალიზის შედეგად შექმნილ ნიმუშს	- იგივე ინდიკატორისთვის მონაცემთა სხვადასხვა წყაროებს შორის შესატყვისობის ხარისხი.	- თვისობრივი მიმოხილვა. - ჯვარედინი შემოწმება.	- მრავალფეროვანი რაოდენობრივ მონაცემთა წყაროები.

	<p>თვისებრივი მონაცემები (შესრულების საზომი: შედეგების ინდიკატორები, ფინანსური მონაცემები ათვისების კოეფიციენტის ჩათვლით და სხვ.) და თუ არ შეესაბამება, როგორ შეიძლება ეს აიხსნას; ასევე, რა შედეგები მოჰყვება მონაცემთა შეგროვებას და ზოგადი შეფასების კითხვებს: არსებობს თუ არა მონაცემთა ალტერნატიული წყარო, აქვს თუ არა ადგილი არაობიექტურობას მონაცემთა (ზოგიერთ) წყაროებში და საჭიროა თუ არა აღნიშნულის გათვალისწინება მონაცემების შესწორების მიზნით; არის თუ არა განსხვავებები „მნიშვნელოვანი“ ანალიტიკური გაგებით და ასახული უნდა იყოს თუ არა ისინი ფაქტიურ ანალიზში, თუ უმჯობესია მინიშნება გაკეთდეს იმ მხრივ, რომ, სულ ცოტა ერთი მონაცემის წყარო სავსეა მონაცემების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებით და სხვ.</p>		<p>- ფროქსის არსებობის შემთხვევაში ტრიანგულაციის გამოყენება.</p>	<p>- სხვადასხვა წყაროდან შეგროვებული ხარისხობრივი მონაცემები. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (RDSG). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG).</p>
<p>შესაძლებლობების განვითარება</p>	<p>- რა დონეზე იყო შესაძლებლობების განვითარების მიმართულება ჩართული საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამის შედეგების ჯაჭვში.</p>	<p>- შესაძლებლობების განვითარების ინტეგრაციის ჩართულობის ხარისხი საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამაში. (ერთობლივად და სვეტების/შედეგების კლასტერის შესაბამისად).</p>	<p>- თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი. - ძირითადი რესპონდენტების სიდრმისეული ინტერვიუები. - ფოკუსჯგუფების განხილვები. - საკაბინეტო კვლევა.</p>	<p>- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - სააგენტოს მენეჯერული და ტექნიკური პერსონალი. - მთავარი სამთავრობო პარტნიორები (განმანათლებლებელი და არაგანმანათლებლებელი პარტნიორების ჩათვლით).</p>

				- სამოქალაქო საზოგადოება (პარტნიორები).
	- იყო თუ არა გამოყენებული შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული სინერგიები პროგრამის/პროექტის ინტერვენციებში.	სინერგიის არსებობა (მტკიცებულება/შემთხვევები).	- თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი. - ძირითადი რესპონდენტების სიღრმისეული ინტერვიუები. - ფოკუსჯგუფების განხილვები. - საკაბინეტო კვლევა.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - სააგენტოს მენეჯერული და ტექნიკური პერსონალი.
	- იქნა თუ არა გამოყენებული ტრენერების გადამზადების მოდლობა ეფექტურობისა და მდგრადობის ინტერესებისთვის.	- სრული რაოდენობა (შემთხვევების რაოდენობა). შესაბამისი რაოდენობა (%).	- საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - სააგენტოს მენეჯერული და ტექნიკური პერსონალი. - სამთავრობო პარტნიორები.
გარემოსდაცვითი მდგრადობა	- იყო თუ არა გარემოს დაცვის საკითხების განხილვები „ჩართული“ ოპერაციულ საქმიანობაში, მათ შორის ITC, შესყიდვებსა და ლოჯისტიკაში (ავტოსადგომი და სხვ.)	სრული რაოდენობა (შემთხვევების რაოდენობა). შესაბამისი რაოდენობა (%).	- საკაბინეტო კვლევა. - ხარისხობრივი ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - სააგენტოს მენეჯერული და ტექნიკური პერსონალი.
	- შეუწყო თუ არა ხელი გარემოს დაცვას, ენერგოეფექტურობას და ნახშირბადის გამოყოფის შემცირებას (პერსონალის გადაადგილებისთვის საერთო ავტომობილებით სარგებლობით, ერთობლივი ვიზიტებითა და მისიებით) და სხვ. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG)	- ოპერაციულ მოწყობასა და პროცედურებში გარემოსდაცვითი მგრძობილობის არსებობა (ხარისხი).	- შემთხვევის კვლევა. - ხარვეზის ანალიზი.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - სააგენტოს მენეჯერული და ტექნიკური პერსონალი.

	შინაარსმა და განხორციელების მოდლობებმა.			
	- ითვისების წინადასრულებული არა გარემოსდაცვით ასპექტებს (განცალკევებული ლოკაციები თუ გაეროს ერთი სახლი და სხვ.) გაეროს სააგენტოს ოფისების განაწილება.	ინტეგრაციის ხარისხი.	- თვისებრივი ანალიზი. - დაკვირვებები.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG).
კოორდინაციასთან დაკავშირებული ასპექტები	- არსებობს თუ არა მრავალი დაინტერესებული მხარის/დარგობრივი სამინისტროების საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) მართვის და ზედამხედველობის კომიტეტის დაინტერესება უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით.	- ინტერესის ხარისხი(%).	- თვისებრივი გამოკითხვა. - ინტერესის ხარისხის რაოდენობრივი რანჟირების ხელსაწყო (ლიკერტის შკალა). - ანონიმური ინტერვიუები (ონლაინკითხვარი (survey monkey).	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG). - სააგენტოს ტექნიკური პერსონალი.
	- არის თუ არა უწყებათაშორისი კოორდინაციის ნაკლებობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების ნიშნები (მეტოქეობა, კონკურენცია; კოორდინირებული დაგეგმვის ნაკლებობა გამოხატული ურთერთგადაფარვის/შედეგების დუბლიკაციით, მათ შორის თითოეული სააგენტოს აქტივობის შედეგი აქტივობის დონეზე, როდესაც უწყებათაშორისი მუშაობით მიღებული შედეგები უფრო წარმატებული იქნებოდა, ვიდრე ცალკეული სააგენტოს ამოცანის შედეგი, და სხვ.) ან/და კოორდინაციის გზით შემცირებული ხარჯების, გაზრდილი ეფექტურობისა და	- არსებული მეტოქეობის ხარისხი. აქტივობის და ამოცანის შედეგებს შორის დუბლიკაციის/ურთიერთგადაფარვის შემთხვევები. - „სუსტი“ აქტივობის შედეგების რაოდენობა.	- ხარისხობრივი ინტერვიუები. - პროგრამის დიზაინის ანალიზი. (ლოგიკური ჩარჩოს ხელახალი დუბლიკაციის ან უთანასწორობის თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი აქტივობისა და ამოცანის შედეგების დიზაინის ნიმუშისა და დაყოფილი (დისკრეტული) შედეგების ჯაჭვის რაოდენობის კუთხით, რა დროსაც ინტეგრაცია ლოგიკურად უფრო ნათელი გახდებოდა (ამას უნდა მოჰყვეს სიღრმისეული ინტერვიუები, რათა დადგინდეს ნაკლი ტექნიკური ხასიათის იყო, თუ გამოწვეული იყო პოლიტიკური გათვლით).	- საკაბინეტო კვლევა. - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - სააგენტოს პერსონალი. - სამთავრობო პარტნიორები (დარგობრივი სამინისტროები, კოორდინაცია/ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო). - ძირითადი დონორები.

	ეფექტიანობის პოზიტიური მაგალითები.			
პარტნიორობა	- არსებობდა თუ არა რესურსების ერთობლივი მობილიზაციისა და უწყებათაშორისი სინერგიის წარმატებული ფაქტი რესურსებში არსებული ხარვეზების შევსების თვალსაზრისით, თუ სააგენტოები დამოუკიდებლად იბრძოდნენ დონორების დაფინანსების მოსაპოვებლად, რათა მოეპოვებინათ დამატებითი რესურსები პოტენციურად ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწვევის გზით.	- აღქმაზე დაფუძნებული შეფასება, - შემთხვევის კვლევები/კონკრეტული მაგალითები. - ერთობლივი დაგეგმვისა და ერთობლივი პროგრამების შემთხვევა.	- ორმხრივი ინტერვიუები.	- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - დაინტერესებული მხარის/დარგობრივი სამინისტროს სააგენტოს პერსონალი. - ძირითადი დონორები. - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში„ (IRDG) პროექტის პერსონალი.
	- შეფასების განმავლობაში მოგროვებული მტკიცებულებებიდან რა ძირითადი რეკომენდაციები შეიძლება იქნეს დანერგილი სამომავლოდ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) შინაარსსა და მართვის სტრუქტურის შემუშავებაში ტექნიკური და ფინანსური პარტნიორების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის ჩართულობის თვალსაზრისით.	საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) პროგრამაში დონორების ჩართულობისა და თანაფლობის ხარისხი ზოგად ქრილში და სპეციფიკური ინტერვენციები (გაერთიანებული ფინანსების მარაგის/ბიუჯეტის დაფინანსებისა და ასიგნებების ინოვაციური ნარევის, დონორების კუთვნილი ტექნიკური/პროგრამული მხარდაჭერით ერთობლივი დაგეგმვის, ბანკებთან და ტექნიკურ პარტნიორებთან არსებული ერთობლივი პროგრამების მეშვეობით). ეს არის ჩემი თარგმანის სიამაყის აპოთეოზი და ზე-ეგო გამოყოფილ ასიგნებებში	- ხარისხობრივი ინტერვიუები.	- ტექნიკური და ფინანსური პარტნიორები. - უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC). - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MIRD).

5.10 შესაძლო ზეგავლენის ინდიკატორთა სია

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) ფართო მასშტაბის გათვალისწინებით, მისი საერთო მიზნის (სოფლის განვითარება) ან/და მისი პრიორიტეტული სფეროების ზემოქმედების ინდიკატორები, ძირითადად, განიხილება მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიმართულებების ან ეროვნული განვითარების სტრატეგიის ინდიკატორების დონეზე. საერთო სტრატეგიის შემოთავაზებული პოტენციური ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია სამ პრიორიტეტულ სფეროსთან, შეიძლება იყოს:

ა) ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა:

i. მთლიანი შიდა პროდუქტი;

ii. დასაქმების (უმუშევრობის) მაჩვენებელი (ჩაშლილი სქესის, ასაკობრივი, ეთნიკური/კულტურული ჯგუფის მიხედვით);

iii. სოფლის მეურნეობის ექსპორტის ღირებულება;

iv. რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა;

v. საუკეთესო შემთხვევაში, სტანდარტული დამოუკიდებელი ინდიკატორების (i. iv. და სხვ.) გაერთიანება კომპოზიტურ ინდიკატორებთან (იგივე ინდექსი); მაგალითად, გაითვალისწინეთ მეწარმეობის სტანდარტული ინდექსი (OEI) ან მასთან დაკავშირებული სხვა ისეთი ინდექსების გამოყენება, როგორცაა: დანაწილებული მეწარმეობის (DEI), მთლიანი მეწარმეობის (AEI) ან მრავალგანზომილებიანი მეწარმეობის (MEI) ინდექსები. მრავალგანზომილებიანი მეწარმეობის ინდექსი, მისი ფართო დიზაინის გათვალისწინებით, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს მთელი სტრატეგიისათვის ისე, როგორც საერთო ზემოქმედების ინდიკატორი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა სამეწარმეო სფერო და საქმიანობა (მაგ., სასოფლო-სამეურნეო ღირებულებების ჯაჭვი, ტურიზმი, ინჟინერია და მრეწველობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სხვ.).

ბ) სოციალური პირობები და ცხოვრების დონე:

i. ადამიანის განვითარების ინდექსი/გენდერული განვითარების ინდექსი;

ii. სიდარბის ზღვარს ზემოთ/ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული ოფიციალური ეროვნული მაჩვენებელი.

გ) გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა:

i. ნახშირბადის ემისია სოფლად (სტაბილური ან შემცირებადი სამიზნე მნიშვნელობებით);

ii. (დაცული) ტყეების საფარი;

iii. ჰაერის და წყლის ხარისხი (დაკავშირებული ტექნიკური ინდიკატორების დადგენა).

5.11 ცვლილებების თეორიის პროექტები პრიორიტეტული სფეროებისთვის და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების ერთიანი სტრატეგიისათვის (RDSG)

ცვლილების თეორია (ToC), როგორც წესი, შემუშავებულია დაგეგმვის ეტაპზე, საჭიროებების შეფასების შესაბამისად. ამრიგად, ცვლილების თეორიის შექმნა წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საუკეთესო შემთხვევაში, იგი ხორციელდება საერთო შედეგების ჯაჭვის, - ზემოქმედების/ამოცანისა და აქტივობის შედეგების იერარქიული შრეების დიზაინის პარალელურად, შედეგების ჩარჩოს ლოგიკურობის უზრუნველსაყოფად და კონტროლისათვის. (ამ პროცესმა ასევე შეიძლება დაადგინოს შესაბამისი მთავარი შესრულების ინდიკატორები როგორც დამატებითი სარგებელი).

ამის შემდეგ დაგეგმილი გრძელვადიანი ტრანსფორმაციული ცვლილებები უნდა აისახოს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) დიზაინის და მისი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სტრატეგიის უკვე არსებული ძირითადი საყრდენი სვეტის და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის (RDSG) თეორიის ცვლილებების შემდგომი რეკონსტრუქციისთვის. ეს უნდა გახდეს მომდევნო პროგრამირების ციკლის მაგალითი, თუმცა ეს ასევე სასარგებლო იქნება ახლანდელი შედეგების ჩარჩოების ლოგიკის ნებისმიერი პოტენციურად თანდაყოლილი ხარვეზის მითითებისას.

შემდეგ უნდა მიჰყვეთ პრიორიტეტული სფეროს დებულებებს და მათთან დაკავშირებულ ამოცანების შესაბამის ფორმულირებებს, მათ შორის ცვლილებების თეორიის (ToC) შესაბამის ვერსიებს თითოეული პრიორიტეტული სფეროსთვის, აგრეთვე თეორიის ცვლილების ზოგად პროექტს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების მთელი სტრატეგიისთვის (RDSG).

პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა.

მიზანი 1.1: ფერმერობის ეკონომიკური აღდგენა, რესტრუქტურისაცია და მოდერნიზაცია ეფექტური მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაციისა და განვითარების გზით;

მიზანი 1.2: სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერების გზით და სხვადასხვა მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობით;

მიზანი 1.3: სოფლად ტურიზმის განვითარება სოფლის სპეციფიკიდან და უნიკალური კულტურული თვითმყოფადობიდან გამომდინარე.

- ლოგიკურად მიღებული ცვლილების თეორიის პრიორიტეტული სფერო 1:

თუ მიწოდების ეფექტური ჯაჭვი დივერსიფიცირდება და გაძლიერდება სოფლის მეურნეობის ფასეულობის ჯაჭვზე ფოკუსირებით და სხვადასხვა მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო, მათ

შორის ეკოტურიზმის საქმიანობის ხელშეწყობით, რეგიონალური სპეციფიკებისა და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით,

მაშინ ეს გამოიწვევს:

ა) მეურნეობის ეკონომიკურ გაჯანსაღებას, რესტრუქტურიზაციას და მოდერნიზაციას; ბ) სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას და გ) სოფლის ტურიზმის განვითარებას.

ამიტომ, ძირითადი მიზეზები, რაც ეკონომიკის აღდგენისა და ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ბლოკირებას ეხება, იქნება განხილული.

- პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე.

მიზანი 2.1: ინოვაციისა და მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ამასთან, თანამშრომლობის ხელშეწყობა უნარების განვითარებისა და დასაქმების საკითხებში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობის გზით;

მიზანი 2.2: ინფრასტრუქტურა და მომსახურება. საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებამდე მისასვლელი გზებისა და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩათვლით) და მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი მომსახურების, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

მიზანი 2.3: ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და ქალების) ჩართულობის ზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ამ საჭიროებების გადაწყვეტის განსაზღვრაში.

- პრიორიტეტული სფერო 2-სთვის ლოგიკურად დადგენილი ცვლილებების თეორიის (ToC) პროექტი 2:

თუ ა) საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, კერძოდ, ახალგაზრდებისა და ქალების დასაქმების უნარების გაუმჯობესების მიზნით; ბ) გაუმჯობესებული სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურა და მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი მომსახურება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით (ICT) ხელმისაწვდომი გახდა; და გ) (უფრო) მონაწილეობითი და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

აღნიშნულის შემდეგ ინოვაციას და მეწარმეობას ექნებათ უკეთესი შანსი აღორძინებისთვის, სოფლის მეურნეობის წარმოება და განაწილება, ასევე ტურიზმი მიიღებს სარგებელს, ხოლო სოფლის რაიონებში რესურსების დაგეგმვა და გამოყოფა იქნება საჭიროებების შესაბამისი, ანუ, მოთხოვნაზე ორიენტირებული;

ამრიგად, გაუმჯობესდა სოციალური პირობები და ცხოვრების დონე.

პრიორიტეტული სფერო 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

მიზანი 3.1: სამიზნე სოფლებში წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება;

მიზანი 3.2: ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების ხელშეწყობა სოფლად;

მიზანი 3.3: კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად გამოყენებული ღონისძიებები;

- ლოგიკურად გამოითქვა პროექტის პრიორიტეტული გეგმის პროექტი 3:

საჭიროა წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება სამიზნე სოფლებში. ასევე, აუცილებელია სოფლის ნარჩენების მართვის სისტემების შექმნა და ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის შესამცირებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

აღნიშნულის შედეგად გარემო იქნება უკეთესად დაცული;

რადგან ბუნებრივი რესურსების მართვა იქნება მდგრადი.

- გამოქვეყნებული, რეკონსტრუქციური ზოგადი ცვლილებების თეორია საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისათვის (RDSG):

თუ სოფლად ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი რესურსების მართვის მდგრადი სისტემების და პრაქტიკის მეშვეობით, გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და ცხოვრების დონე და დაცულია გარემო;

მაშინ მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის განვითარების ალბათობა;

მას შემდეგ, რაც არსებული სისტემური და (ქვე)დარგობრივი ხარვეზების იდენტიფიცირდება მოხდება, განიხილება დაბრკოლებები და სისუსტეები და შესაბამისად, გამოსწორდება ან/და აღმოიფხვრება.

5.12 ტექნიკური დავალება



კონსულტანტი საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმისთვის

ადგილმდებარეობა:	საცხოვრებელი ადგილი, საქართველოში ერთი ვიზიტის გათვალისწინებით
განაცხადის ბოლო ვადა:	11-19 მარტი (ნიუ-იორკის დროით 00:00 სთ., აშშ)
ხელშეკრულების ტიპი:	ინდივიდუალური კონტრაქტი
თანამდებობა:	საერთაშორისო კონსულტანტი
საჭირო ენები:	ინგლისური
დანიშვნის ხანგრძლივობა:	სავარაუდო 2019 წლის მარტიდან მაისამდე პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით, 45 სამუშაო დღე, აქედან 30 დღე საქართველოში

ზოგადი ინფორმაცია

2014 წლის ივნისში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) ხელმოწერამ (http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-14-430_en.htm) ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლას დაუდო საფუძველი. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ინტეგრაციას. ეს, როგორც ერთი ელემენტი, ქმნის დრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონას ევროკავშირსა და საქართველოს შორის.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 333-ე მუხლი (მხარეებს შორის თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სფეროში) ითვალისწინებს ისეთ საკითხს, როგორცაა, „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის ურთიერთგაგების ხელშეწყობა“. სწორედ ეს გახდა საქართველოს სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საფუძველი. სტრატეგია, თავის მხრივ, ითვალისწინებს იმ ზომების დაზუსტებას, რომლითაც ისარგებლებს ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) დაფინანსებით.

სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესს ხელი შეუწყო სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) და გაეროს ევროკავშირის სამეზობლო პროგრამამ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD), აგრეთვე გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით აჭარის მთავრობას ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი (ENPARD) პროგრამის ფარგლებში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებულ აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგიას (2016 წლის მარტი) მოჰყვა აჭარის ა/რ სოფლის განვითარების საბჭოს შექმნა (RDC). საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა (2016 წლის 30 დეკემბერი, მთავრობის დადგენილება 631) პირველი ეროვნული სტრატეგია და 2017 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს ქვეყნის ხედვას უახლოესი ოთხი წელის (2017-2020) განმავლობაში. სტრატეგია მოიცავდა სოფლის განვითარების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორცაა: ადგილობრივი ეკონომიკების დივერსიფიკაციის ზრდა, სოციალური და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება, დასაქმების ზრდა და ეროვნული რესურსების მდგრადი გამოყენება. ამ დოკუმენტით წარმოდგენილია სოფლის განვითარების ახალი მიდგომა, რომელიც ემყარება ამ სფეროში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას. ეროვნული სტრატეგიის მიღებას მოჰყვა სოფლის მეურნეობის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) შექმნა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) და რომელსაც, თავის მხრივ, ტექნიკურ დახმარებას უწევს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლების.

საქართველოს 2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიის მიზანია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სოფლად გაძლიერებული სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების გზით. სტრატეგია მოიცავს ქვეყნის ხედვას 2017-2020 წლების სოფლის განვითარების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებთან დაკავშირებით, როგორცაა, ადგილობრივი ეკონომიკის ზრდა და დივერსიფიკაცია, სოციალური და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება, ეროვნული რესურსების მდგრადი გამოყენება და განვითარების პროცესში ადგილობრივთა ჩართულობა (მხარდაჭერილი და განხორციელებული იქნება ადგილობრივი თემებისა და მრავალი ჯგუფის ფართო მონაწილეობა სოფლის განვითარებაში).

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC) კოორდინაციას უწევს სოფლის განვითარების პოლიტიკის გატარებას. საბჭოს შემადგენლობაში არიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები, რომლებიც ჯგუფებიდან სოფლის განვითარების სტრატეგიის მე-3 დერძის ქვეშ: ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური.

სტრატეგია მიზნად ისახავს 3 სტრატეგიული სფეროს მიღწევას 9 ამოცანის მეშვეობით:

პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა

მიზანი 1: ფერმერობის ეკონომიკური აღდგენა, რესტრუქტურისაცია და მოდერნიზაცია ეფექტური მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაციისა და განვითარების გზით.

მიზანი 2: სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერების გზით და სხვადასხვა მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობით.

მიზანი 3: ტურიზმის განვითარება სოფლად, სოფლის სპეციფიკიდან და უნიკალური კულტურული თვითმყოფადობიდან გამომდინარე.

პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე

მიზანი 1: ცნობიერების ამაღლება ინოვაციებსა და მეწარმეობაში. გარდა ამისა, თანამშრომლობის ხელშეწყობა უნარების განვითარებისა და დასაქმების საკითხებში წვლილის შეტანაში (განსაკუთრებით ახალგაზრდების და ქალების).

მიზანი 2: ინფრასტრუქტურა და მომსახურება. სამიზნე სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებამდე მისასვლელი გზებისა და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩათვლით) და მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი მომსახურების, მათ შორის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

მიზანი 3: ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და ქალების) ჩართულობის ზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ამ საჭიროებების გადაწყვეტის განსაზღვრაში.

პრიორიტეტული სფერო 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

მიზანი 1: წყალი, ტყე და სხვა რესურსები. წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება სამიზნე სოფლებში.

მიზანი 2: ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების პოპულარიზაცია.

მიზანი 3: კლიმატის ცვლილება. ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, ეწვიოთ შემდეგ ბმულს: <http://www.moa.gov.ge/Ge/Public/Strategy/14>.

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia) ახორციელებს პროექტს „მხარდაჭერა სოფლის განვითარებისთვის საქართველოში“ ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (ENPARD Georgia II) ფარგლებში.

პროექტი ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ეროვნული პროგრამის „ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ (ENPARD) II ეტაპის ნაწილია და ხელს უწყობს ამ პროგრამის მთავარ მიზანს, რომელიც მოიცავს როგორც ინკლუზიურ და მდგრად ზრდასა და განვითარებას, დასაქმების შესაძლებლობების

შექმნას, საარსებო პირობების გაუმჯობესებას დარიბთა და დაუცველთათვის, ისე სოფლის განვითარების სტრატეგიისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული შედეგების მიღწევას; სოფლის ეკონომიკური დივერსიფიკაციის, დასაქმებისა და მომსახურების გაუმჯობესებას; გარემოს გაუმჯობესებას, ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვასა და კლიმატის მოქმედებას. ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების გაუმჯობესება, განსაკუთრებით, სოფლად, საქართველოს მთავარ პრიორიტეტებს შორისაა (პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ვებგვერდზე:

<http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/enpard-2--promoting-rural-development-in-georgia.html>).

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

„გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში“ ეძებს საერთაშორისო კონსულტანტს იმისათვის, რათა მან შეასრულოს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და 2017– 2018 წლების სამოქმედო განხორციელების შუალედური შეფასება.

კონსულტაციის ძირითადი მიზანია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემდგომი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესისთვის ინფორმაციის უზრუნველყოფა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღწევებისა და ნაკლოვანებების მეთოდოლოგიურად გამართული, სანდო, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი შეფასების გზით.

ამ შუალედური შეფასების სპეციფიკური მიზნებია:

1. სტრატეგიის ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების მიღწევის პროგრესის საკითხის განხილვა.
2. შექმნისა და განხორციელების სიძლიერებისა და სისუსტეების დადგენა.
3. რისკების და საპასუხო ზომების დადგენა.
4. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დასახული მიზნების და შედეგების მიღწევის ალბათობის შეფასება.
5. მიღებული გამოცდილების და კარგი პრაქტიკის განსაზღვრა.
6. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმისათვის ზემოქმედების ინდიკატორების პროექტის შემუშავება.
7. ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების წარმოდგენა წარმატების ალბათობის გაზრდის მიზნით (საჭიროების შემთხვევაში).

კონსულტანტი ანგარიშს წარუდგენს პროექტს - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ და იმუშავებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთან (IACC) მჭიდრო კონსულტაციის რეჟიმში. საკონსულტაციო სამუშაოს ფარგლები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს:

1. ინფორმაციის ყველა მნიშვნელოვანი წყაროს, მაგალითად, სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის დოკუმენტის, სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის ანგარიშების, ეროვნული სტრატეგიული და იურიდიული დოკუმენტების, ყველა სხვა მასალის, რომელსაც შემფასებელი მიიჩნევს სასარგებლოდ ამ მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასებისთვის, განხილვას, მათ შორის საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შემთხვევების კვლევას ამოცანების ობიექტური ინდიკატორების მიხედვით საბოლოო დასკვნისათვის.

2. შეფასების მატრიცის შემუშავებას შეფასების კრიტერიუმებით, მასთან დაკავშირებული შეფასების კითხვებით (და, საჭიროების შემთხვევაში, ქვეკითხვებით), მონაცემთა წყაროების მოძიებას, რომლებიც საჭიროა კითხვებზე პასუხის გასაცემად, მონაცემთა შეგროვებასა და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს;

3. საქართველოს სოფლის განვითარების ამჟამინდელ პოზიციებს, ასევე საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და ამავე წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში არსებული უახლესი მოვლენებისა და მიდწევების გაცნობას;

4. შეფასების ფორმულირებას შესაბამისობის, ეფექტურობის, ეფექტიანობის, ზემოქმედების, მდგრადობისა და განხორციელების შესაძლო კრიტერიუმების გამოყენებით. შეფასებამ უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც სარწმუნო, სანდო და გამოსადეგია. მოსალოდნელია, რომ შემფასებელმა დაიცვას მონაწილეობითი და საკონსულტაციო მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობასთან მჭიდრო ჩართულობას სოფლის განვითარების უწყებათა კოორდინაციის საბჭოს, სამუშაო ჯგუფის, გაეროს განვითარების პროგრამის - „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (UNDP/IRDG) პროექტის ჯგუფისა და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

5. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიიდან და ამავე წლების სამოქმედო გეგმის ინიციატივებიდან გამომდინარე მტკიცებულებების შეგროვებას, თუ რა მუშაობდა, და რა არ მუშაობს (და რატომ), აგრეთვე მიდგომებისა და სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც გამოიღებს ყველაზე ეფექტურ შედეგებს.

6. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის როგორც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის (ENPARD Georgia) ნაწილის შეფასებას საქართველოს სოფლის განვითარებაში წვლილის შეტანის, შესაბამისობის, ეფექტურობის, ეფექტიანობის, ზემოქმედების, მდგრადობისა და განხორციელების კუთხით.

7. შუალედური შეფასების ანგარიშის თავს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება დასკვნების, რეკომენდაციებისა და გაკვეთილების მთელი წყება.

8. შეფასების ანგარიშის პროექტის მომზადებას, რომელშიც მოცემულია აღწერილობითი მიმოხილვები, ფაქტების შედგენა, რისკებისა და მიღებული გამოცდილების ასახვა, დასკვნებისა და რეკომენდაციების მიწოდება.

შეფასების კითხვები

მოვალეობის შემსრულებელს შეფასების ჩატარება დაევალება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემების შესაბამისად. აქცენტი გაკეთდება შეფასების ექვს შესაძლო სფეროზე (შეფასების კრიტერიუმები): შესაბამისობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ზემოქმედება, მდგრადობა და განხორციელება. შეფასების სპეციფიკური სფეროები და შეფასების კითხვები უნდა დადგინდეს განხორციელების გვიან ეტაპზე.

1. შესაბამისობა: სახელმწიფო პროგრამების მიზნების და ამოცანების, მათ შორის „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (ACDA) მიზნების შესაბამისობა საზოგადოების საჭიროებებსა და მთავრობის პრიორიტეტებთან.

2. ეფექტურობა: საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგების შესაბამისობა 2017-2018 წლების დაგეგმილ სამოქმედო გეგმებთან და პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების საჭიროებებთან.

3. ეფექტიანობა: შედეგების მიღწევა, რაც შეიძლება, ნაკლები დანახარჯებით. (უნდა განისაზღვროს შედეგების თანაფარდობა და მათ მისაღწევად საჭირო რესურსები)

4. ზემოქმედება: გაუთვალისწინებელი და პროგნოზირებული ზემოქმედება.

5. მდგრადობა: სტრატეგიის გრძელვადიანი ზემოქმედება და გავლენა.

6. განხორციელება: განხორციელების პროცესისა და სტრუქტურების ხარისხი. რა მუშაობდა, და რა არ მუშაობს (და რატომ) სოფლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

კონსულტანტს მოეთხოვება შემდეგი ძირითადი სამუშაოს შესრულება:

მისაწოდებელი მასალა 1: გაეროს განვითარების პროგრამის პირველადი სამუშაო გეგმის მომზადება და წარდგენა (საწყისი ანგარიში) (2019 წლის 1 აპრილი)

საწყისი ანგარიში შეფასების მატრიცის, შეფასების მეთოდოლოგიისა და შეფასების გეგმის ჩათვლით.

საწყისი ანგარიში და შეფასების მეთოდოლოგია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე მოკლე ლოგიკურ დასაბუთებას, რომელიც ასახავს დავალების მკაფიო და დეტალურ გაგებას და აღწერს მეთოდოლოგიას და ჩარჩოს, რომელიც იქნება გამოყენებული.

შეფასების კითხვების პროექტი.

განსახილველი ძირითადი დოკუმენტების წინასწარი სია.

გეგმა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ინტერვიუები და პოტენციურ დაინტერესებულ მხარეთა ფოკუსჯგუფების დისკუსიები.

შეთავაზებების წარდგენა სხვა მონაცემების შეგროვებისთვის.

მისაწოდებელი მასალა 2: კვლევისა და მონაცემთა შეგროვების ფაზა (2019 წლის 19 აპრილი)

- შეხვედრა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა (IACC) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (MEPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP IRDG) პროექტის გუნდის ჩათვლით;
- არსებული დოკუმენტების სამუშაო პროცესში განხილვა;
- სავლე ვიზიტები, ინტერვიუები პარტნიორებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.

მისაწოდებელი მასალა 3: ანგარიშის შედეგის ეტაპი (2019 წლის 15 მაისი)

- გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ევროკავშირისათვის ევროკავშირის წინასწარი დასკვნების, ძირითადი რეკომენდაციების, გამოწვევების, შესაძლებლობების, მიღებული გამოცდილების შესახებ პროექტის წარდგენა და მოხსენება;
- შეფასების ანგარიშის დასრულება (დისტანციურად);

ანაზღაურების წესი:

- ii) შესრულებული საწყისი ანგარიში და მისაწოდებელი მასალა 1 (2019 წლის 1 აპრილი) - 25%;
- iii) კვლევისა და მონაცემების შეგროვების ფაზა და მისაწოდებელი მასალა 2 (2019 წლის 19 აპრილი) - 25%;
- iv) ანგარიშის მომზადების ფაზა და მისაწოდებელი მასალა 3 (2019 წლის 15 მაისი) - 50%.

ანაზღაურება მოხდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხრიდან მაღალი ხარისხით შესრულების დადასტურების შემთხვევაში. საერთო დავალების ხანგრძლივობა იქნება 45 სამუშაო დღე, პერიოდი - 2019 წლის მარტი - 2019 წლის მაისი.

საჭირო უნარები და გამოცდილება

განათლება:

მაგისტრის ხარისხი (ან მასთან გათანაბრებული) ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის/სოფლის, ბიზნესის, სოციოლოგიის, სოციალური პოლიტიკის, საზოგადოებრივი პოლიტიკის ან ანალიზის, ან მასთან დაკავშირებული დისციპლინის სფეროში (მინიმალური მოთხოვნა: 5 ქულა).

გამოცდილება:

სულ ცოტა 8-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება მსგავს პროფესიულ დარგში (მაგ., პროექტების განხორციელება, საკონსულტაციო დახმარება ან/და შეფასება (მათ შორის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, სოფლის განვითარების, საზოგადოების ხელმძღვანელობით განვითარებისა და სხვა დაკავშირებული სფეროების მიმართულებით); (მინიმალური მოთხოვნა: 8 ქულა; 8 წელზე მეტი გამოცდილების მქონე პირებისთვის ემატება 6 ქულა).

სულ ცოტა ორი სტრატეგიის/პროგრამის შეფასების გამოცდილება (სპეციფიკური შეფასებების გამოცდილება მითითებული უნდა იყოს CV-ში); (მინიმალური მოთხოვნა: 8 ქულა; 2-ზე მეტ სტრატეგიაში/პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში ემატება 6 ქულა).

სულ ცოტა 10 შემთხვევის კვლევის, მათ შორის შუალედური ან/და საბოლოო შეფასების ჩატარების გამოცდილება (მინიმალური მოთხოვნა: 7 ქულა).

სამუშაო გამოცდილება სოფლის მეურნეობისა ან/და სოფლის განვითარების სფეროებში, რომელიც გულისხმობს შეფასების მეთოდოლოგიების ცოდნას. ანალიტიკური და დოკუმენტაციის შედეგის მაღალი ხარისხის უნარები.

გაეროს ორგანიზაციასთან მუშაობის გამოცდილება იქნება პრიორიტეტი.

ენის ცოდნის მოთხოვნები:

- ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა.

შეფასება:

ინდივიდუალური კონსულტანტები შეფასდება კუმულაციური ანალიზის საფუძველზე ტექნიკური და ფინანსური კრიტერიუმების კომბინაციით. ტექნიკური შეფასების ეტაპი მოიცავს სამაგიდო კვლევებსა და აპლიკანტების ინტერვიუებს. ექსპერტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ტექნიკური კვალიფიკაციის მინიმალურ მოთხოვნებს, ავტომატურად გამოირიცხებიან შემდგომი შეფასების ეტაპზე გადამსვლელ კანდიდატთა სიიდან. მისაღები მაქსიმალური ქულაა 100, საიდანაც ტექნიკური კრიტერიუმების ჯამური ქულა შეადგენს 70-ს (70%) და ფინანსური კრიტერიუმების - 30-ს (30%). ტექნიკური კრიტერიუმები შედგება სამაგიდო განხილვისა (40 ქულა) და ინტერვიუსგან (30 ქულა). კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სამაგიდო განხილვის მაქსიმალური ქულის 70%-ს (სამაგიდო განხილვის შედეგად მიღებული სათანადო ქულების რაოდენობის (ანუ, $40 \times 70\% = 28$ ქულა)

მომგროვებელი კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას. ის კანდიდატები, რომლებიც ინტერვიუებისთვის დადგენილი მაქსიმალური ქულის 70%-ს გადალახავენ (ე.ი. $30 \times 70\% = 21$ ქულა), მიჩნეული იქნებიან შერჩეულ კანდიდატთა სიაში მოხვედრილად და შეყვანილი იქნებიან კვალიფიციური კონსულტანტების ნუსხაში.

ფინანსური წინადადება:

ფინანსურ წინადადებაში მითითებულია მთლიანი თანხა ხარჯების განაწილებით. გადახდები დამოკიდებულია ტექნიკურ დავალებაში (TOR) მითითებული მომსახურების მიწოდებაზე. მოგზაურობის ყველა სავარაუდო ღირებულება უნდა შეიტანონ ფინანსურ წინადადებაში, რომელიც ასევე მოიცავს მოგზაურობას მოვალეობის შესრულების ადგილამდე/სამშობლოში დაბრუნებას. ზოგადად, გაეროს განვითარების პროგრამა არ ანაზღაურებს მგზავრობის ღირებულებას, რომელიც აღემატება ეკონომკლასის ბილეთის ფასს. თუ კონსულტანტს (IC) სურვილი ექნება იმგზავროს მაღალი კლასით, მას მოუწევს ხარჯების საკუთარი რესურსებით დაფარვა. მოთხოვნის განაცხადის უზრუნველსაყოფის შემთხვევაში ფინანსური წინადადება უნდა მოიცავდეს ერთიანი თანხის ჩაშლას.